გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
2 ივლისი პარასკევი 2010
№ 153 (13 141) ფასი 60 თეთრი

## 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| 2 ივლისი, პარასკევი. 18:00 | 2 ივლისი, პარასკევი. 22:30 |
| ჰოლანდია | ურუგვაი |
| ბრაზილია | განა |
| პორტ ელიზაბეტი | იოჰანესბურგი |
| 3 ივლისი, შაბათი. 18:00 | 3 ივლისი, შაბათი. 22:30 |
| არგენტინა | პარაგვაი |
| გერმანია | ესპანეთი |
| კეიპტაუნი | იოჰანესბურგი |

ევროპის ლიგა

# შოუ ზესტაფონში...

ფაეტანო ფაეტონით გაასვენეს



ზესტაფონი-ფაეტანო 5:0. მასპინძლები მორიგ გოლს ზეიმობენ

# ...წვალება თბილისში



» გვერდი 8-9

# ფინალი: ისევ ლელო vs ლოკომოტივი?



» გვერდი 13

# პირველი სერიოზული გამოცდა



ოსკარ ტაბარესი

## ძველი დიდება თუ საერთოაფრიკული მიღწევა?

წინათქმა » გვერდი 2

კომპეტენტური აზრი



## დენის ბერგკამპი: ტემპს უნდა მოვუმატოთ!



## დიეგო მარადონა: შვაინშტაიგერ, ხომ არ ნერვიულობ, ბიჭუნი?!

## ლოუვმა არგენტინის მინუსები იცის



არგენტინა-გერმანია

» გვერდი 3

1/4 ფინალი

# პირველი სერიოზული გამოცდა

2 ივლისი. პორტ ელიზაბეტი.
ნელსონ მანდელა. 18:00

**ჰოლანდია-ბრაზილია**

საავარაუდო შემადგენლობები

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე იონგი - რობენ, სნეიდერი, კუიტი - ვან პერსი.

**ბრაზილია (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ბასტოსი - დანი ალვეში, ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო - კაკა - რობინიო, ლუიშ ფაბიანო.

**არბიტრი:** იუნიჩი ნიშიმურა (იაპონია)



ბრაზილიელები მხიარულად ვარჯიშობენ

ბრაზილია და ჰოლანდია ერთმანეთს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და მაშინ გამარჯვება სამხრეთამერიკელებს დარჩათ. იმ შეხვედრის ბედი თერთმეტმეტრიანების სერიამ გადაწყვიტა და სწორედ საფეხბურთო ლატარეაში გამარჯვების შემდეგ აღმოჩნდა „სელესაო" მუნდიალის ფინალში. მაშინ ჰოლანდიის ნაკრებში ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობდნენ: **პატრიკ კლუივერტი, ფრანკ** და **რონალდ დე ბურები, დენის ბერგკამპი** და კიდევ არაერთი უმაღლესი კლასის მოთამაშე. ფეხბურთელები არც დღეს ჰყავთ ჰოლანდიელებს ურიგო, მაგრამ მაშინ გუნდების ძალთა ბალანსი თითქოს უფრო თანაბარი იყო. კაცმა არ იცის, შესაძლოა დღევანდელ პაექრობაში სწორედ „ნარინჯისფრებმა" იმარჯვონ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფავორიტად მაინც ბრაზილიაა მიჩნეული.

**კარლოს დუნგა** სავარაუდოდ 4-3-1-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **ლუიშ ფაბიანოსთან** ერთად. **რობინიოს** გაამწესებს. ამას წყალი არ გაუვა, რადგან პირველი შეხვედრიდან მოყოლებული, „სელესაოს" თავკაცი სწორედ ამ ორ ფორვარდს ენდობა. რობინიო ხშირად შედის სიღრმეში და უკნიდან ცდილობს თამაშის გამწვავებას, არც ფლანგზე გადასვლას ერიდება და ალბათ, ასევე იასპარეზებს ჰოლანდიასთან პაექრობაში. ფორვარდთა უკან **რიკარდო კაკა** გაირჯება, რომელიც შეეცდება რობინიო და ლუიშ ფაბიანო გადაცემებით მოამარაგოს. დუნგა მიიჩნევს, რომ მისი გუნდის მთავარი კოზირი ორგანიზებული თამაშია და არა ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა:

*„თუ ისევე ვითამაშებთ, როგორც ჩილესთან, წარმატება ნამდვილად ჩვენ დაგვრჩება. ვგრძნობ, რომ გუნდი შეხვედრიდან შეხვედრამდე უმატებს, რაც მაძლევს კიდეც ოპტიმიზმის საბაბს. ძირითად შემადგენლობასთან დაკავშირებით უკვე ჩამოყალიბებული ვარ და მინდა გითხრათ, რომ ამ მხრივ, არავითარი სიურპრიზი არ გელოდებათ. თუმცა, ჩვენთან სარეზერვო ფეხბურთელები არ არსებობენ და თითოეული ჩემი შეგირდი გუნდისთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა".*

ტრადიციულ ტაქტიკას აირჩევს **ბერტ ვან მარვიიკი** და გუნდს 4-2-3-1 ტაქტიკით განალაგებს. ჟურნალისტთა ვარაუდით, სიურპრიზებს არც ჰოლანდიელთა თავკაცი შემოგვთავაზებს და იმ ფეხბურთელებზე შეაჩერებს არჩევანს, რომლებსაც წინა შეხვედრებში ენდობოდა. ანუ, გამოკვეთილი ცენტრფორვარდი **რობინ ვან პერსი** იქნება, მის უკან კი ერთბაშად სამი ფეხბურთელი გაირჯება: **დირკ კუიტი, ვესლი სნეიდერი** და **არიენ რობენი.** ჰოლანდიის ნაკრები მიმდინარე ჩემპიონატზე ფრთხილ ფეხბურთს თამაშობს და ყველა ლოგიკით, ბრაზილიასთან უკნიდან უნდა იასპარეზოს. სავარაუდოდ, ვან მარვიიკი გუნდს საკუთარ ნახევარზე განალაგებს და კონტრშეტევებზე ათამაშებს. იმას არ ვამბობთ, რომ ჰოლანდია მთელი გუნდით დაცვაში ჩაჯდება, მაგრამ პრიორიტეტი რომ საკუთარი კარის უსაფრთხოებას მიენიჭება, ცხადზე ცხადია. ყურადღების ცენტრშია არიენ რობენი, რომელიც მიიჩნევს, რომ შანსები აბსოლუტურად თანაბარია. „ბაიერნის" გარემარბის თქმით, ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელსაც უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდება, ამ მხრივ კი ჰოლანდიელებს არავითარი პრობლემა არ გვაქვსო. ექსპერტების აზრით, თამაში უფრო დაძაბული იქნება, ვიდრე სანახაობრივი. ორივე გუნდისთვის ეს იქნება პირველი სერიოზული გამოცდა და თუ ვისთვის აღმოჩნდება უკანასკნელი, ამას დრო გვიჩვენებს.

**ლაშა ნიკლაური**

## ბერგკამპი: ტემპს უნდა მოვუმატოთ!

მეოთხედფინალური წყვილებიდან, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უდავოდ ჰოლანდია-ბრაზილიის დაპირისპირებაა. „სელესაო" ფავორიტად მოჩანს და მთავარი კითხვაც ასე ჟღერს - შესწევს ჰოლანდიას იმის ძალა, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ტოლ-სწორად ეპაექროს? მართალია, „ნარინჯისფრებმა" ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაძლიეს და მერვედფინალშიც დამაჯერებლად გაიმარჯვეს, მაგრამ მათ შანსებს ბევრი მაინც სკეპტიკურად აფასებს. თითქოს, ეს არ არის ის დიდი ჰოლანდია, რომელსაც მწვერვალების დაპყრობა შეუძლია. მწვერვალების რა გითხრათ და, მართლაც რომ უცნაურ ჰოლანდიის ნაკრებს ვადევნებთ თვალს: პრაგმატულად მოთამაშეს და შედეგზე ორიენტირებულს. უჩვეულოა ბრაზილიის ნაკრებიც - ვერ ვიტყვით, რომ ტექნიკა აკლიათ სამხრეთამერიკელებს, იმპროვიზაცია და შესაბამისად, არასანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ბრაზილიელთა ყველაზე ძლიერ რგოლად დაცვის ხაზი და მეკარე მოჩანს, მართლაც რომ უჩვეულო და გასაკვირია. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ძალიან საინტერესოა, როგორ წარიმართება ჰოლანდია-ბრაზილიის დაპირისპირება და რა ფაქტორი ითამაშებს გადამწყვეტ როლს გამარჯვებულის გამოვლენაში...

» მე-4 გვერდზე

# ძველი დიდება თუ საერთოაფრიკული მიღწევა?

2 ივლისი. იოჰანესბურგი.
სოკერ სითი. 22:30

**ურუგვაი-განა**

საავარაუდო შემადგენლობები

**ურუგვაი (4-3-3):** მუსლერა - მ. პერეირა, ლუგანო, ვიქტორინო, ფუსილე - პერესი, რიოსი, ა. ფერნანდესი - კავანი, ფორლანი, სუარესი.

**განა (4-5-1):** კინგსონი - პეინტსილი, ფორსა, ჯონ მენსა, სარპეი - ინკოომი, კ. ბოატენგი, ანანი, ასამოა, მუნტარი - გიანი.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

შეიძლება, ეს წყვილი დანარჩენებზე ნაკლებ ინტერესს იწვევდეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში უხარისხო ფეხბურთი წარმოუდგენელია. თანაც, ურუგვაელებმაც და განელებმაც აქამდე ღირსეული თამაშით მოაღწიეს და ვერავინ იტყვის, რომ მათ შორის გამარჯვებულს მუნდიალის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა არ ეკუთვნის.

მოკლედ გავიხსენოთ მეტოქეთა მიერ დღემდე გამოვლილი გზა: ურუგვაის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი საფრანგეთთან ნულოვანი ფრით დაიწყო, რასაც სამხრეთ აფრიკისა და მექსიკის დამაჯერებელი ძლევა მიაყოლა. მერვედფინალში კი **ოსკარ ტაბარესის** გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში სამხრეთ კორეას აჯობა. განელებმა მუნდიალი სერბეთის ნაკრების დამარცხებით დაიწყეს, რასაც ავსტრალიასთან ფრე და გერმანიასთან წაგება მოჰყვა. მერვედფინალში **მილოვან რაიევაცის** გუნდმა დამატებით დროში სძლია აშშ-ს.

ურუგვაისა და განის ნაკრებები აქამდე ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. ურუგვაელებს, რომლებიც მეათე მუნდიალზე ასპარეზობენ, შესანიშნავი შანსი აქვთ, 1954 და 1970 წლების მიღწევა გაიმეორონ ან სულაც გააუმჯობესონ - მაშინ მათი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ შორეულ 1930 და 1950 წლებში ურუგვაიმ მსოფლიოს ჩემპიონობა იზეიმა. განელთათვის ეს მხოლოდ მეორე მუნდიალია, მათი ამჟამინდელი შედეგი კი უკვე საუკეთესოა - ოთხი წლის წინ ბრძოლა მერვედფინალში შეწყვიტეს.

მეოთხედფინალი საუკეთესო შედეგია განისთვის, მაგრამ არა აფრიკისთვის. ამ გუნდის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდში კამერუნი და სენეგალიც მოხვედრილან, შესაბამისად, 1990 და 2002 წელს. აი ნახევარფინალამდე კი შავი კონტინენტიდან აქამდე არავინ მისულა და ამიტომაც განელთა გამარჯვების შემთხვევაში ახალი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერება როგორც აფრიკული, ასევე მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

დღევანდელ მატჩისთვის გაცილებით მეტი ურუგვაელი ფეხბურთელი ემზადება, ვიდრე განელი. მიზეზი მარტივია. ურუგვაის მხოლოდ ერთი მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული - ცენტრალური მცველი **დიეგო გოდინი**, რომელიც მერვედფინალში დაშავდა. ძირითად შემადგენლობაში მის ადგილს **მაურისიო ვიქტორინო** დაიკავებს. აი განელებს კი საკადრო პრობლემები არ აკლიათ. **ჯონათან მენსამ** და **ანდრე აიევიმ** მერვედფინალში ზედმეტი გაფრთხილებები მიიღეს და დღევანდელ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებიან. პირველი მათგანის ადგილს დაცვის ცენტრში ახლად გამოჯანმრთელებული **ისააკ ფორსა** დაიკავებს, რომელიც მუნდიალის წინ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრებოდა, მაგრამ მხოლოდ პირველ მატჩში ითამაშა, რის შემდეგაც ტრავმის გამო იძულებით იუქმა. აიევის არყოფნაში კი სასტარტო თერთმეტეულში **სალი მუნტარის** ელიან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე აქამდე მხოლოდ შეცვლაზე თამაშს სჯერდებოდა.

ბოლომდე გადაწყვეტილი არაა **კევინ-პრინს ბოატენგის** თამაში, რომელიც მერვედფინალში დაშავდა. ამერიკელებთან მატჩში დაზიანება **ასამოა გიანმაც** მიიღო, მაგრამ განელთა საუკეთესო ბომბარდირი ამჟამად თავს ნორმალურად გრძნობს.

*„ტკივილები ჯერ კიდევ მაწუხებს, მაგრამ არაფერია, გავუძლებ. მეოთხედფინალში აუცილებლად ვითამაშებ. ძალიან ძნელია ისეთი გუნდის წინააღმდეგობის დაძლევა, რომელსაც თავდასხმაში ფორლანი და სუარესი ჰყავს, მაგრამ საკუთარი კოზირები ჩვენც გაგვაჩნია. მეტოქის სიძლიერის მიუხედავად, გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს", -* ამბობს გიანი. ოპტიმისტურად არიან განწყობილნი სამხრეთამერიკელებიც.

**დიეგო ფორლანი:** *„მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც და ამ კონკრეტული მატჩისთვისაც კარგად ვართ მომზადებულნი. დარწმუნებული ვარ, ნახევარფინალში გასვლა და მთელი ჩვენი ქვეყნის გახარება შეგვიძლია. განის ნაკრებზე კი კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი - ესაა ყველა თვალსაზრისით ძლიერი გუნდი, რომელმაც ყველა განვლილ შეხვედრაში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა".*

**ოსკარ ტაბარესი:** *„ჩვენს გუნდში საოცარი ჰარმონია სუფევს. ამას დავუმატოთ ფეხბურთელთა მაღალი დონე და მივიღეთ გუნდი, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. ყველა ჩვენგანი ერთი გრძნობითაა განმსჭვალული - მივაღწიოთ იმ წარმატებას, რომელიც ურუგვაულ ფეხბურთს ეკადრება".*

**ლევან ჯანეზაშვილი**



განის ნაკრების ერთ-ერთი ვარჯიში

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

გერმანია

# ლიოვმა არგენტინის მინუსები იცის

## შვაინშტაიგერი: არგენტინელებისგან პროვოკაციებია მოსალოდნელი!

გერმანიის ნაკრებს სამშაბათს არ უვარჯიშია და გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** აღნიშნა, ფეხბურთელებისთვის ინგლისთან დრამატული მატჩის შემდეგ, ეს პაუზა სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოო. ზოგადად, მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო, ეს კი 48 დღის წინ მოხდა, სამშაბათს გუნდმა პირველად დაისვენა.

გუშინ დილიდან კი, იოგიმ შეგირდები კვლავ შეკრიბა და ავარჯიშა. ოთხშაბათიდან, გერმანიის ნაკრები მხოლოდ და მხოლოდ შაბათს გასამართ მეოთხედფინალურ მატჩზე ფიქრობს, რომელშიც ინგლისის გამგდები ბუნდესნაკრები მუნდიალის მომდევნო ფავორიტ არგენტინას ეთამაშება.


გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა სამშაბათს არგენტინის ნაკრების თამაშები დეტალურად გააანალიზა

ლიოვს ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ ინგლისთან მოპოვებულმა გამარჯვებამ მისი გუნდი კიდევ უფრო თავდაჯერებული გახადა. გერმანიის ნაკრების თავკაცმა პრესკონფერენციაზე განსაკუთრებით **ბასტიან შვაინშტაიგერი** შეაქო: *„შვაინი საკუთარ თავზე უდიდეს პასუხისმგებლობას იღებს, თანაც, არა მარტო მოედანზე, არამედ მის მიღმაც. ბასტიანი ყველა შეტევის წამომწყები და გუნდის იერიშების უმთავრესი ორგანიზატორია. ეს სწორედ ისაა, რასაც მისგან ვითხოვ."*

ცხადია, რომ ლიოვი შვაინშტაიგერს არგენტინასთანაც ასეთ მიდგომას მოსთხოვს. *„არგენტინის ნაკრები არის გუნდი, რომელიც შეცდომებს არავის პატიობს. ამიტომაც, შაბათს მცირე შეცდომის დაშვების უფლებაც კი არ გვაქვს, რადგან ზუსტად ვიცი, რომ არგენტინელები თითოეულ წაფორხილებას თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ,"* - გააფრთხილა ლიოვმა თავისი შეგირდები.

სამშაბათს, იოგი და მისი თანაშტაბელები დასხდნენ და არგენტინელთა თამაშები დეტალურად გააანალიზეს. ბუნდესმწვრთნელი ამბობს, არ დაიჯერებთ და „ალბისელესტეს" თამაშებში ძალიან ბევრი ისეთი რამ აღმოვაჩინე, რასაც აქამდე ვერ ვხედავდით და ვერც კი წარმოგვედგინაო. *„ჩვენ ასეთივე ანალიზი ინგლისის ნაკრების მატჩებსაც ჩავუტარეთ და მერე, ფაბიო კაპელოს გუნდის მინუსები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენეთ. რაც შეეხება არგენტინის ნაკრების სისუსტეებს, ჩემდა გასაკვირად, „ალბისელესტეს" გაცილებით ცოტა მინუსი აქვს და ამ ყველაფრის შესახებ დეტალურად ჯერ გუნდს უნდა ველაპარაკო,"* - თქვა ლიოვმა და ცხადია, **დიეგო მარადონას** გუნდში აღმოჩენილი მინუსები ჟურნალისტებისთვის არ გაუმხელია.

იმისათვის, რომ მეოთხედფინალური მატჩისთვის კარგად მოემზადოს, გერმანიის ნაკრები პრეტორიიდან კაპშტადტში დღესვე მიფრინავს, თამაში კი ზეგაა. გუშინ ვარჯიში კვლავ გამოტოვა თავდამსხმელმა **კაკაუმ**, რომელმაც ტრავმა ჯერ კიდევ ინგლისთან შეხვედრის წინა დღეს მიიღო. ლიოვი ფიქრობს, რომ შტუტგარტელი ვერც არგენტინისთვის მოასწრებს გამოჯანმრთელებას. იოგის ექიმები კი აიმედებენ, მაგრამ დიდი შანსია, რომ კაკაუ შაბათს სათადარიგოთა სკამზეც კი ვერ ვიხილოთ. ეს კი ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში **მიროსლავ კლოზეს** პირველი ალტერნატივა **მარიო გომესი** იქნება. ლიოვმა ინგლისთან **შტეფან კისლინგიც** ათამაშა, მაგრამ იმდენად ცოტა ხნით, რომ „ლევერკუზენის" თავდამსხმელმა მოედანზე ვერაფრის გაკეთება მოასწრო.

ლიოვთან ერთად, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე შვაინშტაიგერიც წარსდგა. შვაინიმ პირველივე წინადადებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ შაბათს გასამართი მატჩი პირდაპირ კავშირშია 2006 წლის მუნდიალის მეოთხედფინალურ შეხვედრასთან, რომელშიც გერმანელებმა არგენტინელები თერთმეტმეტრიანების სერიაში დაამარცხეს.

*„პენალტების სერიაზე მეტად, მატჩის შემდეგ მომხდარი ამბები დამამახსოვრდა და თანაც, ძალიან ცუდად. ის შეხლა-შემოხლა და გაწევ-გამოწევა, რაც კამბიასოს პენალტის მერე მოხდა, არასდროს დამავიწყდება,* - თქვა შვაინშტაიგერმა და იქვე დასძინა, - *მთელ გუნდს ვაფრთხილებ, ძალიან მშვიდად უნდა ვიყოთ. არგენტინელებს პროვოკაციები უყვართ და ჩვენთვის ნერვების მოსაშლელად ყველაფერს გააკეთებენ."*

საერთო ჯამში კი, შვაინშტაიგერის აზრით, წლევანდელი არგენტინა 2006 წლის „ალბისელესტესთან" შედარებით, გაცილებით ძლიერია. *„ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და მოედანზე გადავიტანოთ ყველაფერი, რასაც თამაშამდე მწვრთნელებთან ერთად მოვილაპარაკებთ. ჩვენ ისეთი ტაქტიკით ვითამაშებთ, რომელიც არგენტინას გულს ატკენს. ზოგადად, ვფიქრობ, რომ ტაქტიკურად ძალიან მძიმე თამაში იქნება, ზუსტად ისე, როგორც 2006 წელს იყო. რაც შეეხება ლიონელ მესის, ჩვენ მხოლოდ მასზე არ უნდა ვიზრუნოთ, რადგან არგენტინის ნაკრების ყველა ფეხბურთელი მაღალი კლასის მოთამაშეა. მესი კი კოლექტიურად უნდა შევაჩეროთ, რადგან მასთან ინდივიდუალური თამაშის შემთხვევაში ნებისმიერი მცველი განწირულია. მესის მუნდიალზე გოლი ჯერ არ გაუტანია და არც უნდა გაიტანოს,"* - თქვა ბუნდესგუნდის ლიდერმა.

### პოდოლსკი და იოზილი ითამაშებენ

გუშინ ვწერდით, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებმა **ლუკას პოდოლსკიმ** და **მესუთ იოზილმა** ხუთშაბათს ვერ ივარჯიშეს. გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური განცხადებით, ეს მხოლოდ და მხოლოდ სიფრთხილის გამო გადადგმული ნაბიჯი იყო. ბუნდესგუნდის ექიმების განცხადებით, პოდოლსკი და იოზილი ხვალ, არგენტინის ნაკრებთან მეოთხედფინალურ შეხვედრაში აუცილებლად ისპარეზებენ. მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფის** თქმით, პოდოლსკის კუნთი ჰქონდა დაჭიმული და პრობლემა უკვე აღმოფხვრილია.

სამაგიეროდ, დიდად საეჭვოა თავდამსხმელ **კაკაუს** ასპარეზობა, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ისედაც არ განიხილება, მაგრამ **მიროსლავ კლოზეს** პირველი ალტერნატივაა. ბირჰოფის თქმით, დიდი შანსია, რომ კაკაუ ხვალ განაცხადში არ იყოს. კლოზე კი, ხვალ თავის მესამე სანაკრებო მატჩს გამართავს.


იურგენ კლინსმანი

### კლინსმანი: ასე დაამარცხებთ არგენტინას...

ოთხი წლის წინ, მოპოვებული გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი **იურგენ კლინსმანი** გახლდათ, რომელიც მაშინ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ლიოვი კი მისი პირველი ასისტენტი გახლდათ. შესაბამისად, გასაკვირი სულაც არ არის ის, რომ გერმანელი ჟურნალისტები ამ დღეებში ყველაზე ხშირად სწორედ კლინსმანს ესაუბრებიან და სთხოვენ, საჯარო რჩევები მისცეს ლიოვს.

*„ჩემი აზრით, არგენტინა მიმდინარე მუნდიალზე საუკეთესო გუნდია,* - ამბობს კლინსი, - *მაგრამ დიეგო მარადონას გუნდი ნამდვილად არ არის დაუმარცხებელი. გასულ შეხვედრებში აშკარად გამოჩნდა, რომ „ალბისელესტეს" დაცვას ხშირად ექმნება პრობლემები. ვალტერ სამუელი და მარტინ დემიკელისი შესანიშნავი მცველები არიან, მაგრამ ზოგადად მთელ გუნდს არ ეხერხება თავის კარგად დაცვა. გერმანიის ნაკრებმა შეტევაში სწრაფი ფეხბურთი უნდა ითამაშოს და უმეტესად ფლანგებიდან, მოკლე, სწრაფი პასებით უნდა შეუტიოს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ შემთხვევაში არგენტინის ნაკრების ფლანგის მცველები არაერთხელ დაიბნევიან".*

სამაგიეროდ, კლინსმანი დარწმუნებულია, რომ მესი გერმანიასთან გაცილებით უკეთ ითამაშებს, ვიდრე მანამდე თამაშობდა.

არგენტინა

# მარადონა: შვაინშტაიგერ, ხომ არ ნერვიულობ, ბიჭუნი?!

## დიეგო გერმანიასთან უფრო ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს?

რაკი **ბასტიან შვაინშტაიგერმა** პირველი ნაბიჯი გადადგა და არგენტინის ნაკრებს კბილი გაჰკრა (ციტატა: „არგენტინელები ბინძურ ფეხბურთს თამაშობენ და პროვოკატორები არიან!"), მოსალოდნელიც იყო, რომ „ალბისელესტეს" მთავარი მწვრთნელი **დიეგო მარადონა** გერმანიის ნაკრების ლიდერს მალევე უპასუხებდა. დიეგომ დიდხანს არ გვალოდინა.

პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება შვაინიმ „შტერნისთვის" მიცემულ ინტერვიუში განავრცო: *„არგენტინელი ფეხბურთელები ყოველთვის ყვითელ ბარათს ითხოვენ, როცა მათ წინააღმდეგ ვინმე თამაშის წესს დაარღვევს. ხოლო, როცა თვითონ უხეშობენ, მსაჯებს ეკამათებიან ხოლმე. თანაც, როცა არგენტინელი თამაშის წესებს არღვევს, თვითონაც მოედანზე წვება და სიმულანტობას იწყებს,"* - უთხრა ბასტიანმა ზემოთ ხსენებულ გამოცემას.

რამდენად შეესაბამება სიმართლეს შვაინის გამონათქვამები, ახლა ამის გარჩევის არც დროა და არც ადგილი, ფაქტი კი ის არის, რომ მისმა სიტყვებმა „ალბისელესტეს" ბანაკამდე მიაღწია და რა გასაკვირია, რომ მარადონას მისი სიტყვები ყურში ცუდად მოხვდა.

*„ეს ყველაფერი როგორ გავიგო? შვაინშტაიგერ, ხომ არ ნერვიულობ? მინდა გითხრა, რომ შენი მოსაზრებები არ გვაინტერესებს. ჩვენ შურს ვიძიებთ იმისათვის, რომ 2006 წელს გერმანიამ არგენტინა დაამარცხა,* - ასე მიმართა მარადონამ შვაინშტაიგერს გუშინდელ პრესკონფერენციაზე და იქვე დასძინა, - *ახლა ნამდვილად არ მაქვს იმის დრო, რომ შვაინშტაიგერის უაზრო განცხადებებზე ვიფიქრო. არგენტინელი ფეხბურთელები მას ყველაფერზე შაბათს უპასუხებენ".*

ჩვენი არგენტინელი კოლეგები კი წერენ, რომ მარადონა გერმანიასთან მატჩისთვის ტაქტიკური სქემის შეცვლაზე ფიქრობს და უნდა, რომ „ალბისელესტე" „ბუნდესგუნდთან" შედარებით ფრთხილი ტაქტიკით ათამაშოს. არგენტინული გამოცემა „კლარინის" ცნობით, მარადონა 4-1-2-1-2 სქემის ნაცვლად, კლასიკური 4-4-2-ის გამოყენებაზე ფიქრობს, სადაც **კარლოს ტევესი** მარჯვენა ნახევარმცველი იქნება, ხოლო ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე კი, **ანხელ დი მარიას** ნაცვლად, **ხონას გუტიერესი** უნდა ვიხილოთ, რომელიც აქამდე მარჯვენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა. საქმე იმაშია, რომ გუტიერესს მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლა დი მარიაზე გაცილებით უკეთ ეხერხება. ნახევარდაცვის ცენტრში **ხუან სებასტიან ვერონისა** და **ხავიერ მასკერანოს** თამაშს წყალი არ გაუვა, თავდასხმაში კი, **ლეო მესი** და **გონსალო იგუაინი** გამწესდებიანო.


დიეგო მარადონა ბასტიან შვაინშტაიგერს შურისძიებას ჰპირდება

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## სერხიო გოიკოეჩეა

# იმედი მაქვს, მარადონა არგენტინას ტრიუმფამდე მიიყვანს

სერხიო გოიკოეჩეა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედაა აღიარებული. 1990 წლის მუნდიალი მან სათადარიგოს რანგში დაიწყო, მაგრამ ჩემპიონატის მეორე მატჩისას არგენტინელებს ნერი პუმპიდო დაუშავდათ და გოიკოეჩეამ საკუთარი შანსი შესანიშნავად გამოიყენა. მისი ჩინებული თამაშის წყალობით, არგენტინის ნაკრებმა მეოთხედფინალის თერთმეტმეტრიანების სერიაში იუგოსლავიას სძლია, ნახევარფინალში კი ასევე პენალტებით იტალიას აჯობა. მარადონამ და კომპანიამ მხოლოდ ფინალი დათმეს გერმანიასთან.

გოიკოეჩეა ფიფას ოფიციალური ვებგვერდის სტუმარი იყო. არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში უდავოდ გამორჩეულმა კიპერმა იტალიური მუნდიალიც გაიხსენა და მიმდინარე ჩემპიონატზეც ისაუბრა.

**- სერხიო, შაბათს არგენტინისა და გერმანიის შესრულებით საფეხბურთო კლასიკა გველის. რა მოგონებები გაკავშირებთ გერმანიის ნაკრებთან მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატიდან?**

- არცთუ სასიამოვნო მოგონებები. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხება ხომ ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მტკივნეული მოვლენაა. მაშინდელი ფინალი ძალიან უცნაური გამოვიდა. მუნდიალის გადამწყვეტ მატჩს არგენტინის ნაკრები შეთხელებული შემადგენლობით შეხვდა - ტრავმირებულებიც გვყავდა და დისკვალიფიცირებულებიც. ამის მიუხედავად, ბოლომდე ვიბრძოლეთ და წარმატებისთვის ძალ-ღონე არ დაგვიზოგავს.

**- ბოლო დროს თუ გინახავთ ანდრეას ბრემეს მიერ შესრულებული პენალტის ჩანაწერი?**

- ბოლო დროს კი არა, არასოდეს მინახავს. ანდა, რა აზრი ჰქონდა?!

**- 1990 წლის მუნდიალიდან ყველაზე სასიამოვნოდ რა გახსენდებათ?**

- ნახევარფინალში იტალიელი ალდო სერენას მიერ შესრულებული პენალტის მოგერიება და ამით გამოწვეული ემოციები. მაშინვე ჩემი თანაგუნდელებისკენ გავიქეცი, მერე მთელი მოედანი შემოვირბინე. იმ წუთას ვერც ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი, ვერც ვერაფერს ვხედავდი და არც არაფერი მესმოდა.

**- პენალტების მოგერიება თქვენი სპეციალობაა. რას ურჩევდით მეკარეებს ამ უმნიშვნელოვანესი სიტუაციის დროს?**

- არავითარი წინასწარი მომზადება საჭირო არაა. მთავარია, კარგად იცნობდე მოწინააღმდეგეს და იცოდე, რომელი ფეხბურთელი როგორ ასრულებს თერთმეტმეტრიანს. თავდამსხმელებს სხვა მანერა აქვთ, ნახევარმცველებს სხვა და მცველებს - კიდევ სხვა. ასევე მნიშვნელობა აქვს იმასაც, როდის სრულდება დარტყმა. ზოგჯერ სერიის დასაწყისში პენალტს სხვაგვარად არტყამენ, სერიის ბოლოს კი - სხვაგვარად. მეკარემ სიმშვიდე და საკუთარი თავის რწმენა ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს და უნდა ახსოვდეს, რომ მასზე გაცილებით დიდი ტვირთი დამრტყმელს აწევს ზურგზე.

**- ფიზიკურ მდგომარეობას არა აქვს მნიშვნელობა?**

- რა თქმა უნდა. იმის მიუხედავად, რომ უკან 120 მძიმე წუთია, მეკარე ფეხზე მყარად უნდა იდგეს. უმთავრესი კი მაინც ინტუიცია და ცოტა იღბალია, მაგრამ პირადად ჩემს წარმატებებს იღბალს ნამდვილად ვერ მივაწერ.

**- იტალიის მუნდიალისას პუბლიკას თავი ცრურწმენებითაც დაამახსოვრეთ.**



- დიახ, მაგრამ ეს ცრურწმენა სპონტანურად გაჩნდა. როცა იუგოსლავიის წინააღმდეგ დამატებითი დრო დასრულდა, არ იყო იმის საშუალება, რომ პენალტების სერიის წინ გასახდელში შევსულიყავი. მატჩამდე ბევრი სითხე მივიღე და ამის გამო თერთმეტმეტრიანების წინ ძალიან მომინდა მოშარდვა. სხვა გზა არ იყო, თანაგუნდელს ვთხოვე ჩამოფარება და ბუნებრივი მოთხოვნილება პირდაპირ მოედანზე დავიკმაყოფილე. ამ მეთოდმა წარმატებით იმუშავა და ამიტომაც იტალიასთანაც გავიმეორე (იცინის).

**- გადმოვინაცვლოთ მიმდინარე ჩემპიონატზე. ყველაზე მეტად რომელი მეკარე მოგეწონათ?**

- ჯერჯერობით, ჟულიო სეზარს დავასახელებდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მუნდიალის დარჩენილი შეხვედრები დადებითი კუთხით სხვა გოლკიპერებსაც წარმოაჩენს. თუმცა იგი მსოფლიოს ჩემპიონატისა და მთლიანად, პლანეტის საუკეთესო მეკარედ მიმაჩნია. ძალიან მომწონს არგენტინის ნაკრების კარის დარაჯი სერხიო რომეროც. მას თამაშის თავისუფალი და თავდაჯერებული სტილი აქვს.

**- დიეგო მარადონას ძალიან კარგად იცნობთ. რისი მიღწევა შეუძლია მის გუნდს?**

- დიეგომ ნაკრებში უამრავი ცვლილება განახორციელა, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რატომ. თუმცა ვერავინ უარყოფს, რომ ახალმა მწვრთნელმა ბევრი იშრომა. პროგრესის აშკარა ნიშნებიც გამოჩნდა და იმედი მაქვს, მარადონას გზა არგენტინას ტრიუმფამდე მიიყვანს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მოსაზრება



დენის ბერგკამპი

# ბერგკამპი: ტემპს უნდა მოვუმატოთ!

« მე-2 გვერდიდან

...ჰოლანდიელი ჟურნალისტები საგონებელში არიან და წერენ, რომ უბრალოდ, არ იციან რა უნდა დაუპირისპიროს მათმა ნაკრებმა ბრაზილიის ყოველმხრივ დაბალანსებულ გუნდს. რა იყო ჯგუფურ ეტაპზე და მერვედფინალში ჰოლანდიის მთავარი კოზირი? - ბურთის კატაობა მარცხნიდან მარჯვნივ, მარჯვნიდან მარცხნივ, ოდნავ წინ, ოდნავ უკან და კლასის ხარჯზე გატანილი ერთი ან ორი ბურთი. ანალოგიური სცენარით წარიმართა სლოვაკეთთან მერვედფინალური პაექრობაც და თითქოს ეს მატჩიც ჯგუფური ეტაპის გაგრძელება იყო. ამასთან, ჰოლანდიელებს თითქოს არ ჰყოფნით ურთიერთგაგება, რაც კომბინირების საშუალებას არ იძლევა. არადა, ჰოლანდიური შეტევა ერთი შეხებით თამაშისა და კომბინაციების გარეშე მართლაც რომ წარმოუდგენელია. ამასთან, სახეზეა ტექნიკური წუნი და დაბალი ტემპი - მოკლედ, **ბერტ ვან მარვიიკს** ბევრი რამის შეცვლა მოუწევს, რომ მისმა გუნდმა მეოთხედფინალში ღირსეულად ითამაშოს.

ბრაზილიელებთან ბურთის დაჭერა პრაქტიკულად წარმოუდგენელი ამბავია და შესაბამისად, ჰოლანდიელებს ძირეულად მოუწევთ სტრატეგიის შეცვლა. ჟურნალისტთა მტკიცებით, ვან მარვიიკი, როგორც პრაგმატულად მოაზროვნე სპეციალისტი, დაცვაზე ორიენტირებულ სტრატეგიას აირჩევს და შეგირდებს კონტრშეტევებზე ათამაშებს. აქ კი თავი უნდა იჩინოს ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთმა ძლიერმა მხარემ - გრძელი პასის კულტურამ. ანუ, დაკარგა მეტოქემ ბურთი, ერთი გრძელი გადაცემა ფორვარდის ან გარემარბის მიმართულებით და შეტევის ელვისებური სისწრაფით დაგვირგვინება. ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ვარიანტია, რადგან მიმდინარე ჩემპიონატზე ჰოლანდიას ყველაზე უკეთ დაცვაში გამოსდის თამაში და თუ ამას მწვავე კონტრიერიშები დაემატება, შესაძლოა სწორედ ამაში იყოს მათი შანსი. პასის კულტურაზე კი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და ჰოლანდია-არგენტინის დაპირისპირება გაგვახსენდა - **ფრანკ დე ბურის** 60-მეტრიანი გადაცემა და **დენის ბერგკამპის** ბრწყინვალე გოლი. აი, დაახლოებით ასეთი ჰოლანდიაა საჭირო ბრაზილიასთან ტოლ-სწორად სათამაშოდ და ვნახოთ, იქნებ ვიხილოთ კიდეც. მართალია, დღეს ბერგკამპის დონის პლეიმეიქერი „ნარინჯისფრებს" არ ჰყავთ, მაგრამ სამაგიეროდ, **არიენ რობენის** იმედზე შეუძლია ყოფნა, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეუძლია არაფრისგან გოლი გამოჭედოს. დენის ბერგკამპი კი შემთხვევით ნამდვილად არ გვიხსენებია - მან საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ჰოლანდიის ნაკრების ასპარეზობასა და პერსპექტივაზე:

*„ვფიქრობ, რომ ჩემპიონატის მიმდინარეობისას ამდენი კრიტიკა მხოლოდ ავნებს ჩვენს ეროვნულ გუნდს. მაინც ვერაფერს შევცვლით და უმჯობესია, უბრალოდ გავერთიანდეთ და ვუქომაგოთ. მითხარით მაშინ, რა აზრი აქვს დღეს იმაზე ლაპარაკს, რომ ვან მარვიიკის ხელში ნაკრები არცთუ სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს? - ბრწყინვალედ ვიასპარეზეთ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ როდესაც მეოთხედფინალში რუსეთთან გამოვვარდით, მთელი ნაკრები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. მახსოვს, მთავარ მწვრთნელს გამოუცდელობაში დასდეს ბრალი, ფეხბურთელთა მთელი ენერგია ჯგუფურ ბატალიებს შეალია და ყველაზე საჭირო დროს გუნდი უკვე გამოფიტული ჰყავდაო. ამიტომ, უმჯობესია უბრალოდ მივადევნოთ თვალი ჩემპიონატს და ჰოლანდიის ნაკრებს ვუქომაგოთ".*

ბერგკამპს შემდეგი კითხვა დაუსვეს: *„აქვს კი ისეთ ჰოლანდიას შანსი ბრაზილიასთან, როგორიც ჯგუფურ ეტაპზე და მერვედფინალურ პაექრობაში ვიხილეთ?"* - აქვე პასუხი: *„თუ ისე ვითამაშებთ, როგორც სლოვაკეთთან, ნამდვილად არ გვაქვს შანსი, მაგრამ საქმეც მაგაშია, რომ დიდია ალბათობა, საუკეთესო ჰოლანდია სწორედ ბრაზილიასთან ვიხილოთ. პირველი და აუცილებელი პირობა ტემპის მომატებაა - თუ უფრო სწრაფად არ ირბინეს ფეხბურთელებმა, არაფერი გამოვა. ამასთან, მეჩვენება, რომ არასწორად ვიყენებთ ცენტრალურ ფორვარდს. მას მეტწილად უკან უწევს ჩამოსვლა და გარემარბების პასებით მომარაგება. ვფიქრობ, გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, თუ ყველაფერი პირიქით მოხდება და გარემარბები მოამარაგებენ ცენტრფორვარდს ზუსტი გადაცემებით. ასეთ შემთხვევაში, რობინ ვან პერსიც გაიხსნება და გაცილებით უკეთ წარმოაჩენს თავს".*

დენისს ზოგადად მუნდიალსა და ფავორიტებზე მოუხდა საუბარი: *„არაპროგნოზირებადი ჩემპიონატია, რაც ძალიან მომწონს. მიმდინარე მუნდიალი კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, რომ საერთო დონე პრაქტიკულად გათანაბრდა. ახალი ზელანდიის ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე არც ერთი შეხვედრა არ წააგო, ნუთუ ამას ვინმე წარმოიდგენდა? - არაერთი თამაშის გახსენება შეიძლება, რომელმაც ყველანი გაგვაოცა. პირადად მე, ძალიან მომწონს ურუგვაის ნაკრების თამაში და ვფიქრობ, რომ ამ გუნდს ფინალში გასვლაც კი შეუძლია. მიზანდასახული გუნდია, ძალიან კარგი უკანახაზით და შესანიშნავი ცენტრფორვარდით. მიმდინარე მუნდიალზე არც ერთი ფეხბურთელი არ არის თავისი გუნდისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც დიეგო ფორლანი ურუგვაის ნაკრებისთვის. ვფიქრობ, ჩემპიონატს უპირობო ფავორიტი არ ჰყავს, პირიქით, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს".*

ბოლოს, დავუბრუნდეთ ჰოლანდიის ნაკრებს და არიენ რობენის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მიუნხენის „ბაიერნის" გარემარბს ჯერ კიდევ არ მოშუშებია ბოლომდე ტრავმა და სლოვაკებთან გამაყუჩებლებით ითამაშა. თუმცა, გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, არიენი ბრაზილიასთან მთელი 90 წუთის განმავლობაში შეძლებს მოედანზე ყოფნას. აი, თუ დამატებითი დრო დაინიშნა, შემდეგ უკვე ექიმები ჩაერევიან საქმეში და თავის სიტყვას იტყვიან. ანუ, ბერტ ვან მარვიიკს რობენთან დაკავშირებით პრაქტიკულად მწვანე აუნთეს.

**ლაშა ნიკლაური**

პორტუგალია

# კეიროში წასვლას არ აპირებს

ლისაბონში დაბრუნებულ პორტუგალიის ნაკრებს მცირე რაოდენობის გულშემატკივარი დახვდა. ქომაგები ოვაციებით შეეგებნენ მეკარე **ედუარდოს**, **კარლუშ კეიროშს** კი თანამემამულენი სტვენითა და გადადგომის მოწოდებით დახვდნენ.



კარლუშ კეიროში

ამის მიუხედავად, პორტუგალიელთა თავკაცი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. *„ბუნებრივია, ძალიან გულდაწყვეტილები ვართ, მსოფლიოს ჩემპიონატს ასე ნაადრევად რომ გამოვეთიშეთ, ჩვენ ხომ სამხრეთ აფრიკაში დიდი მიზნებით გავემგზავრეთ. თუმცა ჩვენი სინდისი სუფთაა, შრომატევადი სამუშაო გავწიეთ და მისია შევასრულეთ. გადადგომაზე კი წამითაც არ მიფიქრია. შეცდომები კარგად უნდა გავაანალიზოთ და სექტემბრიდან გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება"*, - აცხადებს კეიროში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლა ლიგა ტრანსფერები

# სილვა იქა, ფაბრეგასი აქა?
## ესპანეთის ცხელი ზაფხული

ზედ მუნდიალის წინ **ფერნანდო ტორესმა** თქვა, რომ ინგლისური პრემიერლიგა ბევრად სჯობს ესპანურ ლა ლიგასო. *„ესპანეთში შეიძლება უკეთესი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ როგორც ტურნირი პრემიერლიგა გაცილებით სრულყოფილი შეჯიბრებაა. მითამაშია ესპანეთში და ვიცი, რასაც ვამბობ - პრემიერლიგა ბევრად წინ არის“*, - თქვა მაშინ „ელ ნინიომ“ და ძნელია არ დაეთანხმო მას. ახლა კი რა ხდება, ლა ლიგამ იმ „უკეთესი“ ფეხბურთელების დაკარგვაც დაიწყო პრემიერლიგის სასარგებლოდ. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო სეზონი ახლა გახურდა (ოფიციალურად სულაც გუშინ გაიხსნა) და წინ ბევრი ცვლილება გველის, ესპანეთში უკვე რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა და დასკვნების გამოტანაც უკვე შეიძლება...

ჯერჯერობით, ორი პროცესი გამოიკვეთა, პირველზე უკვე მოგახსენეთ და მეორე გაცილებით საგანგაშოა - თუ ასე გაგრძელდა „ბარსელონა“ და „რეალი“ კიდევ უფრო გაძლიერდებიან და მათსა და სხვა კლუბებს შორის უფსკრული უკვე თვალუწვდენელი გახდება, რადგან ახლა გრანდებმა გაძლიერება უშუალო კონკურენტების ხარჯზე მოინდომეს.


დავიდ სილვა

რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? ფაქტები და ხმები, რაც გუნდების „სამზარეულოდან“ პერიოდულად გამოდის. ვინ გაუწია ყველაზე დიდი წინააღმდეგობა „რეალს“ და „ბარსელონას“? „ვალენსიამ“ (თუმცა მაინც 28 ქულით (!) ჩამორჩა ჩემპიონს). ამ დროს „ვალენსიამ“ დაკარგა თითქმის ყველა ვისი დაკარგვაც შეიძლებოდა: **დავიდ ვილია, ნიკოლა ჟიგიჩი, დავიდ სილვა**, „ჩემოდნებზე ზის“ **ხუან მატაც**. ამ ფეხბურთელების შემცვლელებად მოვიდნენ: **რობერტო სოლდადო, მეჰმეთ თოფალი** და **რიკარდო კოშტა** ზემოთ ჩამოთვლილთა სრულფასოვანი ალტერნატივა ვერ არიან. რა ქნას „ვალენსიას“ ხელმძღვანელობამ? - მიმდინარე ვალებს გასტუმრება უნდა...

მეოთხეადგილოსან „სევილიას“ ჯერ არავინ დაუკარგავს, თუ არ ჩავთვლით ლიტველ **მარიუს სტანკევიჩიუსს**, რომელსაც იჯარის ვადა დაუსრულდა და იტალიაში დაბრუნდა, მაგრამ ყველაზე სახელიანი ფეხბურთელი ვინც დაიმატა, **მამადუ დაბოა**. რაც მთავარია, „სევილიას“ ყველაფერი „წინ აქვს“, რადგან აქტიურად საუბრობენ, რომ ანდალუსიელთა მთავარ ვარსკვლავს, **ლუიშ ფაბიანოს** „მილანი“ წაიყვანს. გასული სეზონის წინ „სევილიას“ ხელმძღვანელობა ტიტულისთვის ბრძოლაზე ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა. აქედან რა გამოვიდა, ყველამ იცის...

კიდევ უფრო გაურკვეველ მდგომარეობაში იყო მე-5 ადგილზე გასული „მალიორკა“, გუნდს ევროთასების საგზურის ჩამორთმევასაც უპირებდნენ, ბალეარელებმა ვერ შეინარჩუნეს შესანიშნავი მწვრთნელი, ვერც ფეხბურთელები. კიდევ კარგი, გაკოტრებული გუნდი კომერციულმა ჯგუფმა შეიძინა, რომელსაც „მალიორკას“ ყოფილი მწვრთნელი **ლორენსო სერა ფერერი** ხელმძღვანელობს, თორემ გუნდი ალბათ პრიმერაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებდა. „რეალისა“ და „ბარსელონას“ კონკურენტთა დამცრობის თემა რომ გავაგრძელოთ ალვნიშნავთ, რომ ევროთასებზე გასულმა „ხეტაფემ“ ვერ შეინარჩუნა საუკეთესო ფეხბურთელი **რობერტო სოლდადო**, მხოლოდ დანაკარგი აქვს „ვილიარეალს“. მოკლედ, საიუბილეო, მე-80 პრიმერაში ისევ „ბარსელონასა“ და „რეალის“ დუელი გველის.

აი, ეს ორი გრანდი კი მიზანმიმართულად ძლიერდება და სხვებთან უფსკრულიც ფართოვდება. ჯერ პრეტენდენტზე ვთქვათ - „სამეფო კლუბის“ მთავარი ტრანსფერი **ჟოზე მოურინიოა**, პორტუგალიელმა თავკაცმა „ინტერთან“ ერთად „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და ის „სანტიაგო ბერნაბეუზევე“ დარჩა. მიზანი ცხადია, გოლიათთა ჭიდილში „ბარსას“ დამარცხება, რაც ვერ გამოუვიდა **მანუელ პელეგრინის** და, მიუხედავად იმისა, რომ „რეალმა“ უამრავი რეკორდი დაამყარა, ჩილელს კარზე მიუთითეს. მოურინიომ „ახალი რეალის“ შენება უკვე დაიწყო. პირველი ქვა უკვე დადებულია საძირკველზე - არგენტინელი **ანხელ დი მარია** 25 მილიონ ევროდ „სამეფო კლუბის“ წევრი გახდა. „ესპანური ფეხბურთის პრინცი“ **სერხიო კანალესი** „რეალთან“ ერთად გაივლის შეკრებას და შეიძლება ისიც დარჩეს გუნდში და აღარ გაანათხოვრონ „რასინგში“. ეს ჯერ კიდევ დასაწყისია, „რეალი“ კიდევ გაძლიერდება - სულ მალე იქ ბრაზილიელ **მაიკონს** ვიხილავთ.

„ბარსელონაში“ ახალი ბოსია - **სანდრო როსელი, ჟოან ლაპორტას** 7-წლიანი ზეობა 1 ივლისისთვის დასრულდა. ლაპორტამ წასვლამდე დიდი შენაძენი გააკეთა - „ვალენსიას“ და ესპანეთის ნაკრების ბომბარდირი დავიდ ვილია „სულ რაღაც“ 40 მილიონ ევროდ შეიძინა. რიგში არანაკლები ტრანსფერებია - **სესკ ფაბრეგასის**, ხუან მატასი...

მოკლედ, ჯერ ახლადგახურებული სატრანსფერო სეზონის მთავარი შენაძენი ლა ლიგასთვის არგენტინელი ანხელ დი მარიაა (25 მილიონი ევრო), მთავარი დანაკარგი კი დავიდ სილვა (30 მილიონი ევრო, „მანჩესტერ სიტი“). თუმცა მთავარი ტრანსფერი უთუოდ დავიდ ვილიას „ბარსელონაში“ გადასვლაა. ზაფხულის სატრანსფერო სეზონი 31 აგვისტოს შუა ევროპის დროით 24 საათზე დაიხურება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ლაუდრუპი მალიორკაში ინიშნება

„მარკას“ ცნობით, „მალიორკას“ ახალ გენერალურ მენეჯერ **ლორენსო სერა ფერერს** უკვე შერჩეული ჰყავს ახალი მწვრთნელის კანდიდატურა - დანიელი **მიქაელ ლაუდრუპი**. მას შემდეგ, რაც კრიზისში მყოფ კლუბთან ურთიერთობის გაგრძელება აღარ ისურვა **გრეგორიო მანსანომ**, გუნდი უმწვრთნელოდაა. ლაუდრუპი თავადაც დაინტერესებულია ახალი სამუშაოთი. უახლოეს ხანებში ფერერი და ლაუდრუპი ერთმანეთს შეხვდებიან და გაუზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს. 46 წლის ლაუდრუპს მას შემდეგ არ უმუშავია, რაც 2009 წელს მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. პრიმერაში ლაუდრუპს „ხეტაფე“ ჰყავს გაწვრთნილი (2007-2008 წლების სეზონში).

## ვილიარეალმა სენას ფასი დაადო

„ვილიარეალი“ აპირებს 33 წლის გამთამაშებელ **მარკოს სენას** შეელიოს. სენას ყიდვა თურქულ და არაბულ კლუბებს სურთ, მისით ბრაზილიური „სან პაულუც“ არის დაინტერესებული. „ელ სუბმარინოს“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მარკოს სენა 3 მილიონი ევრო ღირს და პოტენციურ მყიდველს მხოლოდ ამ ფასზე დაელაპარაკება. ყველაზე მეტად „ალ აჰლი“ აქტიურობდა, მაგრამ არაბულ კლუბს ვეტერანი ნახევარმცველის თავისუფალი აგენტის სტატუსით დამატება სურს და მასში სატრანსფერო თანხის გადახდას სულაც არ აპირებს.

## ალბერტო კოსტა ვალენსიელია

„ვალენსიამ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „მონპელიედან“ 25 წლის არგენტინელი შემტევი ნახევარმცველი **ალბერტო „ტინო“ კოსტა** შეიძინა. კოსტა კონტრაქტს სამედიცინო შემოწმების გავლისთანავე მოაწერს ხელს. არგენტინელი „ლამურების“ ხელმძღვანელობას „მანჩესტერ სიტიში“ გადასული **დავიდ სილვას** შემცვლელად ესახება. „ვალენსიამ“ (დაზუსტებული ცნობით) სილვა ინგლისში 30 მილიონ ევროდ გაყიდა, კოსტას სანაცვლოდ კი ესპანური გუნდი ფრანგულს, სავარაუდოდ, 6 მილიონ ევროს გადაუხდის. „ტინომ“ „მონპელიეში“ ბოლო ორი სეზონი გაატარა, 66 თამაშში 15 გოლი გაიტანა და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალია


ჩეზარე პრანდელი (მარჯვნივ) გუშინდელ პრეზენტაციაზე

# პრანდელი: ახალი ლიდერი დე როსი იქნება
## დებიუტი 10 აგვისტოს, სპილოებთან...

გუშინ იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელის **ჩეზარე პრანდელის** წარდგენა შედგა. როგორც ვწერდით, „პარმასა“ და „ფიორენტინას“ ყოფილმა თავკაცმა წინა დღეს „ფედერკალჩოსთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. გუშინ გაირკვა ისიც, რომ პრანდელის დებიუტი 10 აგვისტოს ელოდება - ლონდონის „ფულჰემის“ არენა „ქრივენ ქოთიჯზე“ „სკუადრა აძურა“ კოტ დ'ივუარის („სპილოები“) ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ასე რომ, ტიფოზების უმრავლესობა პრანდელის გუნდის პრემიერას პირადად ვერ ნახავს...

დავუბრუნდეთ პრეზენტაციას, რომლის ყველაზე საინტერესო ნაწილად პრესკონფერენცია იქცა. სინიორ ჩეზარემ ნაკრების ახალი ლიდერიც კი დაასახელა - „რომას“ ნახევარმცველი **დანიელე დე როსი**.

*„დე როსის აქვს ყველა საჭირო თვისება საიმისოდ, რათა ნაკრების ლიდერის როლი იტვირთოს. მას უკვე დიდი გამოცდილება დაუგროვდა და შეიძლება, ყველასთვის სამაგალითო იყოს, ისევე, როგორც ანდრეა პირლო. ხალხი პატივს სცემს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მოედანზე იმაზე მეტად იხარჯებიან, ვიდრე ქომაგები ითხოვენ. მაგრამ პირველ რიგში მთავარია, გავიგო , რომელი ფეხბურთელები არიან მზად ახალი გამოწვევის მისაღებად“.*

შემდეგ პრანდელის **ანტონიო კასანოზე** ჰკითხეს. მწვრთნელმა უპასუხა: *„ის ახლა უფრო მშვიდი და დაბრძენებულია. იმედია, მეუღლე დადებითად შეცვლის მის ცხოვრებას“.*

ცნობილია, რომ პრანდელის წინამორბედი **მარჩელო ლიპი** ასაკოვან ფეხბურთელებს ეყრდნობოდა, თავად პრანდელიმ კი სახელი გაითქვა ახალგაზრდებთან ნაყოფიერი მუშაობით. ის დარწმუნებულია, რომ კალჩოს მომავალი ადგილობრივ საფეხბურთო აკადემიებში იჭედება და რომ კლუბებმა ინვესტიციები სწორედ ამ სფეროსკენ უნდა მიმართონ.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხი - უცხოეთში დაბადებული, იტალიური პასპორტის მქონე (მაგალითად, **მაურო კამორანეზი**) ფეხბურთელები. რომელ მათგანს შეიძლება ჰქონდეს „აძურაში“ მიწვევის პერსპექტივა?

პრანდელი: *„თუ მათ აქვთ იტალიური პასპორტი და აკმაყოფილებენ ეროვნული გუნდის მოთხოვნებს, არ მესმის, რატომ არ უნდა ვუხმოთ მათ „სკუადრა აძურაში“?! და საერთოდ, ამ ქვეყანას ჰყავს საკმარისად კარგი ფეხბურთელები საიმისოდ, რათა იტალიის ნაკრები მსოფლიოს ოთხ წამყვან (არ დაუკონკრეტებია - რედ) გუნდს შორის იყოს“.*

ბოლოს დაისვა კითხვა ფეხბურთში ტექნოლოგიების დანერგვაზეც, გამომდინარე იმ სამსაჯო შეცდომებიდან, რასაც მუნდიალზე ჰქონდა ადგილი და შეიძლება, მომავალშიც ჰქონდეს:

*„მე ვემხრობი ვიდეოტექნოლოგიების გამოყენებას. ჯერ ერთი, ეს მაქსიმალურად აგვაცილებს თავიდან გულშემატკივრებს შორის ძალადობას, რაც ასე გახშირებულია. და მეორეც - ფანტასტიკური იქნებოდა სპორტში მისი გამოყენებაც“.*

**ლაშა ნიკლაური**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BC BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:
„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები”.



ლელა მებურიშვილი:
„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა”.



დირექტორი დალი ლომიძე:
„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს”.

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# კანავაროს ბონუჩი შეცვლის!

კატასტროფული სეზონის შემდეგ, ტურინის „იუვენტუსი" გაძლიერებას განაგრძობს. მოგეხსენებათ, ამ დღეებში „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელებმა გულშემატკივრებს ორი ახალი ტრანსფერის შესახებ აუწყეს: „იუვემ" „კატანიადან" ურუგვაელი ნახევარმცველი **ხორხე მარტინესი**, ხოლო „ბარიდან" კი უაღრესად პერსპექტიული მცველი **ლეონარდო ბონუჩი** გადაიბირა. „იუვენტუსის" ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ ბონუჩიმ და მარტინესმა ტურინულ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტები გააფორმეს.

ბონუჩის სანაცვლოდ, რომელსაც იტალიაში ახალ **ფაბიო კანავაროს** უწოდებენ, „იუვენტუსმა" „ბარის" 15.5 მილიონი ევრო გადაუხადა და ცხადია, რომ ამ უკანასკნელმა „იუვეში" სწორედ კანავარო უნდა შეცვალოს, რომელმაც ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ „ალ აჰლისთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რადგან „ბებერი ქალბატონის" შეფებმა ახალი ხელშეკრულება არ შესთავაზეს. მარტინესის ტრანსფერი კი ტურინელებს 12 მილიონი დაუჯდათ.

ბონუჩი და მარტინესი „იუვენტუსისთვის" რიგით მესამე და მეოთხე შენაძენები არიან. კლუბის ახალმა ბოსმა **ანდრეა ანიელიმ** უკვე გადაიბირა „უდინეზესა" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი **სიმონე პეპე** და „მილანის" მეკარე **მარკო სტორარი**. ამ უკანასკნელის ტრანსფერი იმით გახლდათ გამოწვეული, რომ **ჯანლუიჯი ბუფონი** ოპერაციას იკეთებს და იანვრამდე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა" გასულ სეზონში, სერია A-ში, ყველასათვის მოულოდნელად, მეშვიდე ადგილი დაიკავა.

*„ბონუჩის ტრანსფერი ჩემთვის ყველაზე პრიორიტეტული იყო, რადგან ეს არის მცველი, რომელიც უკვე უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. ვფიქრობ, ბონუჩი კანავაროს იდეალურად შეცვლის. მარტინესი კი არის ნახევარმცველი, რომელიც ასევე ძალიან მჭირდება. ის ჩემს სქემაში იდეალურად ჯდება,"* - განაცხადა „იუვეს" ახალმა მწვრთნელმა **ლუიჯი დელ ნერიმ**.

**გოტფრიდ ლენცი**

აღსარება

# ჰანსონი შეცდომამ აატირა

შვედი **მარტინ ჰანსონი** ის არბიტრია, საფრანგეთის ნაკრებს ირლანდიასთან საფლეიოფო მატჩში უწესოდ გატანილი გოლი რომ ჩაუთვალა და ამით „სამფეროვნებს" სამხრეთაფრიკული მუნდიალისკენ გაუკვალა გზა. თავად ჰანსონი კი იმ შეცდომის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე არ მიუწვევიათ.

მუნდიალის მერვედფინალში მომხდარი ორ გახმაურებულ ამბავს ბევრი მსაჯის კომენტარი მოჰყვა და ჰანსონიც მათ შორისაა. მას პირდაპირ არ უთქვამს, რომ ვიდეოგამეორებების შემოღების მომხრეა, მაგრამ მისი მონაყოლიდან ქვეტექსტი იოლად ამოსაკითხია. სკანდინაველმა მსაჯმა დეტალურად გაიხსენა ის განცდები, რაც ზემოთ ნახსენები გახმაურებული შეხვედრისას და მისი დასრულების შემდეგ დაეუფლა.

*„როცა მსაჯი სერიოზულ შეცდომას უშვებს, შეიძლება ამას უცებ ვერც მიხვდეს. ასე დამემართა მეც. ჩემი საქციელი მხოლოდ მას შემდეგ გავისიგრძეგანე, როცა სასტუმროში დავბრუნდი და მატჩის ჩანაწერი ვნახე. ვერც მე და ვერც ჩემმა ასისტენტებმა ტიერი ანრის ხელით თამაში ვერ შევნიშნეთ. რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ მან ბურთი ან თავით, ანაც მხრით გაიჩერა. ამაში მარტო მატჩისას კი არა, მისი დასრულების შემდეგაც კი დარწმუნებული ვიყავი. ოცი წელია, რაც მსაჯი ვარ, ფიფას არბიტრი კი ათი წლის წინ გავხდი და კარიერაში დაშვებული ერთი შეცდომის გამოსწორების საშუალება რომ მომეცეს, ამ ეპიზოდს ავირჩევდი. მართალია თუ არა, რომ იმ მომენტის განმეორებით ნახვისას ვიტირე? მართალია. ყველა მე მაკრიტიკებდა: ჟურნალისტები, ფეხბურთელები, ჩინოვნიკები... ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ძნელი ასატანი იყო. მდგომარეობა ოდნავ შემიმსუბუქდა მას შემდეგ, რაც ფიფას სპეციალურმა კომისიამ ვიდეოანალიზი ჩაატარა და დაადგინა, რომ ჩემი მხედველობის არე შეზღუდული იყო და არ შემეძლო იმის დანახვა, რომ ანრიმ ხელით ითამაშა.*

*ფოსტით უამრავი წერილი მივიღე, რომელთა შინაარსიც სულაც არ ჰგავდა საშობაო მისალოცი ბარათის შინაარსს. ჟურნალისტები სისტემატურად აწუხებდნენ ჩემს მშობლებს, რომლებიც სოფელში ცხოვრობდნენ. ისინი მათთან დღისითაც და ღამითაც ჩადიოდნენ და სახლის ფოტოებს იღებდნენ. მოკლედ, მე და ჩემმა ოჯახმა ურთულესი პერიოდი გამოვიარეთ. რა თქმა უნდა, ჩემი პროფესიის ადამიანი მსგავსი უსიამოვნებებისგან დაზღვეული არაა, მაგრამ მაინც მიფიქრია, ღირდა თუ არა სამსაჯო კარიერა ამდენ დავიდარაბად. როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, ის მატჩი კიდევ ერთხელ ვნახე და დავრწმუნდი, რომ იმ საბედისწერო მომენტამდე იდეალურად ვმსაჯობდი. ეს ჩემი კარიერის საუკეთესო თამაში უნდა ყოფილიყო! ყველა რთულ ეპიზოდში სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ერთის გარდა".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

მოსალოდნელი დანიშვნა

# მათეუსი კამერუნში მიდის

## თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლოთარი ლე გენს შეცვლის

მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი **ლოთარ მათეუსი** დუმს და კომენტარის გაკეთება არ უნდა, „კიკერი" სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ 49 წლის ლოთარი ცოტა ხანში კამერუნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნება. მათეუსმა, რომელსაც ბუნდესლიგაში 150 მატჩი აქვს ჩატარებული, ამ თანამდებობაზე ფრანგი **პოლ ლე გენი** უნდა შეცვალოს, რომელიც იმის გამო გადადგა, რომ კამერუნმა მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მათეუსმა კამერუნის ფეხბურთის ფედერაციასთან პირველი მოლაპარაკებები უკვე გამართა. კერძოდ, ლოთარი ტელეფონით ესაუბრა ფედერაციის პრეზიდენტ **მოჰამედ იას**. „კიკერის" ცნობით, ყველა დეტალი შეთანხმებულია და უახლოეს მომავალში, მათეუსი კონტრაქტს გააფორმებს. „კიკერი" იმასაც წერს, რომ მათეუსს კამერუნში რეკომენდაცია **ფრანც ბეკენბაუერმა** გაუწია, რომელიც კამერუნის ნაკრების მრჩეველი გახლავთ.

**გოტფრიდ ლენცი**

# მორიენტესი მარსელს დაემშვიდობა

გუშინ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე „მარსელმა" და **ფერნანდო მორიენტესმა** ურთიერთთანამშრომლობა ოფიციალურად შეწყვიტეს. კონტრაქტის მიხედვით, ვეტერან ესპანელ ფორვარდს ფრანგული კლუბის ღირსება კიდევ ერთი სეზონის განმავლობაში უნდა დაეცვა. მორიენტესს უკვე თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია ახალი ადგილსამყოფელის მოძებნა. გასულ სეზონში მან „მარსელის" შემადგენლობაში მხოლოდ 12 მატჩი ჩაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




ისარგებლეთ ფრენების გაზრდილი სიხშირით.ახლა შეგიძლიათ იმოგზაუროთ პრაღაში კვირაში ექვსჯერ და ისარგებლოთ ტრანზიტული რეისებით სხვადასხვა მიმართულებით. ავიაბილეთის საფასური ევროპაში — 220 ევროდან. დაგეგმეთ მოგზაურობა დღესვე და ისიამოვნეთ კომფორტული აერობუსით. დაჯავშნეთ თქვენი ბილეთი და ინფორმაციისათვის მიმართეთ 995 32 227941 ან info@czechairlines.ge.

ბილეთის ღირებულებაში მოსაკრებლები არ შედის.

www.czechairlines.com

CSA CZECH AIRLINES SKYTEAM

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული




როი ჰოჯსონი ლივერპულის მაისურით

# ჰოჯსონის პირველი წარმატება

მოკლედ, **როი ჰოჯსონი** „ლივერპულის" მწვრთნელად დაინიშნა. „საკლუბო ფეხბურთში ამაზე დიდი თანამდებობა არ მეგულება, - თქვა მან, - ბედნიერი ვარ, რომ ნდობა გამომიცხადეს და ბრიტანეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ჩამაბარეს. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები ფეხბურთელებსა თუ გულშემატკივარს".

გუშინ დილით, ბრიტანული დროით 9 საათსა და 20 წუთზე ლონდონის „ფულჰემმაც" დაადასტურა, რომ ჰოჯსონი მისი თავკაცის თანამდებობიდან გადადგა.

ამთავითვე ცნობილია, რომ ტრანსფერებისთვის მერსისაიდელთა ახალ თავკაცს 15 მილიონ ფუნტს მისცემენ. ინგლისელმა სპეციალისტმა უკვე დაიწყო იმ ფეხბურთელებზე ფიქრი, რომლებიც **ხავიერ მასკერანოს** „ბარსელონაში" და **იოსი ბენაიუნის** „ჩელსიში" გადასვლის შემთხვევაში დასჭირდება. მოგახსენებთ, რომ მასკერანოს გაყიდვამ მერსისაიდელებს, წესითა და რიგით, კიდევ 25 მილიონი ფუნტი უნდა შემატოს, ხოლო ბენაიუნის ტრანსფერმა - 6 მილიონი. ვის შეძენაზე ფიქრობს ჰოჯსონი? უპირველეს ყოვლისა ლაპარაკია **ჟილბერტო სილვაზე, ბრედ ჰანგელანდსა** და **რაფაელ ვან დერ ვაარტზე**, თუმცა, მოდი არც **დენი მერფის** დაბრუნება გამოვრიცხოთ. შეგახსენებთ, რომ 33 წლის დენი მერფი „ლივერპულში" 1997-2004 წლებში გამოდიოდა, დღეს კი „ფულჰემის" ფეხბურთელია.

თუმცა, დავუბრუნდეთ მთავარ სატრანსფერო საკითხებს: იმ შემთხვევაში თუკი მასკერანო მართლა გადავა „ბარსელონაში", როგორც ჩანს, მის ადგილს „არსენალის" ყოფილი ნახევარმცველი სილვა დაიკავებს. სილვა, მოგეხსენებათ, ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონატზეა და ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში შესანიშნავად თამაშობს. გარდა ამისა, საბერძნეთში შექმნილი მძაფრი ეკონომიკური კრიზისის გამო, „პანათინაიკოსმა" მის შენარჩუნებაზე ხელი აილო და ყიდის.

კიდევ, ჰოჯსონს „ენფილდ როუდზე" „არსენალისთვის" ოდესღაც სასურველი ფეხბურთელი ჰანგელანდიც გაჰყვება - მერფისა არ იყოს, ბოლოხანს ისიც „ფულჰემში" გამოდიოდა. აი, რაც შეეხება ვან დერ ვაარტს, მის „ლივერპულში" გადასვლას შეიძლება მადრიდის „რეალის" ახალმა თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** შეუშალოს ხელი.

თუმცა, ჰოჯსონმა სატრანსფერო ბაზარზე პირველი წარმატება უკვე მოიპოვა - გუშინდლამდე ის ჯერ კიდევ არ გახლდათ მერსისაიდელთა თავკაცად დანიშნული, მაგრამ ძალიან გაუხარდა, როდესაც შეიტყო, რომ 29 წლის სერბმა **მილან იოვანოვიჩმა** ყველაფერი მოაგვარა და ამიერიდან „ლივერპულის" ფეხბურთელია. სერბთან ინასწარი ხელშეკრულება ჯერ კი კვ „ლივერპულის" წინა მწვრთნელს **რაფა ბენიტესს** ჰქონდა გაფორმებული, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად გამოსვლით გაყოყოჩებულმა გადაწყვიტა ბედი ეცადა და გერმანიის კარში გამარჯვების გოლის გატანის შემდეგ განაცხადა, თუ ვინმეს ჩემი ლიეჟის „სტანდარდიდან" წაყვანა უნდა, მზად ვარ მოველაპარაკო. ინტერესი „ოლიმპიაკოსმა" და ბენიტესის ახალმა კლუბმა მილანის „ინტერმა" გამოთქვეს, თუმცა მერსისაიდელებმა წარბი არ შეიხარეს, უჯრიდან წინასწარი ხელშეკრულება ამოიღეს და ყველას თვალწინ აუფრიალეს - „სტანდარდსა" და საკუთრივ ფეხბურთელს ხელი აქვთ მოწერილი, რომ ტრანსფერის შემთხვევაში იოვანოვიჩი უპირველეს ყოვლისა „წითლებში" გადმოვა და სხვაზე მხოლოდ ჩვენი უარის შემდეგ შეუძლია იფიქროსო. ამან აცმუკებული სერბი, როგორც ჩანს, დაადინჯა და განაცხადა, რომ „ლივერპულთან" სამწლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულებას აწერს ხელს. მან ისიც თქვა, რომ განსაკუთრებით ჰოჯსონთან თანამშრომლობის პერსპექტივა ხიბლავს.

„მე „ლივერპულში" მივდივარ, სადაც სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, - უთხრა ჟურნალისტებს თავდამსხმელმა, - ეს უკვე წინასწარი კი არა, ნამდვილი კონტრაქტია. ამ გუნდიდან ბენიტესის წასვლამ პირადად ჩემთვის არაფერი შეცვალა. „ლივერპულის" ხელმძღვანელებთან ყველანაირი პირობა შეთანხმებული მაქვს და ყველაფრით კმაყოფილი გახლავართ. მსურს, მწვრთნელი პირველსავე დღეს დავარწმუნო, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსი ვარ".

სიახლე თიაქრის მკურნალობაში







საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის" საავადმყოფო

არასაფეხბურთო...

# სიყვარულის და კლანის ამბავი

ინგლისის ეროვნული გუნდის წარუმატებლობას ფანები კვლავ მძაფრად განიცდიან. **ფაბიო კაპელოს** სამსახურიდან მოსახსნელად გახდომია საქმე. ინგლისელების მძლეველი გერმანიის გუნდი კვლავ სამხრეთ აფრიკაშია და არგენტინასთან დიდი მატჩისთვის ემზადება, **ფრენკ ლემპარდი** კი... თუმცა, რა? ლემპარდი მაინც გაზეთების ყურადღების ცენტრშია და ფული რომ არ აკლია, ეს ხომ დიდი ხანია ვიცით - ლემპარდი და **კრისტინ ბლიკლი** ურთიერთობას აღარ მალავენ. მათ საჯაროდაც კი აკოცეს ერთმანეთს და ამ ფოტოებმა უკვე მოირბინა მთელი ბრიტანეთი.

დავაზუსტოთ: ვინ არის კრისტინ ბლიკლი? ეს გახლავთ ცნობილი ადამიანი. 31 წლის ჩრდილოირლანდიელი ტელევარსკვლავი, BBC-ერთის თანაწამყვანი, დილის პროგრამა The one show-ს წამყვანი და სხვა მრავალი რეიტინგული ტელეპროექტის მონაწილე. მას და „ჩელსის" ნახევარმცველს დიდი ხანია ერთად ხედავენ, თუმცა წყვილი გრძნობებს მალავდა და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა აქვთ. მაგრამ, ყოვლისშემძლე ინგლისურ ტაბლოიდებს რას გამოაპარებ - საკმარისი იყო ფრენკსა და კრისტინს სარდინიაზე თავი სამშვიდობოს ეგრძნოთ, რომ პაპარაცებმა „დაუჩხაკუნეს". ცნობისთვის: ლემპარდი და ბლიკლი სარდინიაზე მარტონი არ ისვენებენ, მათ ფრენკის დეიდაშვილი **ჯეიმი რედნაპი** და მისი მეუღლე **ლუიზიც** თან ახლავთ. „ლელოს" მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჯეიმი რედნაპის მამა „ტოტენჰემის" მწვრთნელი, ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი **ჰარი რედნაპია**, რომლის მეუღლე ფრენკ ლემპარდის დეიდა გახლავთ. საკუთრივ ჯეიმი რედნაპის ამბავს კი აბა, რა შეხსენება უნდა. ის თამაშობდა „ლივერპულსა" და „ტოტენჰემში", ხოლო ინგლისის ნაკრების მაისური 17-ჯერ აქვს მორგებული. გარდა ამისა, „ლელოში" ხშირად ვთარგმნით „დეილი მეილში" გამოქვეყნებულ მის ანალიტიკურ წერილებს პრემიერლიგის შესახებ.

ასე და ამგვარად, ფრენკ ლემპარდისა და კრისტინ ბლიკლის რომანი გახმაურებული და გამომზეურებულია, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების ჩაფლავებით გამოწვეული გულისწყრომა - დავიწყებული. როგორც ტაბლოიდები წერენ, ის ფაქტი, რომ ბლიკლი რედნაპებთან ერთად ისვენებს იმას მიუთითებს, რომ ის ფრენკის ოჯახში მიღებული ადამიანია.

რაკილა ლემპარდ-რედნაპების „კლანზე" ვლაპარაკობთ, შეგახსენებთ, რომ ფრენკის მამა 61 წლის ფრენკი-უფროსიც ფეხბურთელი იყო. ის „ვესტ ჰემში" თამაშობდა და 1981 წელს თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალის ორივე შეხვედრაში ითამაშა. შეგახსენებთ იმასაც, რომ ფრენკ ლემპარდ-უფროსის მეუღლე ანუ ახლანდელი ვარსკვლავის დედა პეტი 2008 წელს, 58 წლისა სიმსივნისგან გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ კრისტინ ბლიკლი სამხრეთ აფრიკაშიც გახლდათ და გერმანელებთან ცნობილ შეხვედრაში ფრენკს (რომელსაც გოლი არ ჩაუთვალეს) ტრიბუნიდან ამხნევებდა. სამხრეთ აფრიკიდან ტელევარსკვლავი დამარცხებული და თავჩაქინდრული ნაკრების თვითმფრინავს გამოჰყვა - თანადგომაც ამას ჰქვია. ტაბლოიდების ამბავი კი მართლაც გასაკვირია. მათ აღმოაჩინეს, რომ კრისტინს თითზე ბეჭედი ეკეთა და ჩათვალეს, რომ ის და ფრენკი სადაცაა დაქორწინდებიან, თუმცა ქალის აგენტმა განაცხადა, რომ ეს სიმართლე არ არის და ბეჭედი, რომელსაც პრესამ დიდი ყურადღება დაუთმო (და რომელიც დიდი შანსია ბოლოს მართლაც საქორწინო გამოდგეს), კრისტინს ხან ერთ ხელზე უკეთია და ხან მეორეზე. გაზეთები შეგვახსენებენ, რომ ფრენკი და კრისტინი ერთმანეთს შარშან ოქტომბრიდან ხვდებიან.





ფრენკ ლემპარდი და კრისტინ ბლიკლი

# შოუ ჩაიშალა



სანახაობა უეინ რუნიმ და სტივენ ჯერარდმა ჩაშალეს

იმის გამო, რომ ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაფლავდა, ლონდონში ერთი წლით გადაიდო სანახაობა, რომელსაც ორგანიზატორებისთვის მილიონები უნდა მოეტანა. სანახაობა **უეინ რუნიმ** და **სტივენ ჯერარდმა** ჩაშალეს. მათ განაცხადეს, რომ ასეთი ცუდი გამოსვლის შემდეგ ინგლისის დედაქალაქში ფეხბურთელთა მონაწილეობით შოუს მოწყობა ძალიან უხერხულია. სანახაობა ლონდონის სტადიონ O2-ზე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიდან ერთ კვირაში, 17 ივლისს იყო დაგეგმილი. რუნისა და ჯერარდის გარდა მასში მონაწილეობა სხვა ვარსკვლავებს, კერძოდ **კრისტიანო რონალდოს, დიდიე დროგბას, სესკ ფაბრეგასსა** და **დავიდ ვილიასაც** უნდა მიეღოთ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩამოთვლილთაგან, ვილიას გარდა, გასაპრანჭად არავის აქვს საქმე. ასე რომ, შოუს ერთი წლით გადაწევა შეიძლება მათთვისაც უპრიანი იყო.

მაინც, რა უნდა ეკეთებინათ ჩამოთვლილ ვარსკვლავებს სანახაობაში, რომელიც თურმე ორ საათს უნდა გაგრძელებულიყო? ერთი ცნობილია: თითოეულს 500 ათასი ფუნტი უნდა აელო, მაგრამ რაში? როგორც ამბობენ, მათ ბურთით რაღაც ტრიუკები უნდა ეკეთებინათ. უფრო დაზუსტებით არაფერს ამბობენ, თუმცა სავარაუდოდ, უნდა გამართულიყო „ყველა ვარსკვლავის" ტიპის შეჯიბრება, სადაც ჩამოთვლილი ფეხბურთელები ერთმანეთს ცალკეული ილეთებისა და კომპონენტების შესრულებაში შეეჯიბრებოდნენ.

შოუს ორგანიზატორი გახლდათ A:3K, რომლის დირექტორმა **ტერი ბაირნმა** თქვა: „ორივემ, სტივენ ჯერარდმაც და უეინ რუნიმაც გვითხრა, რომ ასეთ პირობებში სანახაობის მოწყობა სწორი არ იქნებოდა. ჩვენც სრულიად და კარგად გვესმის ბიჭების განწყობა და ვიზიარებთ მას. რასაკვირველია, ჩვენ შეგვეძლო ჯერარდი და რუნი ორი სხვა ფეხბურთელით შეგვეცვალა, მაგრამ შოუს თავისი ჩანაფიქრი ჰქონდა: მაყურებელს უნდა ჰქონოდა შეგრძნება, რომ მათ წინაშე მსოფლიოს ექვსი საუკეთესო ფეხბურთელი გამოდის. თუმცა, ჩვენ სიტყვას არ გავტეხთ. ხალხს რასაც დავპირდით, ავუსრულებთ და მომავალ ზაფხულს ამავე ექვსი ვარსკვლავის მონაწილეობით მოვაწყობთ ასეთსავე შოუს. ერთადერთი უხერხულობა იმ ადამიანების წინაშე შეიქმნა, რომლებმაც ბილეთები უკვე შეუკვეთეს, მაგრამ მათ ვპირდებით, რომ ახლანდელი შეკვეთა მომავალი წლის სანახაობაზეც ძალაში იქნება".

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ევროპის ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

# გაორებული შთაბეჭდილება

01.07. თბილისი. ეროვნული.
3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (საქართველო) | 2 |
| ფლორა (ესტონეთი) | 1 |

0:1 დუპიკოვი (10. კონსას პასით), 1:1 კახელიშვილი (22), 2:1 ხმალაძე (64-პენ)

დინამო: ლორია - თომაშვილი, კაკუბავა, ჩადუნელი, ხმალაძე - ედნილსონი, კოშკაძე - ჯუისი (85. ლეკვთაძე), თექთურმანიძე (77. ფირცხალავა), კახელიშვილი - ვაწაძე (85. მეტრეველი).

*სათადარიგოები: შეყრილაძე, მამუჩაშვილი, სიხარულიძე, გ. გველესიანი*

ფლორა: პედოკი - კამსი, პალატუ, ალასი, იურგენსონი, - დუპიკოვი (74. ალიკუ), კაზიმირი, მინკენენი, ლუტსი (86. მაშიჩევი) - მოშნიკოვი (83. პოსტი) კონსა.

*სათადარიგოები: პალმი, ვეისი, იახიმოვიჩი, ბეგლარიშვილი*

გაფრთხილება: ვაწაძე (24), თომაშვილი (25), ხმალაძე (30), კონსა (59), ალასი (63), მინკენენი (82), ჯუისი (82), ფირცხალავა (90)

არბიტრი: ე. ჰაკმონი (ისრაელი)



ისე როგორც ახლა, ერთი წლის წინაც ევროტურნირებზე პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ მეტოქე ბალტიისპირეთის წარმომადგენელი იყო. ოღონდ, უნდა ვაღიაროთ, რომ შარშანდელი „მეტალურგსის“ და წლევანდელი „ფლორას“ შედარება, უბრალოდ, უხერხულიც არის: ლატვიური გუნდი ესტონურს ყველაფრით აღემატებოდა. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ შარშანდელი და წლევანდელი „დინამოს“... შედარებაც არ შეიძლება! ჰო, ფაქტობრივად განახლებულ-გაახალგაზრდავებული გუნდით დაიწყო ახალი სეზონი „დინამომ“ და ამის გამოც იყო, რომ არაფრით გამორჩეულ მოწინააღმდეგესთან მატჩის წინ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის შანსებს, ზოგი, ცოტა ფრთხილად აფასებდა. არადა, კიდევ ვიმეორებთ, „დინამოს“ მეტოქე მართლაც რიგითი, საშუალოზე დაბალი კლასის გუნდი იყო და ეს, გუშინდელმა შეხვედრამაც დაადასტურა.

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ „დინამოს“ თამაშმაც... გაორებული შთაბეჭდილება დატოვა. რა თქმა უნდა, ევროტურნირებზე ნებისმიერი ქართული გუნდის წარმატებული ასპარეზობა გვიხარია, მაგრამ „ფლორას“ ნაცვლად გუშინ მეტ-ნაკლებად „ნორმალური“ მეტოქე რომ გვყოლოდა, ალბათ... ფრეც სანატრელი გაგვიხდებოდა! ყოველ შემთხვევაში, ამდენ შეცდომას სხვები არ გვაპატიებდნენ; თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ **კახა კაჭარავას** ახალ გუნდში რგოლებს შორის „ურთიერთგაგებაც“ მალე დამყარდება, ცალკეული მოთამაშეებიც ბევრად უფრო კონცენტრირებულნი იასპარეზებენ და მოტივაციის საკითხიც პრობლემატურ-აქტუალური აღარ იქნება.

ახლა კი უშუალოდ გუშინდელ შეხვედრაზე, ზემოთ როგორც აღვნიშნეთ, გაორებული შთაბეჭდილება რომ დატოვა. აქვე, იმაზეც „შევთანხმდეთ“, რომ „დინამოს“ სატრანსფერო „აქტიურობაზე“ სხვა დროს ვისაუბროთ; ისე როგორც იმაზე, თუ რა პერსპექტივა გააჩნია ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს არა მხოლოდ წლევანდელ ევროტურნირებზე, არამედ საქართველოს ჩემპიონატშიც...

...მატჩის პირველი წუთი არ იყო დასრულებული, **ვალერი მინკანენმა** მარცხენა ფლანგიდან რომ შემოგვიტია - **გიორგი ლორიამ** ამ ეპიზოდში საიმედოდ ითამაშა. ასეთ დაწყებას მართლაც არავინ მოელოდა. თუმცა ორ წუთში უკვე მასპინძლებს შეექმნათ რეალური მომენტი: საჯარიმო **ედნილსონმა** შეასრულა და მეტოქის კართან ზურგით მდგომმა **ალექსანდრე კოშკაძემ** ბურთს თავი შეაგება, ოღონდ, „დინამოს“ ახალი კაპიტნის დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა. რამდენიმე წამიც არ იყო გასული ამ ეპიზოდიდან, „ფლორამ“ უაღრესად სახიფათო კონტრშეტევა რომ წამოიწყო: **სიიმ ლუტსმა** მარცხენა ფლანგიდან „დინამოს“ საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა და ლორიას წინ მდგომმა **სერგეი მოშნიკოვმა** როგორ მოახერხა ბურთის კარს აცილება, ძნელი სათქმელია.

მოკლედ, ამ ეპიზოდში აშკარად გადავრჩით, სამაგიეროდ „ფლორას“ მორიგი შეტევა უკვე გოლით დასრულდა: სტუმრებმა ისევ მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს და **ოლივერ კონსას** ზუსტი გადაცემის შემდეგ **ალო დუპიკოვს** მხოლოდ ბურთის კარში გადაგზავნაღა „ესაჭიროებოდა“...

გაშვებული გოლის შემდეგ „დინამომ“ ერთადერთი რაც მოახერხა, ალექსანდრე კოშკაძის მიერ შესრულებული ჯარიმა იყო, „ფლორას“ მეკარე **სტანისლავ პედოკის** იოლი ნადავლი რომ გახდა. ამას კვლავაც ესტონელთა შეტევები მოჰყვა და ზედიზედ ორჯერ გადავრჩით; განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როცა გოლის ავტორი ალო დუპიკოვი ამჯერად უკვე მარჯვენა ფლანგიდან ემუქრებოდა „დინამოს“ კარს. და აი, იმ დროს, სტუმრებმა რომ „გაილაღეს“, **გიორგი კახელიშვილმა** უაღრესად საჭირო გოლი გაიტანა!

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „დინამოს“ მარცხენა გარემარბმა ყველაფერი ეფექტურად შეასრულა: ერთი მოძრაობით მეურვე კოხტად ჩამოიცილა და საშუალო მანძილიდან მოჭრილი დარტყმით ბურთი სტანისლავ პედოკისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში გაგზავნა! „დინამოს“ ფეხბურთელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ზეიმობდა, სერგეი მოშნიკოვისა და ოლივერ კონსას უმარტივესი კომბინაცია კინაღამ მეორე გოლით რომ დასრულდა.

პირველი ტაიმის ბოლომდე სტუმრებმა კიდევ ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ალო დუპიკოვის თავური დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა. რაც შეეხება „დინამოს“, ნამდვილად ვერ ვიტყვით, ტაიმის ბოლომდე დარჩენილი დრო შეტევებში გაატარა; თუმცაღა, **დონალდ ჯუისმა**, ალექსანდრე კოშკაძემ და **მათე ვაწაძემ** მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტები მაინც შექმნეს სტუმართა კართან.

...მეორე ტაიმის დასაწყისიც პირველის ანალოგიური გამოდგა: სერგეი მოშნიკოვი კვლავაც უმეთვალყუროდ აღმოჩნდა ჩვენი კარის სიახლოვეს, მაგრამ „ფლორას“ ფორვარდის დარტყმა არაზუსტი გამოდგა. აი ეს იყო და ეს: ამის შემდეგ 20 წუთის განმავლობაში „დინამოს“ უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა და ერთი-ორ ეპიზოდში მართლაც არ გაგვიმართლა, თორემ ანგარიში აშკარად სხვა იქნებოდა; ჯერ გიორგი კახელიშვილმა იაქტიურა, რომლის მწვავე ჩაწოდების შემდეგ პედოკს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ დამატებაზე არავინ იყო; ამას ედნილსონის საჯარიმო მოჰყვა - ბურთი მეტოქის კარის ხარიხას მოხვდა! შემდეგ კი ვნახეთ **გიორგი თექთურმანიძის** ჩინებული სოლორეიდი, ერთადერთი... გოლიღა რომ აკლდა, - სამწუხაროდ, ახალგაზრდა ნახევარმცველის საბოლოო დარტყმას „ფლორას“ მცველები გადაეღობნენ.

შემდეგ ისევ კახელიშვილი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ამჯერად არაზუსტად დაარტყა. თუმცა, „დინამოს“ მარცხენა გარემარბს აქტიურ თამაშს მაინც „დაუფასდა“: კომბინაცია მათე ვაწაძემ წამოიწყო, გიორგი თექთურმანიძემ გააგრძელა და კახელიშვილის გამჭოლი გადაცემის შემდეგ ბურთი სტუმართა კაპიტნის **ტეეტ ალასს** ხელზე მოხვდა! საბედნიეროდ, შეხვედრის არბიტრი **ელი ჰაკმონი** იქვე იმყოფებოდა და პენალტიც უყოყმანოდ დანიშნა: თერთმეტმეტრიანი **ლევან ხმალაძემ** უნაკლოდ შეასრულა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ „დინამომ“ მეტოქის კარს მხოლოდ ერთხელ შეუტია: ალექსანდრე კოშკაძემ ჯარიმა სახიფათოდ შეასრულა, მაგრამ პედოკმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

სამაგიეროდ, „ფლორა“ გააქტიურდა და მართლაც ძნელი სათქმელია, თუ როგორ ვერ ისარგებლდა ოლივერ კონსამ ჩვენი დაცვის უხეში შეცდომით. ყოველ შემთხვევაში, „ფლორას“ ფორვარდმა მართლაც ფანტასტიკური შანსი გაუშვა ხელიდან; არანაკლებ სახიფათო იყო ვალერი მინკენენის შორეული დარტყმაც, გიორგი ლორიამ რომ კუთხურზე მოიგერია.

...მატჩის ბოლო წუთები სტუმრების შეტევებით წარიმართა. „ფლორას“ მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ რეიმმა** მოედანზე ორმეტრიანი (!) ფორვარდი **სანდერ პოსტიც** შემოიყვანა, მაგრამ სტუმართა ფეხბურთელების საშემსრულებლო ოსტატობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჰო, შევძელით და ერთბურთიანი უპირატესობა შევინარჩუნეთ; მაგრამ მატჩის დამთავრებისთანავე, ბევრს გაუჩნდა კითხვა: განმეორებითი მატჩისთვის ეს ერთბურთიანი უპირატესობა საკმარისი იქნება?

**გია ტუხაშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები**




მე-10 გვერდზე ინტერვიუ ლევან ხმალაძესთან

მატჩის შემდეგ

## კახა კაჭარავა: ესტონეთშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ!

**- პირველ რიგში თამაში შეაფასეთ...**

- მართალია მოვიგეთ, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თორემ უფრო დიდი სხვაობით გამარჯვებაც შეგვეძლო. თუმცა იმით კი კმაყოფილი ვარ, რომ მატჩს ვაგებდით და საბოლოოდ მოვიგეთ. გასული სეზონის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი გამოგვაკლდა, ახალი მოთამაშეები დავიმატეთ და ახალი გუნდის შენება დავიწყეთ. სამი კვირაა, მომავალი სეზონისა და ევროტურნირებისთვის ვემზადებით. ამ ვითარებიდან გამომდინარე, თავიდანვე ცხადი იყო, რომ რთული მატჩი გველოდა. მართალია, შეხვედრაში ბევრი წუნი იყო, მაგრამ ახალი გუნდის შენების პროცესში ეს გასაკვირი არ არის.

**- არბიტრმა რამდენიმე დინამოელს უჩვენა ყვითელი ბარათი. ნაწილმა გაფრთხილება არასპორტული საქციელის გამო მიიღო. ამას რითი ახსნით?**

- ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები ძალზე მონდომებულები იყვნენ. სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ მატჩის შემობრუნება მოვახერხეთ... ბიჭები ნერვიულობდნენ და გაფრთხილებებიც ამის შედეგია. ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მათი მისამართით აუგს ვერ ვიტყვი... გაიხსენეთ, წინა სეზონის დაწყებამდეც ვქმნიდით ახალ გუნდს... მაგრამ საბოლოოდ „ზესტაფონსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ გვარიანი ფორით გავუსწარით. მჯერა, ამ ბიჭებით მართლა შეიძლება ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. უბრალოდ, საამისოდ დროა საჭირო.

**- ბრაზილიელი ნახევარმცველი რობერტინიო ტრავმის გამო დაგაკლდათ. საპასუხო შეხვედრაში თუ შეძლებს თამაშს?**

- საეჭვოა, მაგრამ ვნახოთ...

**- პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, გაქვთ იმედი, რომ „დინამო“ ამ ბარიერს გადალახავს?**

- ვაგებდით და 2:1 მოვიგეთ, მაგრამ ცხადია, ეს ანგარიში მშვიდად ყოფნის საშუალებას არ გვაძლევს. ტალინში რთული მატჩი გველის. ბოლომდე ვიბრძოლებთ მომდევნო რაუნდში გასასვლელად. მჯერა, ჩვენი ბიჭები თავს არ დაზოგავენ.

## მარტინ რეიმი: ტალინში 1:0 მოგებაც საკმარისია, მაგრამ...

**- როგორ შეაფასებდით მატჩს?**

- საკმაოდ ცხელოდა და ვფიქრობ, ორივე გუნდის თამაშზე ამან გარკვეული ზემოქმედება მოახდინა. ჩემი გუშინდელი პროგნოზი თამაშმა გაამყარა - მატჩი ორივე გუნდისთვის რთული იყო. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ამ ბარიერის დაძლევა ორივე გუნდს შეუძლია. თამაში მდიდარი იყო ბევრი წუნითა და გამოუყენებელი საგოლე მომენტებით. გული მწყდება, რომ მეტოქეს პენალტის დარტყმის საშუალება მივეცით. მართალია 1:2 დავმარცხდით, მაგრამ მიმაჩნია, რომ საპასუხო მატჩის წინ კარგი შანსი გვაქვს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველებს ფრეც ჰყოფნით. „დინამოს“ ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს და ვნახოთ, რა მოხდება ტალინში. მეამაყება, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და კიდევ შეეძლოთ ერთი ბურთის გატანა.

**- მეტოქისგან ვის გამოყოფდით?**

- პირველ რიგში 9 ნომრის (გიორგი კახელიშვილი - ავტ) მიერ გატანილი გოლი და აქტიურობა იყო თვალში საცემი. ასევე გამოვრჩევდი 13-ს (გიორგი თექთურმანიძე - ავტ), რომელმაც არაერთხელ გამოავლინა ინდივიდუალური ოსტატობა.

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

# ზესტაფონმა ევროპა ფაეტანოსთან ვარჯიშით დაიწყო

01.07. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 4 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი (საქართველო) | 5 |
| ფაეტანო (სან მარინო) | 0 |

1:0 გელაშვილი (20. პენ), 2:0 დვალი (22), 3:0 გელაშვილი (24. დვალის პასით), 4:0 დვალი (62. ძარიას პასით), 5:0 გორგიაშვილი (90)

ზესტაფონი: კვასხვაძე - ბენაშვილი, ონიანი (76. კობახიძე), ხიდეშელი, ელიავა - ძარია (63. ფიფია), დაუშვილი, ბაბუნაშვილი (52. გორგიაშვილი), გრიგალაშვილი - გელაშვილი, დვალი.

სათადარიგოები: მამალაძე, მაკარიანი, მიქაბერიძე, ლომია

ფაეტანო: დიმეტო - ვალენტინი, ბორონი, დელა ვალე, ბუჩი, პელეგრინო (41. ჯიარდი) - მ. რინალდი, ვიროლი, რიჩი (77. გ. რინალდი), რაგინი (87. მარიანი) - მორინი.

სათადარიგოები: მენჩი, ბუგლი, ჯანი.

გაფრთხილება: ბაბუნაშვილი (3), გრიგალაშვილი (51), დაუშვილი (63), დელა ვალე (74), მორინი (82)

არბიტრი: ვლადო გლოდიოვიჩი (სერბეთი)

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ზესტაფონმა“ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა. რა უნდა მოხდეს ისეთი განმეორებით შეხვედრაში, რომ ფეროელებმა „ფაეტანოსთან“ ხუთბურთიანი უპირატესობა გაანიავონ?! სანმარინოელები რისი მაქნისებიც არიან გუშინდელ შეხვედრაში გამოჩნდა. **სერენო ურალდის** გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და მეკარე **კვასხვაძის** შეწუხება მხოლოდ ორჯერ მოახერხა, ისიც ქართველების უყურადღებობის გამო. კარი როგორაც „დაიცვეს“, ეს ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. ევროპის ლიგის მატჩისთვის ზესტაფონში დილიდანვე დიდი სამზადისი იყო. გუნდის ფანკლუბმა მთელი ქალაქი მოიარა და ხალხს სტადიონისკენ მოუწოდა. მათმა აქტიურობამ ნაყოფი გამოიღო - ზესტაფონის არენა ბოლომდე შეივსო. აქა-იქ ვუვუზელათი „აღჭურვილ“ გულშემატკივარსაც შეამჩნევდით. შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და ქალაქისა და იმერეთის რეგიონის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. სანმარინოელების ბედოვლათობის ამბავი რომ იცოდნენ, მატჩის დაწყებამდე ზესტაფონელი გულშემატკივრები იმაზე კამათობდნენ, თუ რამდენ გოლს გაუტანდა „ზესტაფონი“ „ფაეტანოს“ და გააუმჯობესებდნენ თუ არა „ლისბერნთან“ შარშანდელ ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შესრულებულ რეკორდს (6:0). მართალია, ფეროელებმა რეკორდი ვერ გააუმჯობესეს, მაგრამ „ფაეტანოც“ უშანსოდ დაამარცხეს.




სანმარინოელები მხოლოდ საწყის წუთებში გაუძალიანდნენ მეტოქეს, მაგრამ ჩანდა, რომ მათი ვეტერანი მეკარე **ლუკა დიმეტო** კარს მშრალად დიდხანს ვერ შეინახავდა. **დვალისა** და **ძარიას** გამოუყენებელი მომენტების შემდეგ **გელაშვილის** წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა, რომელიც თავად გელაშვილმა შეასრულა და „ფაეტანოს“ რბევას სათავე დაუდო. გატანილმა გოლმა **გია გეგუჩაძის** შეგირდები მადაზე მოიყვანა და ზესტაფონელებმა ორი წუთის ინტერვალში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. 22-ე წუთზე დვალმა გამოიჩინა თავი, ორიოდე წუთში კი მისი გადაცემით გელაშვილმა დუბლი შეასრულა - 3:0 ტაიმის ბოლომდე დვალსა და ძარიას ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა ვერ გამოიყენეს. დაუშვილის აქტიურობის შემდეგ დვალმა გაიტანა კიდეც, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

მეორე ტაიმი მოულოდნელად სტუმრების აქტიურობით დაიწყო და **ფრანჩესკო ვიროლიმ** ძელსაც გაარტყა ბურთი, თუმცა ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ურალდის ბიჭები ისევ საკუთარ საჯარიმოში გამოიკეტნენ და ზესტაფონელთა შეტევებს იგერიებდნენ. 62-ე წუთზე ძარიას აქტიურობის შემდეგ ბურთი მეკარის ბაქანთან ახლოს დვალს მიუვიდა და გელაშვილის მსგავსად მანაც დუბლი გაიფორმა.

ამის შემდეგ **ელიავასაც** შეეძლო გატანა - მან მთელი მარცხენა ფრთა გადასერა, საჯარიმოში შეიჭრა და დიმეტოს ახლო, მახვილი კუთხიდან დაურტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა. „ფაეტანოს“ საცოდაობას შეცვლაზე შემოსულმა **თორნიკე გორგიაშვილმა** დაუსვა წერტილი, რომელმაც საჯარიმოს გარედან გამოზომილი, დაბალი დარტყმით სანმარინოელ კიპერს შანსი არ დაუტოვა - 5:0.

### მატჩის შემდეგ

**სერენო ურალდი:** *„მოხარული ვარ, რომ ზესტაფონში კარგი საფეხბურთო გარემო დაგვხვდა. ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა და ღირსეულად გაიმარჯვა. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი გამოცდა იყო. უშანსოდ დავმარცხდით და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არა გვაქვს, თუმცა ვეცდებით, სან მარინოში უკეთ ვითამაშოთ და ჩვენს მეტოქეს მეტი წინააღმდეგობა გავუწიოთ“*

**გია გეგუჩაძე:** *„სასიხარულოა, რომ ევროტურნირებზე გამოსვლა წარმატებით დავიწყეთ. ანგარიშით კმაყოფილი ვარ, თუმცა ამ შედეგმა არ უნდა მოგვატყუოს და რეალობას არ უნდა მოვწყდეთ. სამუშაო კიდევ ბევრია, ხარვეზები უნდა გამოვასწოროთ. ვეცდებით სან მარინოშიც წარმატებით ვითამაშოთ და მომდევნო მეტოქეზე მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებთ.*

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან



დინამო-ფლორა

მატჩის შემდეგ

## ლევან ხმალაძე
# ტალინში მეტ მომენტს შევქმნით

**ტალინის „ფლორასთან“ გუშინდელი შეხვედრა თბილისის „დინამომ“ ლევან ხმალაძის პენალტით მოიგო. „დინამოში“ დაბრუნებული 24 წლის მცველი დარწმუნებულია, რომ ესტონელები ტალინურ შეხვედრაში უფრო თამამად შეუტევენ და ეს „დინამოს“ შემდეგ წრეში გასვლის მეტ შანსს მისცემს.**

**- ლევან, შენი აზრით, განმეორებითი მატჩისთვის როგორია „დინამოს“ შანსები?**

- ვერ ვიტყვი, რომ შანსი 50/50-ზეა, რადგან ჩვენ მოვიგეთ და ეს უკვე უპირატესობაა. ესტონელებს კი გოლი აქვთ გასატანი, რაც არც ისე იოლი იქნება. დარწმუნებული ვარ, ტალინში ბევრად უფრო მეტ მომენტს შევქმნით, რადგან „ფლორა“ ვალდებული იქნება შეგვიტიოს და შეტევებისთვის თავისუფალი ზონებს გახსნიან. მომენტები დღესაც მრავლად შევქმენით და ნაწილიც რომ გამოგვეყენებინა, უფრო დიდი ანგარიშით მოვიგებდით.

**- მომენტები ესტონელებსაც ჰქონდათ.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი უპირატესობა იგრძნობოდა. თანაც, ჩვენ უკვე მეათე წუთზე გავუშვით და რადგან აუცილებლად უნდა მოგვეგო, აბსოლუტურად ყველა ვუტევდით. ასეთ დროს კი ზონებიც იხსნება და ესტონელებს კონტრშეტევების საშუალებას გაუჩნდათ.

**- ესტონელებს შანსს სახლში საშინაო მატჩშიც არ უტოვებ?**

- შეიძლება, პრობლემა შეგვიქმნან, მაგრამ შემდეგ ეტაპზე „დინამო“ უნდა გავიდეს და არა „ფლორა“.

**- გასვლით შეხვედრაში უფრო კონტრშეტევებზე თამაში მოგიწევთ.**

- უბრალოდ, პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ესტონელებმა უნდა შეუტიონ და ეს ჩვენი შანსი იქნება.

**- მერედა, „დინამო“ სწრაფი შეტევების წამოწყება შეუძლია?**

- რა თქმა უნდა. დღესაც რამდენჯერმე მოვახერხეთ ასე შეტევა და ესტონელებმა ვერაფერი მოგვიხერხეს. ჩვენ ის პლუსები გაგვაჩნია, ტალინში უკეთესი შედეგი რომ ვაჩვენოთ. „ფლორას“ ჩვენზე უკეთესი გუნდი ნამდვილად არ ჩანს.

**- დღეს „დინამო“ დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა, მატჩის ბოლოს გადაღლაც დაგეტყოთ.**



- დიდი ხანი არაა, რაც „დინამო“ სეზონისთვის მზადებას შეუდგა, ესტონეთში კი გახურებული სეზონია, ტალინელებმა უკვე 21 შეხვედრა გამართეს და ბუნებრივია, „ფლორას“ ფეხბურთელები ფიზიკურად უკეთ მომზადებულები იყვნენ. განმეორებით შეხვედრამდე ერთი კვირაა დარჩენილი, უკეთეს ფორმაში ვიქნებით და იმედია, წარმატებას მივაღწევთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# სეზონი ადამიას გოლით გაიხსნა

ახალი საფეხბურთო სეზონი ქართული ლეგიონისთვისაც დაიწყო - უეფას ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებურთაგან თავი გოლით პირველმა **გიორგი ადამიამ** გამოიჩინა. ბაქოში, „ტოფიკ ბახრამოვზე“ „ყარაბახმა“ 4:1 გაანადგურა მაკედონიური „მეტალურგი“. სწორედ გიორგის გოლმა დაუკარგა საპასუხო შეხვედრას მნიშვნელობა, ადამიამ მსაჯის მიერ დამატებულ მე-2 წუთზე გაიტანა. ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა, სკოპიელებმა კი პრესტიჟის გოლი ადამიას მერე გაიტანეს.

**დავით იმედაშვილმა** აზერბაიჯანული კლუბიც დააგემოვნა, ლენქორანის „ხაზარის“ შემადგენლობაში ექსოლიმპელის ოფიციალური დებიუტი კიშინოვში შედგა. ადგილობრივი „ოლიმპია“ 0:0 დაუზავდა აზერბაიჯანულ კლუბს და ახლა წყვილის ფავორიტი „ხაზარია“. სტუმართა 22-ე ნომერმა სრულად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო.

სლოვაკურ „ნიტრას“ სტუმრად 2:2 ეთამაშა უნგრულ „დიორი ეტო“, თუმცა სტუმართა ხუთი ქართველიდან მხოლოდ **რატი ალექსიძემ** ითამაშა. კიშინოვის „დაჩია“ „ზეტას“ ესტუმრა და 1:1 დაუზავდა, სტუმართა რიგებში ძალზე ცუდი დებიუტი გამოუვიდა **დავით გამეზარდაშვილს**, „ზესტაფონის“ ყოფილი მცველი 76-ე წუთზე მეორედ გააფრთხილეს და მოედანიც დაატოვებინეს (სხვათა შორის პირველი ყვითელი ბარათი მან პირველივე წუთზე მიიღო), შეუცვლელად ითამაშეს **ლევან კორღალიძემ** და **მამუკა ლომიძემ**, ხოლო **ვასილ ლუჭაშვილი** სათადარიგო იყო.

„რაზდანზე“ „ულისი“ ებრაულ „ბნეი იეჰუდას“ დაუხვდა და 0:0 დაუზავდა, მასპინძელთა სასტარტოში ითამაშეს: **გაგა თიბილაშვილმა, შოთა ჯიქიამ** და **გიორგი კრასოვსკიმ, თენგიზ უგრეხელიძე** კი უკვე 32-ე წუთზე გამოჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საშური საქმე

# სახელმწიფომ ფედერაციას დოსიე გადასცა...
## მემორანდუმი, როგორც მამლუქების დაბრუნების საშუალება

გუშინ 11:00 საათზე, სახელმწიფო კანცელარიის მთავრობის სხდომათა დარბაზში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ ავალიანმა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

*„მემორანდუმი ითვალისწინებს საზღვარგარეთ მცხოვრები, ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების მოძიებას (15,16,17 წლის ასაკობრივ ჯგუფებში), მათ შერჩევასა და ჩამოყვანას საქართველოს ფეხბურთელთა ასაკობრივ ნაკრებებში სათამაშოდ. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეეცდება, უცხოეთში მცხოვრები ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების მოძიებას, მათთან კონტაქტების დამყარებასა და საქართველოში ჩამოყვანას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კი ამ მოთამაშეების საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში მიწვევასა და მომზადებას უზრუნველყოფს“*, - იუწყება ფედერაციის პრესსამსახური.

ფედერაციის პიარმენეჯერ **თათია ბურდულის** თქმით, ამ უწყების მხრიდან საკითხს ეროვნული ნაკრების ტექნიკური დირექტორი **ნიკა ჩხეიძე** გაუწევს კურირებას. ლაპარაკია უცხოეთში მოთამაშე 25 ქართველზე, რომელთა ჩამონათვალი სახელმწიფო სტრუქტურამ ფედერაციას გადასცა. ეს რომ კარგი საქმეა და უცხოეთში მნიშვნელოვანი რესურსია, ამაზე იბისას საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნებული **კობა ჟორჟიკაშვილის** კომენტარიც მეტყველებს - უცნობი ქართველების დონე საკმაოდ დამაკმაყოფილებელიაო. ამ ძიებაში გავა დრო და იქნებ, ჩვენც აღმოვაჩინოთ მაღალი კლასის ფეხბურთელები უცხოეთში, როგორც თურქებმა მოძებნეს გერმანიაში **ილდირაი ბაშთურქი** და ძმები - **ჰამით** და **ჰალილ ალთინთოფები,** განელებმა **კევინ-პრინს ბოატენგი,** ალჟირის ნაკრებშიც ძალიან ბევრია საფრანგეთის მოქალაქე და ასე შემდეგ...

ჩვენც ბოლო წლებში უამრავი მაგალითი დაგვიგროვდა - როგორ წაიყვანეს საქართველოში გაზრდილი ფეხბურთელები უცხო ქვეყნის ნაკრებებში. ახლა მათი და უცხოეთში გაზრდილი ქართველების დაბრუნებაზე უნდა ვიზრუნოთ.

აი, ბოლო სიახლეც - უკრაინის უმაღლესლიგელ კიევის „არსენალის“ დუბლებიდან ძირითადში 21 წლის **ირაკლი მამფორია** გადაიყვანეს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს ახალგაზრდა უკრაინის მოქალაქეობას არ მიიღებდა, რომ არა ამ ქვეყანაში ლეგიონერებზე არსებული ლიმიტი. მათი მოქალაქეობა არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოსთვის დაკარგულები არიან. ყოველ შემთხვევაში, ამის გარკვევა მაინც შეიძლება და ათიდან სამიც რომ დავაბრუნოთ, არ იქნება ურიგო საქმე.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შალამბერიძე: რეალური ბელხატოვია

თბილისის „ამერის“ ყოფილი ფეხბურთელი **კობა შალამბერიძე** ზამთარში პოლონეთის ექსტრაკლასას (იქაური უმაღლესი დივიზიონი) კლუბ ვოძისლავის „ოდრაში“ ჩაირიცხა. თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ ეს გუნდი ლიგიდან გავარდა და ქართველი ნახევარმცველი ახალი კლუბის ძებნას შეუდგა.

*„კლუბს ჩემი დატოვება სურს, მაგრამ კონტრაქტი დამიმთავრდა და მენეჯერი მაიმედებს, რომ უმაღლესი დივიზიონის კლუბებში მიწვევენ. „ოდრა“ კი უმაღლესიდან გავარდა და დარჩენა არ მსურს. მიწვევები მაქვს „ზაგლებიედან“ და „ვროცლავიდან“. მესამე ვარიანტი „ვიძევი“ იყო, მაგრამ შეიცვალა მწვრთნელი, რომელსაც ჩემი აყვანა სურდა და ეს გამოირიცხა. ყველაზე რეალური მაინც უეფას თასზე „ამერის“ ყოფილი მეტოქე „ბელხატოვია“, რომელიც შარშან პოლონეთის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა. ამ კლუბში გადასვლა ჩემი სურვილიცაა, რადგან „ბელხატოვის“ მთავარ მწვრთნელად ვისაც ნიშნავენ, ჩემი აყვანით ყველაზე მეტადაა დაინტერესებული. პოლონეთში მალე გავემგზავრები და ყველაფერი ადგილზე გადაწყდება“*, - გვითხრა შალამბერიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ანანიძემ ცხრიანში ჩასვა...



**ჟანო ანანიძის** მოსკოვის „სპარტაკი“ შვედეთში მოსამზადებელ შეკრებას აგრძელებს. ადგილობრივ „ვოლერენგასთან“ 2:4 მარცხის შემდეგ **ვალერი კარპინის** გუნდმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. რუსეთის „სახალხო გუნდი“ ამჯერად შვედურ „გიოტებორგს“ დაუპირისპირდა და 3:1 მოუგო.

ჟანო სასტარტო შემადგენლობაში იყო. მე-80 წუთზე ის **კოზლოვმა** შეცვალა. მეორე ნახევრის სტარტზე ანანიძემ ანგარიში 2:0 გახადა - ორი მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტი დარტყმით მეტოქეს ბურთი „ცხრიანში“ ჩაუსვა.

ვებგვერდ livejornal.ru-ს ინფორმაციით, ანანიძე პირველ ტაიმშიც აქტიურობდა და თითქმის ყველა მწვავე შეტევაში მონაწილეობდა. მას შესვენებამდეც შეეძლო გოლის გატანა. ჟანოს შეცვლას ტრიბუნაზე შეკრებილი მცირერიცხოვანი გულშემატკივრის მხრიდან პროტესტის ნიშნად სტვენა მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ შვედურ შეკრებაზე ანანიძემ ზედიზედ მეორედ გაიტანა. მოსკოველთა მიერ „ვოლერენგასთვის“ გატანილი ორი გოლიდან პირველი სწორედ ანანიძეს ეკუთვნოდა.

## ბურდულმაც და ლობჟანიძემაც...

როგორც გაცნობეთ, 29 წლის ნახევარმცველი **ლადო ბურდული** ბაქოს „ნეფთჩიშია“ ტესტირებაზე. ავსტრიაში მოსამზადებელ შეკრებაზე გამგზავრებამდე „ნეფთჩიმ“ სამშობლოში დასკვნითი ამხანაგური მატჩი გამართა, რომელშიც „ოში“ 2:0 დაამარცხა. ამ შეხვედრაში ბურდული სასტარტო შემადგელობაში იყო და „აზერიფუტბოლის“ ინფორმაციით, **რუსლან ყურბანოვთან** ერთად მწვავე შეტევების ორგანიზატორი იყო.

როგორც ჩანს, ბურდულის ტრანსფერის საკითხი ჯერ ისევ ღიადაა. თუმცა „ნეფთჩის“ მთავარი მწვრთნელი **არიფ ასადოვი** არ მალავს, რომ ჩვენებურის თამაში მოეწონა.

*„ოშთან“ გამართულ საკონტროლო შეხვედრაში ბურდული გამორჩეული იყო, მაგრამ მის ტრანსფერზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია. მას მშვენიერი კარიერა აქვს, საქართველოს გარდა, რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებშიც უთამაშია. ქართველს საკმაო პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მინდა, მას კიდევ დავაკვირდე და ვნახო, ამჟამად როგორ ფორმაშია და რამდენად შეძლებს ჩვენი გუნდის გაძლიერებას. ბურდულის საკითხს რამდენიმე დღეში გადავწყვეტთ“*, - უთხრა ასადოვმა extratime.az-ს.

„ნეფთჩი“ დღეს მოსამზადებელი შეკრებისთვის ავსტრიაში გაემგზავრება. ბურდულსა და სხვა ახალ ფეხბურთელებს ძლიერ გუნდებთან სპარინგებში გამოცდიან. 3 ივლისს ბაქოელები თურქულ „ბეშიქთაშს“ გაეჯიბრებიან, 6-ში რუმინულ „ოცელულს“, ხოლო 9-ში პოლონურ „ზაგლებიეს“.

მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“, რომელმაც კიროვოგრადის „ზვეზდა“ 4:1 დაამარცხა. დნეპროპეტროვსკელთა გუნდის მარჯვენა მცველი **უჩა ლობჟანიძე** სასტარტო შემადგენლობაში. 61-ე წუთზე ის **ალსიდესმა** შეცვალა, მაშინ, როცა ტაბლოზე უკვე საბოლოო ანგარიში ენთო.

## რატომ ამჯობინა ამისულაშვილმა რუსულ ხუთეულს ქაისერი?

ამ ორიოდე კვირის წინ გაცხადდა, საქართველოს ნაკრების მცველმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა შოთა არველაძის** „ქაისერისფორთან“ გააფორმა 2-წლიანი კონტრაქტი. ნალჩიკის „სპარტაკის“ ერთ-ერთ ლიდერს, რუსეთში არაერთი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ ალეკომ თურქულ ვარიანტზე შეაჩერა არჩევანი. პოპულარულმა „სპორტ-ექსპრესმა“ ქართველ მცველთან საუბარი სწორედ ამ საკითხით დაიწყო:

*„მიმდინარე წლის დასაწყისში უკვე მყარად გადავწყვიტე კლუბის შეცვლა. შესაბამისად, ნალჩიკელთა დიდი სურვილის მიუხედავად, „სპარტაკთან“ კონტრაქტის გაგრძელება ჩემს გეგმაში აღარ შედიოდა. რუსული კლუბები ჩემით სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულები, მაისში კი ჩემთვის მოულოდნელად, „ქაისერისფორის“ ვარიანტი გამოჩნდა. ჩემი აგენტი ალან სოზიევი „რუბინში“, „ტერეკში“, „კრილიაში“, მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადასვლას მთავაზობდა. მას მხოლოდ ჩემი თანხმობა უნდოდა, რომ ამ კლუბებიდან რომელიმესთან კონკრეტული მოლაპარაკებისთვის მზადყოფნა გამოეხატა. დიდებული იქნებოდა სათამაშოდ მოსკოვში რომ გადავსულიყავი, მაგრამ „ლოკომოტივის“ ჩემს საქმეზე კონკრეტული არ იყო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ რკინიგზელები დროს წელავდნენ. თურქებმა კი სწრაფად შემომთავაზეს კონკრეტული წინადადება მისაღები პირობებით და არჩევანიც „ქაისერისფორზე“ შევაჩერე“*, - აღნიშნა ალექსანდრე ამისულაშვილმა.

რა თქმა უნდა, „ქაისერისფორში“ ამისულაშვილის ტრანსფერში, ამ გუნდის თავკაც შოთა არველაძის ფაქტორი გადამწყვეტი იყო და ამას არც ქართველი მცველი მალავს. ამის გამო ჩვენებურმა მსურველ 5 რუსულ გუნდზე წინ სწორედ თურქული კლუბი დააყენა.

*„დიახ, შოთა არველაძის ფაქტორმა ჩემს არჩევანში მთავარი როლი შეასრულა. შოთა ისეთ დიდ მწვრთნელებთან მუშაობდა თანაშემწედ, როგორებიც ლუის ვან გაალი და დიკ ადვოკაატია. არველაძე ჰოლანდიაშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მას ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ სთავაზობდნენ „ალკმაარის“ ჩაბარებას. შოთამ ჰოლანდიაში, გამორჩეული მწვრთნელების გვედით მუშაობისას საკმაო გამოცდილება შეიძინა. ამჯერად კი უკვე მარტომ გადაწყვიტა გუნდს უხელმძღვანელოს და იმედი მაქვს „ქაისერისფორში“ წარმატებები გვექნება“*, - იმედოვნებს თურქული კლუბი ქართველი ახალწვეული.

საუბრის ბოლოს „სპორტ-ექსპრესი“ დაინტერესდა, გეგმავს თუ არა ამისულაშვილი რუსეთის პრემიერლიგაში დაბრუნებას.

*„იმედი მაქვს კლუბის შეცვლას ნალჩიკის „სპარტაკის“ მესვეურები გაგებით მიიღებენ. ყოფილი გუნდის მწვრთნელ ალექსანდრ კრასნოჟანის დიდად მადლიერი ვარ. მასთან მუშაობამ ბევრი შემძინა...*

*ჯერ 28 წლის ვარ და ნამდვილად ვერ ვიტყოდი, რომ „ქაისერისფორთან“ გამორმებული 2-წლიანი ხელშეკრულება ჩემთვის ბოლო კონტრაქტია. თურქეთში 2 წელი ვითამაშებ, მერე კი თუ მისაღები წინადადება მექნება სიამოვნებით დავბრუნდები რუსეთის ჩემპიონატში და უფრო უკეთ ვითამაშებ“*, - აღნიშნა ალექსანდრე ამისულაშვილმა.

**დავით ცაბაძე**

პრობლემა

# SOS!



## საპატრულო პოლიციას უფლება არ აქვს...

საბედისწერო შემთხვევის მოწმენი გავხდით ამ დღეებში საქართველოს ველოსიპედისტთა ჩემპიონატზე. შეჯიბრების მონაწილე ჭაბუკი შეუვარდა ტრასაზე მიმავალ ავტომანქანას და ღმერთის ნებით გადარჩა, თუმცა ძლიერ დაშავდა!

ყველა ქვეყანაში, სადაც საგზატკეცილო ველომრბოლთა შეჯიბრებები ტარდება, სპორტსმენებს პოლიციელები იცავენ. ტელევიზორში მაინც ხომ გვინახავს?!

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციამ ორჯერ მიმართა თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, რომ მათ გამოეყოთ შეჯიბრებისთვის აუცილებელი საპატრულო ავტომანქანები.

„საპატრულო პოლიციის ავტომანქანების გამოყოფა მსგავსი ღონისძიებებისთვის და მათი თანხლება მონაწილე სპორტსმენების დასაცავად არ შედის საპატრულო დეპარტამენტის ფუნქციებში", – ასეთი იყო ოფიციალური პასუხი. აი, ავტომანქანების გარეშე პატრულის გამოყოფაზე კი ყაბულს იყვნენ.

პოლიციას ვერ გაამტყუნებ, არ აქვს უფლება! მორჩა და გათავდა! როგორც ჩანს, სასწრაფოდ სერიოზულად დაფიქრება და, რაც მთავარია, მოქმედებაა საჭირო, რათა საკანონმდებლო ლაფსუსი გასწორდეს, პატრულსა და, საერთოდ, პოლიციას კანონიერი უფლება მიენიჭოს, სამანქანო ტრასებზე ველოსპორტში შეჯიბრებების ჩატარებისას საგზაო შემთხვევებისგან დაიცვას რბოლების მონაწილენი. ველოსპორტზე, როგორც სპორტის ოლიმპიურ სახეობაზე, ცხადია, უარს ქვეყანა ვერ იტყვის, არადა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს.

დავით ძელიძე




თავისუფალი ჭიდაობა

# აღარც გაცალოვი, მურადოვი

## გოგშელიძეს საიდოვი ელის


გიორგი გოგშელიძე

ვოლგოგრადში, მამაის ყორღანთან ჩატარებულმა რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატმა მოსალოდნელზე მეტი სიურპრიზი მოუმზადა ჭიდაოპის ქომაგს. ამ სტილით ჭიდაობაში ეს ნაკრები ტონის მიმცემია მსოფლიოს მასშტაბით და იქ მომხდარი ნებისმიერი ცვლილება ყველას ყურადღებას იპყრობს. ჩემპიონატმა, უპირველესად, ადგილობრივთა ინტერესი გამოიწვია და, როგორც ჩვენი რუსი კოლეგები წერენ, პირველობას იმდენი მაყურებელი დაესწრო, რამდენიც ადგილობრივ საფეხბურთო კლუბ „როტორის" თამაშებზე დადის.

ალბათ, სავსებით სამართლიანად, ჩემპიონატის მთავარ სენსაციად ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ **ბუვაისარ საიტიევის** — no

ჰაჯიმურატ გაცალოვის (96) მარცხი უნდა მივიჩნიოთ **იბრაგიმ საიდოვთან**. მათი მძაფრი და მედგარი მეტოქეობა იქაური პირველობისთვის არ ახალია, რასაც ოსებისა და დაღესტნელების ტრადიციული შუღლი და ერთმანეთისადმი ცუდი დამოკიდებულება კიდევ უფრო ამძაფრებდა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ბოლო წლებში ამ მოჭიდავეთა შეხვედრები რუსეთის პირველობების კლასიკად იქცა, მაგრამ აქამდე თუ გამარჯვების სასწორი ყოველთვის ოსი გაცალოვის მხარეს იყო, შეუპოვარმა, უაღრესად მიზანსწრაფულმა დაღესტნელმა მეოთხე ცდაზე მაინც მიაღწია საწადელს და მრისხანე მეტოქე ხალიჩას გააკრა. ამათი ჭიდილი არასოდეს ჩატარებულა აჟიოტაჟის გარეშე. ვგონებთ, ყველაზე წყნარი ახლანდელი ორთაბრძოლა გამოდგა იმის მიუხედავად, რომ შეხვედრის ბოლოს გაცალოვმა დაღესტნელების მიერ შემოგდებულ საპროტესტო ფირნიშს ფეხბურთელივით ამოსცხო და მეტოქის ბანაკში მოისროლა, ხოლო წაგების შემდეგ მსაჯს ზედ ლეიბზევე კარგა ხანს ურჩევდა საქმეს. თუმცა ეს შექსპირის სონეტების კითხვაა იმასთან შედარებით, რაც ადრე მათ შორის ხდებოდა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ სპორტსმენთა მეტოქეობა სპორტს სცდებოდა და ქომაგებზე ვრცელდებოდა. აქამდე ესენი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივე გაცალოვმა მოიგო უმძიმეს ბრძოლაში, თუმცა ზოგჯერ საჩემპიონოდ ამ ბარიერის დაძლევაც არ შველოდა და მეორე დაღესტნურ მიჯნასთან - **შირვანი მურადოვთან** მარცხდებოდა. მაშინ ოსები წერდნენ რუსულ ფორუმებზე, რომ დაღესტნელები წილისყრას აწყობდნენ და განგებ აკეთებდნენ ისე, რომ გაცალოვს ადრეულ ეტაპზე საიდოვი შეხვედროდა, მასთან დაღლილს კი ბოლოში მურადოვი ელოდებოდა. რა როგორ ხდებოდა და მართლა აწყობდნენ თუ არა წილისყრას, ცხადია, ვერ გეტყვით, მაგრამ ოსურ-დაღესტნური შეხლა-შემოხლები კი მართლაც გამოირჩეოდა სიმძაფრით და დრამატიზმით. მსოფლიოს ჩემპიონისა და ოლიმპიურ პრიზიორ **გიორგი კეტოევის** ამ წონაში გადმოსვლის შემდეგ ძალები თითქოს უნდა გათანაბრებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო კეტოევი ტიტანთა ბრძოლაში წარმატებით ვერ ჩაება და გაცალოვს ისევ მარტოს უწევდა დაღესტნელებთან ბრძოლა, თუმცა პეკინის ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ მურადოვი, პრაქტიკულად, ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს და საიდოვიც ლამის ცალად დარჩა. შარშან მან კინაღამ მიაღწია საწადელს - ფინალში გავიდა და იქ წააგო მარადიულ მეტოქე გაცალოვთან, წლეულს კი სრულფასოვანი რევანში აიღო ყველაფრისთვის. ფინალში საიდოვმა **არსლანბეკ ალიევი** დაამარცხა, კეტოევი კი პრიზიორებში საერთოდ ვერ მოხვდა - სწორედ ალიევთან წააგო.

„რუსეთის ჩემპიონატის მოგება არანაკლებ ძნელია, ვიდრე - მსოფლიოს პირველობისა, რადგან აქ ძალიან დიდი კონკურენციაა. თანაც ყველა კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რაც ხალიჩაზე დამატებით სირთულეებს ქმნის. მე არადამაკმაყოფილებლად გამოვედი იარიგინის ტურნირზე, რადგან ბევრი ვიავადმყოფე და სერიოზული პრობლემები მქონდა. რუსეთის ჩემპიონატის წინ იმასაც კი ვფიქრობდი, გამოვსულიყავი თუ არა საერთოდ ამ ტურნირზე. მიხარია, რომ საბოლოოდ მაინც დადებითი გადაწყვეტილება მივიღე. ბოლო დროს ძალიან ბევრს ვმუშაობდი ჩემს თავზე, ვსწავლობდი მეტოქეთა ჭიდაობას და ვიცოდი, როგორ მომეგო მათთვის. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მოვუგე ოლიმპიურ ჩემპიონ გაცალოვსაც, ვისთანაც რუსეთის ჩემპიონატზე ზედიზედ სამჯერ წავაგე. მასთან შეხვედრისთვის მწვრთნელებმა საგანგებო ტაქტიკა შეიმუშავეს, ოღონდ მის დეტალებზე არ ვილაპარაკებ - ეს საიდუმლოა. მთავარია, რომ მე მოვიგე. ცხადია, შეცდომები ახლაც იყო. ფიზიკურად კარგად ვიყავი მზად, მაგრამ ტექნიკურად და ტაქტიკურად კიდევ ბევრია სამუშაო. ფინალში ალიევის გასვლას არ ველოდი, თუმცა ის ძლიერი მოჭიდავეა და მასთან ადრე წამიგია კიდეც. ვფიქრობ, სერიოზული ბრძოლა მომიწევს კეტოევთანაც, რომელსაც ახლა ჯანმრთელობის პრობლემები აქვს", - განაცხადა გამარჯვების შემდეგ საიდოვმა.

რაკილა რუსეთის ჩემპიონატი იქაურთათვის მსოფლიოს პირველობისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა, შეიძლება დავასკვნათ, რომ სექტემბერში მოსკოვში პლანეტის პირველობაზე საიდოვი იჭიდავებს. მართალია, ოსები უკვე ლაპარაკობენ საკონტროლო შეხვედრაზე და რუსთა მთავარი მწვრთნელი **ჯამბულათ თედეევიც** ოსია, ხელახალი შეხვედრა მაინც ნაკლებადაა მოსალოდნელი - ამ შემთხვევაში გაცალოვმა რომ მოიგოს, მერე დაღესტნელები აყვირდებიან. ამდენად, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე **გიორგი გოგშელიძეს** საიდოვთან მოუწევს შეხვედრა. თუმცა ის ფაქტი, რომ მსოფლიოზე არ იქნებიან გაცალოვი და მურადოვი, გოგშელიძეს სულაც არ აძლევს დამშვიდების საშუალებას - იოლად დასამარცხებელი არც საიდოვი იქნება იმის მიუხედავად, რომ მისმა ჭიდაობამ ვერ დატოვა მთლად კარგი შთაბეჭდილება. ფინალში ალიევზე ოდნავ გამოცდილი და ოდნავ მაღალი კლასის მეტოქე რომ ჰყოლოდა, ნამდვილად მოუგებდა საიდოვს. მან ალიევი რამდენჯერმე ძალიან იოლად შეუშვა ფეხში, ერთხელ ამან თითქოს ილეთზეც გადაიყვანა, მაგრამ გდება ვერ დაასრულა, რასაც მაღალი დონის მოჭიდავე არაფრით დაუშვებდა. თუმცა საიდოვი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა ტექნიკის ნაკლებობა - თითქოს ერთფეროვნად ჭიდაობდა და ვერც ილეთებზე შედიოდა წარმატებით, ფიზიკურად მართლაც კარგადაა მომზადებული. თან მსოფლიომდე კიდევ მოუმატებს, რაც გოგშელიძემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

> ...თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გიორგი გოგშელიძეს საიდოვთან მოუწევს შეხვედრა. თუმცა ის ფაქტი, რომ მსოფლიოზე არ იქნებიან გაცალოვი და მურადოვი, გოგშელიძეს სულაც არ აძლევს დამშვიდების საშუალებას...

ალბათ, საკმაოდ მოულოდნელი იყო ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **მავლეტ ბატიროვის** მარცხიც ახალგაზრდა **მაგომედგაჯი აბაკაროვთან** იმის მიუხედავად, რომ ბატიროვი ახალ წონაში - 66-ში გამოვიდა. პატარა სკანდალში გაეხვია მავლეტის უმცროსი ძმა - **ადამ ბატიროვი**. ის პირველ პერიოდს 1:3 აგებდა **მულიდ ლამპეჟევთან**, ოღონდ მას შემდეგ, რაც წილისყრით ფეხში შესვლის უფლება ერგო, მაგრამ მეტოქე ვერ გადააგდო. სამაგიეროდ, ლამპეჟევმა გაისროლა კარგად, მაგრამ აქ საქმეში ბატიროვების მამა - **ალავდინ ბატიროვი** ჩაერია, რომელიც მიიჩნევდა, რომ მეტოქემ გდება უკვე ხაზის გარეთ გასულმა გააკეთა და პროტესტს ენერგიულად გამოხატავდა. ვიდეოგამეორებაში რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **მიხეილ მამიაშვილი** და პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ადლან ვარაევი** ჩაერივნენ, თუმცა უეჭველ პასუხს ვერც ისინი იძლეოდნენ. მსაჯები კვლავაც ურყევად იდგნენ თავიანთ გადაწყვეტილებაზე და თავდაპირველი შედეგი ძალაში დატოვეს. საპასუხოდ, მამის დაჟინებული მოთხოვნით, პრაქტიკულად, ბრძანებით ადამ ბატიროვმა შეხვედრის გაგრძელება იუარა. ამ ინციდენტზე მალე რუსეთის ჭიდაობის ფედერაცია იმსჯელებს და, სავარაუდოდ, ოლიმპიური ჩემპიონის უმცროს ძმას მკაცრადაც დასჯიან, ამ წონაში კი ოსმა **ალან გოგაევმა** გაიმარჯვა და, სავარაუდოდ, მსოფლიოზეც ის იჭიდავებს.

84-ის ფინალში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა, ოსმა **სოსლან კცოევმა** ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, ყაბარდოელი **ანზორ ურიშევი** დაამარცხა, დაღესტნელმა **აბდუსალამ გადისოვმა** კი ნახევარფინალში კცოევთან წააგო და საბოლოოდ უმედლოდ დარჩა. არადა, მან იარიგინის ტურნირი მოიგო, თუმცა ევროპის პირველობაზე თედეევმა მაინც ვერცხლის პრიზიორი ურიშევი წაიყვანა. მწვრთნელმა გადაწყვეტილება ასე ახსნა - გადისოვი ბილომდე მზად არაა, ხოლო ურიშევის გამოსაცდელად სხვა ტურნირი არ მრჩება, რადგან წლევანდელი მსოფლიოს პირველობა მოსკოვში ტარდება და იქ ღირსეული გამოსვლისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ხოლო გაისად სალიცენზიო სეზონია და საკადრო ექსპერიმენტები გამორიცხულიაო. მაშინ რომ ფორმაში არ იყო, ეს გადისოვმაც აღიარა და მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილება უპროტესტოდ მიიღო, თან განმარტა, რომ მისთვის მთავარი შეჯიბრება მსოფლიოს პირველობაა და ყველაფერს გააკეთებდა იქ ღირსეულად გამოსასვლელად. ახლა ისე გამოდის, რუსეთის შარშანდელი ჩემპიონი და ამ წონაში იქაური ნაკრების ლიდერი საერთოდ თამაშგარეთ რჩება... თუმცა ეს გადისოვის პირადი პრობლემაა, რუსებს კი კცოევის სახით მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან ძლიერი ფალავანი ეყოლებათ.

საინტერესო ფინალი გაიმართა მძიმე წონაშიც - მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ბილიალ მახოვმა** მისთვის დამახასიათებელ ძალისმიერ სტილში „დაჭმუჭნა" ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ბახტიარ ახმედოვი**. აღსანიშნავია, რომ შარშანაც მას მოუგო, თუმცა რუს ჟურნალისტებს, ცოტა არ იყოს, უცნაური რამ უთხრა - სიმართლე გითხრათ, არც კი მახსოვს, რა იყო შარშანო, მერე კი ფინალზეც გააკეთა კომენტარი: „დღეს ვცდილობდი, ბოლომდე შემესრულებინა მწვრთნელთა დავალებები, ანუ მემუშავა აქტიურად. რაკი მოვიგე, ეტყობა, ეს გამომივიდა კიდეც. ჩემი მთავარი მიზანი მსოფლიოს წლევანდელი პირველობაა, რომელიც მოსკოვში ტარდება. ცხადია, ძალიან მინდა, მესამედაც გავხდე მსოფლიოს ჩემპიონი და ეს გავაკეთო ჩემს სამშობლოში, მშობლების, მეგობრების და რუსი ქომაგების თვალწინ".

სპორტსმენისთვის მტკივნეულ თემაზე - ზედმეტ წონაზე მისმა მწვრთნელმა **ხანკალ ჰაჯიმაგომედოვმა** საინტერესო რამ თქვა: „მახოვი იძულებულია, ყოველი ტურნირის წინ საშუალოდ 10 კილოგრამი დაიკლოს, წლეულს კი ამის გაკეთება უკვე მეხუთედ მოუხდა. სეზონის განმავლობაში მან დაახლოებით 50 კილოგრამი დაიკლო, რაც ძალიან დიდი დატვირთვაა ორგანიზმისთვის და მის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემას უქმნის". ეს მართლაც არანორმალური დატვირთვაა, თუმცა, როგორც რუსულ ფორუმებზე იწერება, აწონის შემდეგ ის ამ დანაკლისის შევსებას ახერხებს და უშუალოდ შეჯიბრებისას მეტოქეებთან შედარებით სერიოზულ ფიზიკურ ფორას იღებს. თან წონის ასეთი დაკლება არც წარმატებების მიღწევაში უშლის ხელს. ის აქედანვე ემზადება მოსკოვში უზბეკ ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ **არტურ ტაიმაზოვთან** შესახვედრად.

აღსანიშნავია, რომ მახოვიც და ახმედოვიც მახაჩყალაში ვარჯიშობენ, ახედოვი დაღესტნელია, მახოვი - ყაბარდოელი, მაგრამ დიდი ხანია, ისიც მახაჩყალაში ვარჯიშობს.

შარშანდლის დარად, 74-ში ისევ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, აფხაზმა **დენის ცარგუშმა** გაიმარჯვა, 60-ში კი კვლავაც აგრძელებს ჩინებულ გამოსვლას კიდევ ერთი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ბესიკ კუდუხოვი**. მას აშკარად მოუხდა ახალ წონაში გადასვლა და ფინალში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, ტუველი **ოპან სატი** დაამარცხა. გამარჯვების მიუხედავად, ის საკუთარი სპორტული ფორმით უკმაყოფილოა და ამის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ, პრაქტიკულად, არ უჭიდავია - მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა მსოფლიოს თასზე.

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის პრიზიორმა, ხანტიმანსელმა, თუმცა კი დედით ოსმა **ვიქტორ ლებედევმა** გაიმარჯვა. ამ წონის მეორე ლიდერი, ევროპის შარშანდელი დაღესტნელი ჩემპიონი **ნარიმან ისრაპილოვი** თვისტომ **ასადულა ლაჩინოვთან** დამარცხდა, რამაც დაღესტნელთა ნაკრების თავკაცი **მაგომედ ჰუსეინოვი** გაახარა კიდეც - ეტყობა, კარგი თაობა გვეზრდებაო. ჩანს, მართლაც ასეა, რადგან ფინალში არა ლაჩინოვი, არამედ მესამე დაღესტნელი - **რამაზან საიპუდინოვი** გავიდა, თუმცა ჩემპიონობას ვერც ის შეწვდა.

ირაკლი თავაძე



იგორ კოკოშკოვი

კალათბურთი

# ეროვნული ნაკრები ავსტრიაში შეიკრიბა

1 ივლისს, ავსტრიის დედაქალაქ ვენის მახლობლად მდებარე მყუდრო ქალაქ შტაინბრუნში საქართველოს ეროვნული ნაკრები შეიკრიბა. სერბი სპეციალისტის, **იგორ კოკოშკოვის** განვრთნილმა ნაკრებმა გასულ წელს B დივიზიონიდან ელიტურ A დივიზიონში აინაცვლა და ახლა უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძვის. ჯგუფში საქართველოს პოლონეთთან, პორტუგალიასთან, ბელგიასა და ბულგარეთთან მოუწევს ბრძოლა და ოთხივე მეტოქესთან (თბილისში და სტუმრად) აგვისტოში ითამაშებს.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრებისთვის დაიწყო მზადება საქართველოს ეროვნულმა გუნდმა, რომელიც ავსტრიაში 20 ივლისამდე დარჩება. ამ ხნის განმავლობაში 2 საკონტროლო მატჩსაც გამართავენ სლოვაკეთსა და უნგრეთში ადგილობრივ ეროვნულ გუნდებთან.

23-დან 25 ივლისამდე თბილისი საერთაშორისო ტურნირს თბილისის მერიის თასს უმასპინძლებს, რომელშიც ჩვენი ნაკრები უკრაინის, ბელარუსისა და რუმინეთის ეროვნულ გუნდებს გაეჯიბრება და ამით დასრულდება მოსამზადებელი ეტაპი.

2 აგვისტოდან კი ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც დაიწყება.

შტაინბრუნში ეს 14 კალათბურთელი შეიკრიბა: **გიორგი ცინცაძე** (სოპოტი, პოლონეთი), **გიორგი გამყრელიძე** (მიტელდოიჩერი, გერმანია), **ტორინ გრინი** (აეკ, საბერძნეთი), **კოტე ტულუში** (ენერჯი), **კონსტანტინე ტომარაძე** (მონსონი, ესპანეთი), **მანუჩარ მარკოიშვილი** (კანტუ, იტალია), **ანატოლი ბოისა** (ენერჯი), **ვიქტორ სანიკიძე** (ბოლონია, იტალია), **თორნიკე შენგელია** (ვალენსია, ესპანეთი), **მიხეილ ბერიშვილი** (არიდანე, ესპანეთი), **ნიკა მეტრეველი** (ფორენტინო, იტალია), **ლევან შენგელია** (როდ აილენდი, აშშ), **ქუინტონ ჰოსლი** (პეტკიმი, იზმირი, თურქეთი), **გიორგი შერმადინი** (პანათინაიკოსი, საბერძნეთი).

gbf.ge

20-წლამდელთა ნაკრები

# ღია ვარჯიში თურქეთში ნასვლამდე



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები თურქეთში, სპარინგმატჩების სათამაშოდ მიემგზავრება. **მიხეილ ბერუაშვილისა** და **ზაზა გაბისონიას** განვრთნილი ჩვენი ნაკრები ქალაქ სტამბოლში სამ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს - 4 და 5 ივლისს A დივიზიონში მყოფ თურქეთის 20-წლამდელთა ნაკრებს გაეჯიბრება, ხოლო მესამე მეტოქე სავარაუდოდ სტამბოლის გუნდი იქნება, რომლის ვინაობაც ადგილზე ჩასვლის შემდეგ გაირკვევა. თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ საქარტველო იმ პირობით მიიწვია სტამბოლში, რომ 20-წლამდელთა ნაკრების გარდა ადგილობრივ კლუბთანაც გააჯიბრებდა.

ეს არის მოსამზადებელი ეტაპი ევროპის ჩემპიონატისთვის (B დივიზიონი), რომელიც ავსტრიის ქალაქ გესინგსა და ობერვარტში 14-24 ივლისს გაიმართება. ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან ისრაელი, უნგრეთი და შვედეთი.

გუშინ ვაკეში საკალათბურთო აკადემიის დარბაზში 20-წლამდელთა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა. ქვემოთ მოყანილი შემადგენლობიდან ვარჯიშს არ დაესწრნენ **თორნიკე შენგელია** და **გიორგი შარაბიძე**. შენგელია ავსტრიაში გაემგზავრა ეროვნული ნაკრების შეკრებაზე, ხოლო შარაბიძე ჯერაც ესპანეთშია, პირად საქმეებს აგვარებს და ნაკრებს, შესაძლოა, თურქეთში შეუერთდეს. რაც შეეხება თორნიკე შენგელიას, მის შესახებ მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ ბერუაშვილმა განაცხადა:

*„შენგელია ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და თუკი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი საჭიროდ ჩათვლის, ის ეროვნულში დარჩება. ამ ეტაპზე ისაა ცნობილი, რომ შენგელია ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ასევე ავსტრიაში ტარდება, ჯგუფური ეტაპის სამ მატჩში დაგვეხმარება. არაა გამორიცხული, რამე შეიცვალოს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეროვნული ნაკრების მწვრთნელზეა დამოკიდებული.*

*თურქეთის შეკრება საკმაოდ წაადგება ჩვენს ნაკრებს. ამ ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და A დივიზიონშიც საკმაო ამბიციები გააჩნია. თურქებთან თამაშში დავინახავთ ჩვენი ნაკრების დადებით და უარყოფით მხარეებს.“*

20-წლამდელთა ნაკრები თურქეთიდან 7 ივლისს დაბრუნდება, ხოლო 12 ივლისს უკვე ავსტრიაში, ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ გაემგზავრება.

gbf.ge

| სახელი. გვარი | დაბ. თარ | სიმაღლე | გუნდი |
|---|---|---|---|
| ბექა ჩიკვილაძე | 12.02.1991 | 195 | ალბასეტე (ესპანეთი) |
| იოსებ ლეჟავა | 31.05.1991 | 186 | სამედიცინო |
| ლევან ხმელიძე | 15.05.1991 | 195 | ენერჯი?ნვესტი |
| აკაკი ღვალიშვილი | 14.02.1991 | 206 | ენერჯი?ნვესტი |
| ზურაბ მაჭავარიანი | 22.05.1990 | 190 | ენერჯი?ნვესტი |
| გივი ბაქრაძე | 26.05.1991 | 185 | კორიკო (ფინეთი) |
| გიგა კვეტენაძე | 16.01.1990 | 200 | სოხუმი |
| რევაზ ჩაჩანიძე | 31.07.1990 | 185 | ენერჯი ინვესტი |
| გიორგი ნანიტაშვილი | 12.04.1990 | 186 | დინამო |
| აკაკი ლომოური | 17.01.1991 | 196 | სამედიცინო |
| გიორგი რევაზაშვილი | 24.01.1991 | 209 | მაკაბი |
| ბექა ბექაური | 18.01.1991 | 208 | სამედიცინო |
| თორნიკე შენგელია | 05.10.1991 | 207 | ვალენსია (ესპანეთი) |
| გიორგი შარაბიძე | 27.04.1990 | 210 | ვალენსია (ესპანეთი) |

ჭადრაკი




# უახლოეს მდევრებს ქულა-ნახევრით უსწრებს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ სომხურ ჯერმუკში გუშინ განახლდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშება. განსაკუთრებულ ინტერესს ერთპიროვნული ლიდერის - **ნანა ძაგნიძისა** და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის - **მაია ჩიბურდანიძის** შეხვედრა იწვევდა. ნანა ყველა ტურში წარმოუდგენელი ალმავლობითა და შემართებით იბრძვის, მაიამ კი რამდენიმე პარტია ჩააგდო. საქართველოს ნაკრების ლიდერმა ვერც ძაგნიძეს გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და 45-ე სვლაზე დანებდა. ძაგნიძისთვის ჯერმუკში ეს მეექვსე გამარჯვებაა. წარმატებით ითამაშა **ტატიანა კოსინცევამ** (რუსეთი), რომელმაც 51-ე სვლაზე ჩინელ **შენ იანს** სძლია. გათამაშების ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა ეკვადორელმა **მარტა ფიერომ**. მან მსოფლიოს თასის მფლობელი ჩინელი **სიუ იუჰუა** დაამარცხა. დანარჩენ სამ პარტიაში დაზავდნენ: **ელინა დანიელიანი** (სომხეთი)-**ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი), **პია კრამლინგი** (შვედეთი)-**ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი), **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი)-**ჰოუ იფანი** (ჩინეთი).

**შვიდი ტურის შემდეგ: ძაგნიძე -6,5, კოსინცევა, მკრტიჩიანი -5-5, ჰოუ იფანი -4, სტეფანოვა, დანიელიანი, შენ იანი -3,5-3,5, სიუ იუჰუა -3, ჩიბურდანიძე, კრამლინგი -2,5-2,5, კოვანოვა -2, ფიერო -1 ქულა.**

**დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: მკრტიჩიანი-ძაგნიძე, შენ იანი-ჩიბურდანიძე, სიუ იუჰუა-კოსინცევა, ჰოუ იფანი-ფიერო, სტეფანოვა-კოვანოვა, დანიელიანი-კრამლინგი.**

ვაჟა დანელია

ფიდეს რეიტინგი

# ვინ რა სიმაღლიდან იყურება

ბრძენთა თამაშის მოყვარულებმა იციან, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია ორ თვეში ერთხელ საუკეთესო დიდოსტატთა და საერთაშორისო ოსტატთა რეიტინგებს აქვეყნებს. პირველი ივლისისთვის მდგომარეობა ასეთია: ვაჟების ასეულს 2826 პუნქტით კვლავ ნორვეგიელი ვუნდერკინდი **მაგნუს კარლსენი** უდგას სათავეში. ლიდერს მიუახლოვდნენ ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვი** (2803) და ინდოელი მსოფლიოს ჩემპიონი **ვიშვანათან ანანდი** (2800). პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: **ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი, 2790), **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2783), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2761), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუსეთი, 2760), **პაველ ელიანოვი** (უკრაინა, 2755), **ალექსეი შიროვი** (ესპანეთი, 2749), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი, 2748). ქართველ დიდოსტატ **ბაადურ ჯობავას** 2710 პუნქტით 32-ე ადგილი უკავია. წინა ორ თვეში მან, სამწუხაროდ, რეიტინგში 5 პუნქტი დაკარგა. ვაჟთა პირველ ასეულში ქართველებს სხვა წარმომადგენელი არ გვყავს. სამაგიეროდ, ქალთა შორის თერთმეტი ჩვენებურია: 13. **მაია ჩიბურდანიძე** (2514), 17. **ნანა ძაგნიძე** (2498), 29. **ლელა ჯავახიშვილი** (2469), 46. **ნინო ხურციძე** (2443), 47. **სალომე მელია** (2442), 53. **ბელა ხოტენაშვილი** (2432), 54. **ანა მათნაძე** (2422), 59. **სოფიკო ხუხაშვილი** (2409), 79. **თამარ წერეთელი** (2384), 80. **ნინო ბაციაშვილი** (2383), 96. **მაია ლომინეიშვილი** (2370).

პირველ ათეულში კი შედიან: **იუდით პოლგარი** (უნგრეთი, 2682), **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2600), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2577), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2562), **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2560), **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი, 2551), **კატერინა ლახნო** (უკრაინა, 2535), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2527), **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა, 2527), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2519).

20 წლის ვაჟთა ოცეულში ჩვენგან არავინაა, გოგონებში კი ორი ქართველია: 13. **ნაზი პაიკიძე** (2346) და 20-22. **სოფიკო გურამიშვილი** (2298).

ვაჟა დანელია



# ქართული დესანტი თურქულ ლიგაში

თურქეთის ქალაქ კონიაში გრძელდება ქვეყნის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც 14 გუნდი მონაწილეობს. თითოეულში 10-10 მოჭადრაკეა. მათ შორის არიან 14 და 16 წლის გოგონები და ვაჟებიც. სხვადასხვა გუნდში გამოდიან ცნობილი მოჭადრაკეები: ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **რუსტამ კასიმჟანოვი** (უზბეკეთი), ქალთა შორის 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული **ეკატერინა ატალიკი** (თურქეთი), ინგლისელი **მაიკლ ადამსი**, რუსები - **ალექსანდრ გალკინი**, **ანა უშენინა**, უკრაინელები - **ვლადისლავ ბოროვიკოვი**, **ევგენი მიროშნიჩენკო**, **ინა გაპონენკო**, **ნატალია ზდებსკაია**, პოლონელი **იოანა მაიდანი** და სხვები. შეჯიბრებაზე საქართველოს 12 წარმომადგენელია მიწვეული. ისინი შვიდი გუნდის ღირსებას იცავენ.

უკვე გათამაშდა 4 ტური. 8-8 ქულით პირველ-მეორე ადგილებს მანსა დორუკ კოლეჯი ს. კ. (31,5) და ადანა ტრუვა სატრანც ს. კ. (28,5) იყოფენ. ოთხ გუნდს 6-6 ქულა აქვს. ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: **ლევან ფანცულაია, მარიამ დანელია-4-4, მიხეილ მჭედლიშვილი, სოფიკო გურამიშვილი-3-3, მერაბ გაგუნაშვილი, გიორგი მარგველაშვილი-2,5-2,5, თამაზ გელაშვილი, ქეთი ნანალაშვილი, სალომე მელია, დავით არუთინიანი-2-2, სოფიო გვეტაძე-1,5, თორნიკე სანიკიძე-0,5** ქულა.

ჩემპიონატი 8 ივლისს დამთავრდება.

ვაჟა დანელია

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# საქა-რთველომ პლეი ოფში გააღწია

ნორვეგიულ სტავანგერში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქალთა შეჯიბრებაში **საქა-რთველომ** ჯგუფური ეტაპი გადალახა. ძირითადი ტურნირის მეორე დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა ორიდან ერთი შეხვედრა მოიგეს. მათ ჯერ მე-5 ნომრად განთესილი ამერიკელები **ეკერსი და ტერნერი** დაამარცხეს ორ სეტში - 21:18, 21:19. მეორე მატჩში კი 28-ე ნომრად განთესილ ჰოლანდიურ წყვილ **ვესელინკ-მეპელინკთან** წააგეს - 1:2 (20:22, 21:16, 12:15). საბოლოოდ საქართველომ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, რაც შემდეგ ეტაპზე, პლეი ოფში თამაშისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

გუშინ ვაჟთა შეჯიბრებაში ჩაება **გეორ-გია.** ჩვენებმა, რომლებიც 21-ე ნომრად არიან განთესილნი, ორიდან ორივე შეხვედრა წააგეს. ისინი პირველ მატჩში მე-12 ნომრად განთესილ ამერიკულ წყვილ **კინან-ჯენინგზთან** დამარცხდნენ - 0:2 (16:21, 19:21). მეორეში კი ვერას გახდნენ მე-5 ნომრად განთესილ ბრაზილიელებთან **კუნია-ტიაგოსთან** - 0:2 (17:21, 20:22).

დღეს გეორ-გია ბოლო, მესამე შეხვედრას 28-ე ნომრად განთესილ დანიელებთან **ჰოიერ-სოდერბერგთან** გამართავს.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი



ბურთით ზვიად მაისურაძე

# ფინალი: ისევ ლელო-ლოკომოტივი?

| 1 ივლისი | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 24 |
| ბათუმი XV | 15 |

ლოკომოტივი (15-9): კავთიძე, შიოშვილი, ქავთარაძე, კობერიძე, ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) ელოშვილი, გენებაშვილი, ნაცარაშვილი (ვეფხვაძე 61), გუნიავა (ოზგებაშვილი 8), ჩიტიძე, ბეროშვილი, ახვლედიანი, ზ.მაისურაძე

*ვლ: შიოშვილი, ლვინჯილია, ჩიტიძე. ვგ,ს: კვინიხიძე*

ბათუმი XV(15-9): სვინტრაძე, გოგიტიძე, ხონელიძე, ევგენიძე, ნუნუნავა, ნინიძე. (1-8) გოგიბერიძე, სერგია (დუმბაძე 56), დონაძე (კუნჭულია 67), კორტავა, ბერიძე, თხილაიშვილი, გოგისვანიძე (ქაჯაია 54), ალიქაძე

*5ს: ნინიძე*

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში გამარჯვებული, წინა ეტაპებისგან განსხვავებით, ორი მატჩის ჯამში გამოვლინდება. პირველი შეხვედრების შემდეგ ფინალში თამაში გარანტირებული ჯერჯერობით არც ერთ გუნდს აქვს. შარშანდელმა ფინალისტმა, თბილისის „ლოკომოტივმა" ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტ „ბათუმი XV"-ს უმასპინძლა და 24:15 მოუგო.

მატჩის შედეგი ისეთი არ არის, რკინიგზელებს ორი მატჩის ჯამში თასის გათამაშებიდან გამოვარდნა რომ ემუქრებოდეს, მაგრამ ფავორიტს საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერის უფრო მეტი სხვაობით დამარცხება მართებდა. თანაც, არავინ იცის, ბათუმელები, რომლებიც საპლეიოფო ბატალიებში ხშირად სიურპრიზებს გვთავაზობენ, განმეორებითი შეხვედრისთვის შინ როგორი შემართებით გაირჯებიან.

საწყისი 15 წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. დროის ამ მონაკვეთში სტუმრები უფრო აქტიურად თამაშობდნენ. მათმა მგეზავმა **მამუკა ნინიძემ** ორჯერ არეკნით სცადა რკინიგზელთა კარის დალაშქვრა. პირველად საკმაოდ დიდი მანძილით აცილა, მეორე კი ხარიხას გაარტყა.

„ლოკომოტივმა", როგორც სჩვევია, მორკინალების მიძალებით მაინც შეძლო მეტოქის შევიწროება და მე-17 წუთზე ანგარიშიც გახსნა. ბათუმელთა ლელოდან ხუთ მეტრში დანიშნული შერკინებიდან ჯერ მესამეხაზელმა **ზვიად მაისურაძემ** შეუტია, მაგრამ ჩათვლის მოედნიდან ერთ მეტრში შეაჩერეს. მასპინძლებმა რაკიდან ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანეს, თუმცა მეტოქის ხაზის გაჭრა ვერ შეძლეს.

ბრძოლისას ბათუმელებს ბურთი წინ გაუვარდათ და არბიტრმა ისევ შერკინება დანიშნა. მაისურაძემ ამჯერად ბურთი ცხრა ნომერ **ირაკლი ლვინჯილიას** მიაწოდა, ამან შეტევა მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე განაგრძო. რკინიგზელთა უკანა ხაზმა ბურთი ბოლომდე, კიდემდე ჩაათამაშა და ლელო გარემარბმა **დავით შიოშვილმა** გაიტანა. მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

ბათუმელი მორაგბეები რკინიგზელთა ლელომ ოდნავაც არ დააბნია. მათი მორკინალების მიძალებას უკანახაზელებმაც კარგად აუბეს მხარი და 31-ე წუთისთვის ნინიძემ ორი საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 6:7.

სამ წუთში ბათუმელები ოფსაიდიდან თამაშისთვის დაჯარიმდნენ და კვინიხიძემ სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა - 10:7. ალსანიშნავია, რომ ზღვისპირელი მორაგბეები თამაშის ამ წესს ხშირად არღვევდნენ, რამაც, ცხადია, მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია.

38-ე წუთზე „ლოკომოტივმა" კიდევ ერთი ლელო გაიტანა. რკინიგზელებმა მეტოქეს მოლით სამჯერ შეუტიეს. პირველი მოლი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან დერეფნიდან ააგორეს. მეტოქეს ათი მეტრით დაახევინეს. თუმცა ბათუმელმა მორაგბეებმა მოლი ჩააქციეს და დაჯარიმდნენ. კვინიხიძემ ბურთი აუტში დაარტყა. ამჯერად დერეფანში ბურთი მეტოქის ოცდაორმეტრიან ხაზთან ააგდეს, ისევ მოლი დაძრეს და ბათუმელები ისევ დაჯარიმდნენ. კვინიხიძეს კარში დარტყმაც შეეძლო, მაგრამ მან აუტში გადატანა არჩია.

ამჯერად „ლოკომოტივმა" აუტი მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში მოაწოდა. მოლი ააგორეს და ის იყო, თითქოს სტუმრებმა მისი შეჩერება შეძლეს, რომ უეცრად მოლს მეორეხაზელი **დავით ჩიტიძე** მოსწყდა და ბურთიანად ჩათვლის მოედანში შეიჭრა. კვინიხიძემ ისევ გარდასახა - 17:6.

ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ბოლო იერიში წამოიწყეს. რკინიგზელებმა რაკში თამაშისას ისევ დაარღვიეს წესი და ნინიძემ მორიგი საჯარიმო გაიტანა - 9:17. ასე დამთავრდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმი „ბათუმი XV"-მ აქტიურად დაიწყო. ნინიძემ კიდევ ერთხელ სცადა არეკნით 50 მეტრიდან გატანა, მაგრამ არ გამოუვიდა. თუმცა მალევე, 45-ე წუთზე საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა - 12:17.

„ლოკომოტივმა" პასუხი დიდხანს არ დააყოვნა და სამ წუთში მესამე ლელო გაიტანა. ბათუმელები საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან დაჯარიმდნენ. ლვინჯილიამ საჯარიმო სწრაფად გაათამაშა და მარცხნივ, მოკლე ფრთაზე გადააწოდა გარემარბ **დავით ჟამუტაშვილს**, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და ლელომდე ორ მეტრშილა შეაჩერეს. ლვინჯილიამ რაკიდან ბურთი სწრაფად გამოიტანა და შეტევის მიმართულება შეცვალა. ამჯერად რკინიგზელებმა გრძელი ფრთიდან შეუტიეს. ისევ რაკი წარმოიქმნა, ბურთთან ისევ ლვინჯილია გაჩნდა და ამჯერად თავად შეუტია. მისი შეჩერება ბათუმელებმა ველარ მოახერხეს. კვინიხიძემ გარდასახვა გაიტანა - 24:12.

ეს ყველაფერი მატჩის 48-ე წუთზე მოხდა. საგულისხმოა, რომ „ლოკომოტივმა" დარჩენილ 32 წუთში მონაგარს ველარაფერი შემატა. ბათუმელებმა კი მასპინძელთა ლელოს ისევ ნინიძის საჯარიმოთი უპასუხეს - 15:24.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში საქართველოს თასის მფლობელმა, თბილისის „ლელომ" სტუმრად, ვანში უძნელეს ბრძოლაში დაამარცხა საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი ქუთაისის „აია" - 25:21. საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრები 7 ივლისს გაიმართება.

**საქართველოს თასი**

**ნახევარფინალი**

აია - ლელო 21:25

**საპასუხო შეხვედრები**

**7 ივლისი**

ლელო-აია

ბათუმი XV-ლოკომოტივი

ამბები

## ბორტვიკი პომების მიღმა?



სტივენ ბორტვიკი

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **სტივენ ბორტვიკი** შესაძლოა, 2011 წლის მსოფლიო თასზე ვერ მოხვდეს. „პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** უახლოეს დღეებში გუნდის 32-კაციანი შემადგენლობა უნდა დაასახელოს. ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ბორტვიკმა თავისი სახელი და გვარი სიაში ვერ აღმოაჩინოს.

სტივენი ჯონსონის დიდი ნდობით სარგებლობდა. მან ორი წლის განმავლობაში „პომებს" ოც შეხვედრაში უკაპიტნა. ბორტვიკი ბოლო ხანს ტრავმებმა შეაწუხა, რის გამოც ექვსი ერის წლევანდელი გათამაშების ბოლო მატჩი და ივნისის ტესტები გაუცდა. მის არყოფნაში კი ჯონსონმა ნაკრების მეორე ხაზის ოპტიმალურ შემადგენლობას მიაგნო. **კორტნი ლავთან, საიმონ შოუსთან** და **ტომ პელმერთან** კონკურენცია ბორტვიკს ძალიან გაუჭირდება.

სავარაუდოდ, „პომების" შემადგენლობაში ვერ მოხვდებიან შერკინების კვაჭი **ლი მეარსი** და გარემარბი **უგო მუნი**. მეარსს **ჯორჯ ჩატერი** შეცვლის, მუნის კი კონკურენციას **მეთ ბენეშენი** და **დევიდ სტერტლი** უწევენ. გადაწყვეტილია, რომ ინგლისური გუნდის მგეზავები **ჯონი ვილკინსონი** და **ტობი ფლუდი** იქნებიან. ცხრა ნომრის პოზიციაზე კი **ბენ იუნგზის, დენ კერისა** და **ჯო სიმპსონის** კანდიდატურები განიხილება.

## ასი ათასი მსოფლიო თასისთვის

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, 2011 წლის მსოფლიო თასზე გამარჯვების შემთხვევაში „ოლ ბლექსის" თითოეული მოთამაშე 100 ათას ახალზელანდიურ (68 000 ამერიკულ) დოლარს მიიღებს.

ამასთან ერთად, ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა ხელშეკრულება გააფორმა ქვეყნის მორაგბეთა ასოციაციასთან, რომლის მიხედვითაც, ზე 14-ის გათამაშებაში თითოეულ გუნდს შეუძლია შემადგენლობაში 30 მორაგბის ნაცვლად 32 განაცხადოს. ეს ორი ახალი მორაგბე აუცილებლად უცხოელი უნდა იყოს.

შეთანხმებაში განსაზღვრულია ხელფასის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარიც. ზეპური რაგბის მოთამაშის მინიმალური ხელფასი წელიწადში 70 ათასი ახალზელანდიური დოლარი (27 ათასი აშშ დოლარი) უნდა იყოს, მაქსიმალური კი -180 ათასი ახალზელანდიური დოლარი (122 ათასი აშშ დოლარი).

ახალი ზელანდიის ნაკრების მოთამაშეების მოთხოვნით, სარეკლამო რგოლების გადაღების დროს და ფოტოსესიისას თითოეულ მორაგბეს დღეში ათასი ახალზელანდიური დოლარი უნდა გადაუხადონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ოლ ბლექსის" ვარსკვლავები ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ და მათ რეკლამებში ხშირად იღებენ, საკმაოდ სოლიდური თანხა უნდა დაუგროვდეთ.

## შონი ბილ ვილიამსმა მეორე ბრძოლაც მოიგო

ახალი ზელანდიის ნაკრების მორაგბემ **შონი ბილ ვილიამსმა** პროფესიულ რინგზე მეორე ბრძოლა გამართა და ისიც ნოკაუტით მოიგო.

„ოლ ბლექსის" ამომავალმა ვარსკვლავმა თანამემამულე **რაიან ჰოგანი** ორ წუთსა და ოცდაათ წამში გალახა.

*„ის ძალიან ნელა და ცოტას მოძრაობდა. რამდენჯერმე შემომიტია. მივხვდი, იოლად დავამარცხებდი. ეს შევძელი კიდეც"* - თქვა ბრძოლის შემდეგ შონი ბილ ვილიამსმა.

შეგახსენებთ, რომ მოკრივის კარიერა შონიმ 2009 წელს დაიწყო. პირველ ორთაბრძოლაში მან **პარი პერერა** ორ რაუნდში დასცა. ახლა ვილიამსი ახალი ზელანდიის ნაკრებს შეუერთდება და სამი ერის მატჩებისთვის მზადებას შეუდგება.



შონი ბილ ვილიამსი (მარჯვნივ)

## ბურგუენს ელიტიდან გაძევება ემუქრება

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბურგუენმა" ფინანსურ პრობლემებს თავი ვერ გაართვა. საიმისოდ, რომ კლუბმა 2010-11 წლებში სეზონში პროფესიულ დივიზიონში იასპარეზოს, 900 ათასი ევროს მოძიება მოუწევს. საფრანგეთის რაგბის პროფესიული ლიგის ფინანსურმა კომიტეტმა კლუბის ხელმძღვანელობა დიდი ხნის წინ გააფრთხილა, მაგრამ ბურგუენელებმა ფული ვერ იშოვეს.

ამრიგად, მოსალოდნელია, რომ „ბურგუენს" ფედერალ 1 დივიზიონში დააქვეითებენ. ელიტაში კი მის ნაცვლად წლეულს გავარდნილ „ალბის" დააბრუნებენ. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ „ალბის" მთავარ მწვრთნელად საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტანტი **ანრი ბრონკანი** დაინიშნა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ პანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# ვალენსიას გადააკეთებენ

ვალენსიაში გამართულმა მორიგმა რბოლამ დაგვანახვა, რომ იქაური ტრასა არ განეკუთვნება ფორმულა 1-ის საინტერესო ტრასების რიცხვს. რომ არა ავსტრალიელი **მარკ უებერისა** და ფინელი **ჰეიკი კოვალაინენის** ავარია და ამით გამოწვეული აურზაური - ზედიზედ მესამე წელი გასწრებების რიცხვი ძალიან დაბალი იქნებოდა. რაზეა ლაპარაკი, როცა **ჯენსონ ბატონმა** „მაკლარენით" **კამუი კობაიაშის** („BMW-ზაუბერი") ვერ გაუსწრო.

სპეციალისტების დამსახურებულმა კრიტიკამ კომპანია Valmor Sport-მდეც მიაღწია, რომელიც ვალენსიას ეტაპის ორგანიზატორია. კომპანიის საპასუხო რეაქცია იყო - მზადყოფნა ტრასის მოდერნიზაციისთვის, რომელიც უფრო საინტერესოსა და უსაფრთხოს გახდის ევროპის გრან-პრის. *„გარდაქმნები ჩვენც გვსურს და მზად ვართ მოვისმინოთ მრბოლელთა აზრი*, - განაცხადა Valmor Sport-ის პრეზიდენტმა **ხორხე მარტინეს ასპარმა**. - *ალბათ, პატარა ცვლილებებით უნდა დავიწყოთ და შევხედოთ, დაეტყობა თუ არა ეს გასწრებების რაოდენობას"*.

სავარაუდოდ, ევროპის გრან-პრის ორგანიზატორები პილოტებს უკვე სილვერსტოუნში შეხვდებიან, რის შემდეგაც მოდერნიზაციის პროექტი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას წარედგინება.

სხვათა შორის, ვალენსიას ავტოდრომს ესპანეთში კონკურენტი გამოუჩნდა. მალიორკას მთავრობამ ფორმულა 1-ის ფაქტობრივ მფლობელ **ბერნი ექლსტოუნს** ევროპის გრან-პრის საკუთარ ავტოდრომზე ჩატარება შესთავაზა. მალიორკას წარმომადგენლები ექლსტოუნს ევროპის გრან-პრის დროს შეხვდნენ და ახალი ტრასის პროექტი შესთავაზეს, რომელიც 2013 წლისთვის უნდა იყოს მზად. მოლაპარაკებებში შუამავლის როლი **ფედერიკო გასტალდის** დაეკისრა, რომელმაც 90-იან წლებში არგენტინაში ფორმულა 1-ის ეტაპს გაუკეთა ორგანიზება.

მომავალი ტრასის სახელწოდებაა - „ბალეარის კუნძულების ავტოდრომი". პროექტის ავტორები ესპანელი არქიტექტორები - **მატეო პალმერი** და **ბიელ არბონა** არიან. ერთი წრის სიგრძე დაახლოებით 5.8 კილომეტრი იქნება.

■ ■ ■

იტალიურმა კომპანია „პირელიმ", რომელიც მომავალი წლიდან ფორმულა 1-ის გუნდებისთვის საბურავების ერთადერთი მიმწოდებელი იქნება, თანამშრომლობისთვის მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან **კიმი რაიკონენს** იწვევს. კერძოდ, ფინელმა ახალი საბურავების ტესტირებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

*„ჯერ არ ვიცით, დააინტერესებს თუ არა ეს სამუშაო რაიკონენს"*, - განაცხადა „პირელის" ავტოსპორტის განყოფილების დირექტორმა **პოლ ჰემბრიმ**.

*„ამჟამად კიმი მთლიანად რალიზეა გადართული, მაგრამ თუ „პირელი" ოფიციალურად შემოგვთავაზებს თანამშრომლობას, ჩვენ მას აუცილებლად განვიხილავთ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად დააინტერესებს კიმის ეს სამუშაო და ექნება თუ არა ამისთვის თავისუფალი დრო"*, - ამბობს ფინელი პილოტის მენეჯერი **სტივ რობერტსონი**.

კალათბურთი

NBA

# მაიამიში ოცნების გუნდს აშენებენ

პირველ ივლისს გახსნილ თავისუფალი აგენტების ბაზარზე **ლებრონ ჯეიმსი** ყველაზე „მსუყე ლუკმაა". „კლივლენდის" სუპერვარსკვლავზე მრავალი კლუბი აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად „მაიამი ჰიტი" მიიჩნევა. საინტერესო იქნება იმის გაგება, რა ხერხით აპირებს ლებრონის ხელში ჩაგდებას ფლორიდული კლუბი.

თავიდან აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, როგორ ხარჯავენ კლუბები მათ ხელთ არსებულ თანხებს. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წესების თანახმად, თავისუფალი აგენტების გაფორმებისას კლუბმა არ უნდა გადააცილოს ხელფასის დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. მაგალითად, „ნიუ ჯერსი ნეტსს" აქვს თავისუფალი 27 მილიონი დოლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში **ლებრონ ჯეიმსისა** და მაგალითად, **კარლოს ბუზერის** ერთობლივი ხელფასი 27 მილიონზე მეტი ვერ იქნება. ზღვარის გადაცილება მხოლოდ საკუთარი მოთამაშეებისთვის ახალი კონტრაქტების გაფორმებისას შეიძლება. ანუ „კლივლენდს" შეუძლია შესთავაზოს „მეფეს" მაქსიმალური თანხა ექვსი წლისთვის - 130 მილიონი დოლარი, რაც ამ გუნდს ლებრონისთვის დავაში ფავორიტად აქცევს.

რა შანსები აქვს „მაიამის"? ამ კლუბთან მომავალი სეზონისთვის მხოლოდ სამ კალათბურთელს აქვს კონტრაქტი და მათ რიცხვში არ შედის **დუეინ უეიდი**. „ჰიტის" სახელფასო ბიუჯეტში 41 მილიონია თავისუფალი, მაგრამ ეს ფული **პეტ რაილიმ** უნარიანად უნდა გაანაწილოს, რადგან „მაიამის" პირველადი ამოცანა - უეიდის შენარჩუნება და შემადგენლობის მაქსიმალურად გაძლიერებაა. მაშ ასე, როგორ შეუძლია „ჰიტს" ჯეიმსის ხელში ჩაგდება?

■ ■ ■

ბოლო ინფორმაციით, 2010-11 წლების სეზონში სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარი 56.1 მილიონი იქნება. თუ ვივარაუდებთ, რომ „ჰიტი" დაიტოვებს დუეინ უეიდს და მას მაქსიმალურ შესაძლო კონტრაქტს გაუფორმებს, მაშინ რაილის განკარგულებაში 23 მილიონი დოლარი დარჩება. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იქნება ჯეიმსისა და **კრის ბოშის** შესაძენად, რადგან თითოეულს წელიწადში მინიმუმ 16.5 მილიონის მიღების პრეტენზია აქვს. ამ სიტუაციაში სამი გამოსავალი არსებობს.

პირველი: „მაიამის" შეუძლია მოელაპარაკოს „ტორონტოს" sign-and-trade-ის (გაფორმება და გაცვლა) სისტემით ტრეიდზე. ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ რეალური. „მაიამის" მოუწევს **მაიკლ ბისლის**, **ჯეიმს ჯონსისა** და მომავალ დრაფტებზე უფლებების დათმობა. დამატებით ბოშს, უეიდსა და ჯეიმსს პირველ სეზონში ხელფასის ერთი მილიონით შემცირებაზე ნებაყოფლობით დათანხმება მოუწევთ.

მეორე: „ჰიტს" შეუძლია არ იყოს დამოკიდებული „ტორონტოზე" და უბრალოდ მოიშოროს **მაიკლ ბისლი** იმავე სქემით, როგორითაც **დეშუან კუკს** შეელია. რა თქმა უნდა, ნიჭიერი ბისლის (2008 წლის დრაფტის მეორე ნომერი) თითქმის უფასოდ მიღების არაერთი მსურველი მოინახება. მაშინ სახელფასო ბიუჯეტში დამატებითი თანხები გაჩნდება, თუმცა ლიდერთა ჯამაგირის ოდნავი შემცირება აქაც გახდება საჭირო.

მესამე: ყველაზე რთული ვარიანტი. სამივე სუპერვარსკვლავი უნდა შეელიოს მათი საზომითაც კი მნიშვნელოვან თანხებს. პირველ წელს ბოში, უეიდი და ჯეიმსი უნდა დათანხმდნენ 14-მილიონიან ან უფრო ნაკლებ (უმჯობესია 10-12 მილიონი) ხელფასს, ნაცვლად 16.5 მილიონისა. ასეთ შემთხვევაში ფლორიდაში დარჩება ბისლი და ამასთან, შესაძლებელი იქნება სოლიდური კალათბურთელების შეძენა, რაც კლუბს ჩემპიონატის აშკარა ფავორიტად აქცევს.

მოვლენათა განვითარების ყველაზე რეალური ვარიანტი - პირველი სცენარია. მაგრამ აქ ერთი კითხვა ჩნდება: სურთ კი უეიდს, ბოშსა და ჯეიმსს ერთ კლუბში თამაში და დიდების ერთმანეთისთვის გაყოფა? ისინი თითქოს მეგობრები არიან, თამაშობდნენ ამერიკის ნაკრებში, ოქროს მედლები მოიპოვეს პეკინის ოლიმპიადაზე, მაგრამ პროფესიულ სპორტში მსგავს არგუმენტებს წონა არ აქვს, როცა საქმე დიდ ფულს ეხება. აგრეთვე უნდა გვესმოდეს, რომ მაიამიში „ოცნების გუნდის" შემქნის შემთხვევაში, NBA მომხიბვლელობის ერთ სეგმენტს დაკარგავს - ჯეიმსისა და უეიდის დაპირისპირებას. გაიხსენეთ, რა საინტერესო ბრძოლები იმართებოდა „კლივლენდსა" და „მაიამის" შორის. **კობი ბრაიანტისა** და ლებრონის მეტოქეობაც კი მეორე პლანზე გადადიოდა. მოკლედ, უეიდი, ბოში და ჯეიმსი ერთ კლუბში - ეს რეალურია, მაგრამ გაუგებარია, საჭიროა თუ არა ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

■ ■ ■

როგორც დასავლური პრესა წერს, ბოში „ლოს ანჯელეს ლეიკერსში" კარიერის გაგრძელებისკენ იხრება. დიახ, ასეთი რამ შესაძლებელია. მაგრამ „მაიამის" კრისის გარეშეც შეუძლია სუპერგუნდის შექმნა - უეიდითა და ჯეიმსით. თუ დუეინი და ლებრონი მაქსიმალურ კონტრაქტებს გააფორმებენ „ჰიტთან", პეტ რაილის განკარგულებაში კიდევ დარჩება 5-6 მილიონი. დავუმატოთ ამას მაიკლ ბისლი და **მარიო ჩალმერსი**.

ბისლი გასულ სეზონში არც ისე სტაბილური იყო, ამასთან, ღრმა დეპრესია ჰქონდა და შესაბამისი მკურნალობის კურსის გავლამ მოუწია. მიუხედავად ამისა, ფორვარდი სულ რაღაც 21 წლისაა და თავის მეორე რეგულარულ ჩემპიონატში 14.8 ქულამდე და 6.4 მოხსნამდე ავიდა, თანაც მოუმატა თავდასხმაში, მათ შორის საშუალო და შორი მანძილიდან ტყორცნებში. თავის მხრივ, ჩალმერსი ნაკლებად საიმედოა, ვიდრე მაიკლი, მაგრამ ახალგაზრდაა და მზად არის შეურიგდეს სათადარიგო მოთამაშის როლს.

თავისუფალ 5-6 მილიონსაც ნუ დავივიწყებთ. ამ ფულით „მაიამის" შეუძლია შემადგენლობაში სუსტი პოზიციების გაძლიერება, რაც პეტ რაილის კარგად ეხერხება. დიადმა მენეჯერმა და მწვრთნელმა ეს 2005-06 წლების საჩემპიონო სეზონში დაამტკიცა, როცა „ჰიტს" როტაციაში მეშვიდე-მერვე მოთამაშეებად **გარი პეიტონი**, **ალონზო მოურნინგი** და **შენდონ ანდერსონი** ჰყავდა, ღრმა რეზერვად კი **ჯეისონ კაპონო**, **დერეკ ანდერსონი** და **მაიკლ დოლეაკი** მიიჩნეოდნენ.

■ ■ ■

ნიუ იორკი კარგია თავისი გაქანებითა და მარკეტინგული შესაძლებლობებით, ლოს ანჯელესი კინოსა და ტელევიზიის ვარსკვლავთა სიუხვით, მაიამი - ატმოსფეროთი. შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკელი პენსიონერის ოცნებაა - სახლი ფლორიდაში ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე, სადაც მთელი წელი ზაფხულია. NBA-ის მოთამაშეები ხშირად აღიარებენ სიყვარულს ამ ზღაპრული ადგილისა და ფანტასტიკური ქალაქის მიმართ. მჩქეფარე ღამის ცხოვრება და თეთრი ქვიშა აუცილებლად მოეწონება ლებრონ ჯეიმსს.

ფლორიდას შტატის საინტერესო თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იქ შედარებით გაიოლებული საგადასახადო სისტემაა. მაქსიმალური კონტრაქტის შემთხვევაში ის მოთამაშეს წელიწადში დაახლოებით 500 ათასი დოლარის ეკონომიის საშუალებას მისცემს, რაც „მაიამიში" ყოფნის 5-6 წელიწადში თითქმის 3 მილიონს გაუტოლდება.

■ ■ ■

„ჰიტის" მფლობელ **მიკი არიზონს** არასოდეს ეშინოდა რისკიანი და მსხვილი გარიგებების გაჩარხვის, რომ აღარაფერი ვთქვათ პრეზიდენტ პეტ რაილიზე. წესით, ლებრონ ჯეიმსს ეს ხალხი უნდა მოეწონოს. თანაც რაილიმ ვარსკვლავებთან მუშაობისას საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა თავი. „ლეიკერსში" მას ალმერთებდნენ **მეჯიქ ჯონსონი** და **ქარიმ აბდულ-ჯაბარი**, „ნიუ იორკში" - **პატრიკ იუინგი**, „მაიამიში" - **შაკილ ო'ნილი** და **დუეინ უეიდი**. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ ჯეიმსის მისვლის შემთხვევაში, ლეგენდარულმა რაილიმ ისევ ჩაიბაროს გუნდი მწვრთნელის რანგში. ეს უკვე ნამდვილი ზღაპარი იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# ძმებს ამერიკაში არ აღიარებენ

ლეგენდარული **ევანდერ ჰოლიფილდი** ასაკის მიუხედავად არ აპირებს რინგის დატოვებას და მზად არის დიდი გამარჯვებებისთვის.

ბოლო ინტერვიუში ევანდერმა ძმებ **კლიჩკოებზე** ილაპარაკა და ახსნა, თუ რატომ არ სარგებლობენ უკრაინელები ამერიკაში პოპულარობით.

*„მათი პრობლემა ის არის, რომ ამერიკელები არ არიან. აშშ-ში მხოლოდ საკუთარი მებრძოლები უყვართ. უცხოელებს მრავალი წელი სჭირდებათ ამგვარი პოპულარობის მისაღწევად, თუმცა გამონაკლისებიც არსებობენ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მოკრივე აგრესიული უნდა იყოს, რათა ამერიკელებს შოუ აჩვენონ. ძმები კი უფრო ფრთხილ ტაქტიკას ირჩევენ"*, - ამბობს ჰოლიფილდი.

*„ბევრს არ უყვარს ვლადიმერი და ვიტალი, რადგან ისინი არასოდეს რისკავენ რინგზე. ამის მიუხედავად, მთავარი მიზეზი მათი წარმოშობაა. ისინი ამერიკაში მხოლოდ აშშ-ის პასპორტებით გახდებოდნენ დიადი მოკრივეები.*

*ვფიქრობ, ახლაც შევძლებ ძმების დამარცხებას. ამაში ეჭვი არ მეპარება. რაც შეეხება მაიკ ტაისონს, მასთან ბრძოლაზე არ ვფიქრობ, რადგან დიდი ხნის წინ დაანება სპორტს თავი. სამაგიეროდ, ვალუევი ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა და ახოვანია, მაგრამ მე ის დავამარცხე. ვინც ჩვენი ბრძოლა ნახა, ამ ფაქტს დაეთანხმა, მხოლოდ მსაჯებმა გადაწყვიტეს სხვაგვარად. მაგრამ არბიტრების გადაწყვეტილების გაპროტესტება - ჩემი სტილი არ არის. მე უბრალოდ ვამტკიცებ, რომ შეუძლებელი შესაძლებელია"*, - განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

უიმბლდონი 2010

# სერენას ზედიზედ მესამე ფინალი



ამერიკელი **სერენა უილიამსი** ზედიზედ მესამედ გავიდა უიმბლდონის ფინალში, ოღონდ ამჯერად გადამწყვეტ მატჩში მისი მეტოქე არა უფროსი და **ვენუსი**, არამედ რუსი **ვერა ზვონარევა** იქნება.

ამერიკელს ნახევარფინალში ჩეხი **პეტრა კვიტოვას** სახით მეტად სახიფათო მეტოქე ჰყავდა. 20 წლის ჩოგბურთელმა გზიდან ორი ძლიერი ჩოგბურთელი ჩამოიცილა - ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** და დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**, თანაც ორივეს თითო სეტი „მშრალი" ანგარიშით მოუგო.

ამ ნახევარფინალში მაყურებელმა გრძელი გათამაშებები იხილა და მატჩი დაახლოებით იმდენი ხანი გაგრძელდა, რამდენიც მეორე ნახევარფინალი, რომელშიც სამი სეტი გათამაშდა. კვიტოვა ხშირად მიდიოდა რისკზე და გარკვეული ხანი ეს ტაქტიკა წარმატების მომტანი იყო. მეხუთე გეიმში ჩეხმა ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ორი გეიმის შემდეგ ამერიკელმა დაიბრუნა დაკარგული. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც გადამწყვეტი სიტყვა სერენას გამოცდილებამ თქვა - უილიამსი 4:0 დაწინაურდა და ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია. სხვათა შორის, ამ უიმბლდონზე სერენას მხოლოდ მეორედ მოუწია ტაი-ბრეიკის თამაში.

მეორე სეტის შუაში კი კვიტოვა საბოლოოდ დანებდა - მეხუთე და მეშვიდე გეიმებში საკუთარი მოწოდებები დათმო. მართალია, ბოლოს ორი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო. ასე გავიდა სერენა სეტის წაუგებლად ფინალში, სადაც შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა მოუწევს.

როგორც ვთქვით, გადამწყვეტ მატჩში სერენას მეტოქე რუსი ვერა ზვონარევა იქნება, რომელიც პირველად ითამაშებს „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში.

ზვონარევას სამი სეტის ჩატარებამ მოუწია ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვას** დასამარცხებლად, რომელმაც წინა წრეში უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი **ვენუს უილიამსი** გამოთიშა ბრძოლას. რუსს პირველ სეტში საერთოდ არ წაუვიდა თამაში მილებაზე - მას არათუ ბრეიკი, არამედ ერთი ბრეიკპოინტიც არ ღირსებია, ბულგარელმა კი მეექვსე გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება და ეს საკმარისი აღმოჩნდა პარტიის მოსაგებად.

მეორე სეტის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა. გარდამტეხი მომენტი აქაც მეექვსე გეიმი გახდა. ზვონარევამ მატჩში პირველი ბრეიკ-პოინტი მიიღო და მაშინვე გამოიყენა შანსი. ამის შემდეგ თამაშის სურათი რადიკალურად შეიცვალა. რუსმა ინციატივა მოიპოვა და ის შეხვედრის ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან.

გადამწყვეტ სეტში ზვონარევამ ისევ პირველივე ცდიდან მოიპოვა ბრეიკი - ეს პირველ გეიმში მოხდა. იგივე განმეორდა მეხუთე სეტში - 4:1. პირონკოვამ შეეძლო ბრძოლა მოეხვია თავს მეტოქისთვის, როცა მეექვსე გეიმში ორი ბრეიკ-პოინტი მიილო, მაგრამ ვერც ამჯერად აილო ზვონარევას მოწოდება. სეტის ბოლოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ორივე ჩოგბურთელი ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებეა და ზვონარევამ უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

25 წლის რუსმა კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია, თანაც ვერას ფინალამდე საკმაოდ რთული გზის გავლა მოუხდა - მესამე წრიდან მოყოლებული მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ბელგიელი **იანინა ვიკმაიერი**, სერბი **ელენა იანკოვიჩი** და ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**.

სერენა უილიამსი და ვერა ზვონარევა შაბათს მეშვიდედ შეხვდებიან ერთმანეთს. ჯერჯერობით უდიდესი უპირატესობა ამერიკელის მხარესაა - 5:1. ერთადერთხელ რუსმა უილიამსი 2006 წელს ცინცინატის ტურნირზე დაამარცხა - 6:2, 6:3, ხოლო მათი ბოლო შეხვედრა ჩარლსტონის ტურნირის ფინალში შედგა. მაშინ სერენამ სამ სეტში მოიგო - 6:4, 3:6, 6:3.

**ქალები**

**1/2 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 7:6(5), 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 21)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 3:6, 6:3, 6:2.

ამბები

**ჰოკეი**

## ბრინდამორი და მოდანო წავიდნენ

„კაროლინა ჰარიკეინზის" 39 წლის ფორვარდმა **როდ ბრინდამორმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა.

ამ ჰოკეისტმა ბოლო 10 სეზონი „კაროლინას" შემადგენლობაში გაატარა, მანამდე კი „სენტ ლუისისა" და „ფილადელფიას" რიგებში თამაშობდა. 21-წლიანი კარიერის განმავლობაში ბრინდამორმა 1484 მატჩი ჩაატარა და 1184 ქულა (452+732) ქულა დააგროვა. კანადელი 2006 წელს „კაროლინას" რიგებში სტენლის თასის მფლობელი გახდა, 1994 წელს კი კანადის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

■ ■ ■

ასევე ოფიციალურად დაასრულა კარიერა „დალასის" 40 წლის თავდამსხმელმა **მაიკ მოდანომ** - ამის შესახებ „სტარზის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯო ნიუინდაიკმა** გამოაცხადა. მოდანომ „დალასში" 20 სეზონი გაატარა და იქ თამაში ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა კლუბი მინესოტაში იყო დაბანაკებული და „ნორთ სტარზი" ერქვა.

*„შემეძლო სხვა კლუბში გადასვლა, მაგრამ იქაური შემადგენლობა კარგად უნდა ყოფილიყო ჩემთვის ცნობილი"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა შექმნილ სიტუაციას ლეგენდარულმა ამერიკელმა. მოდანოს შეძენა „ფინიქს კოიოტზს" სურდა, რომელსაც სათავეში „დალასის" ყოფილი მწვრთნელი **დეივ ტიპეტი** უდგას.

## მონრეალმა ძმები დაშალა

„მონრეალ კანადიენსმა" ბელარუსი თავდამსხმელი **სერგეი კოსტიცინი** „ნეშვილ პრედატორზში" გაუშვა, რის სანაცვლოდაც ფორვარდი **დასტინ ბრაუნი** და მეკარე **დენ ელისი** მიილო.

კოსტიცინმა გასული სეზონის 47 მატჩში 18 ქულა (7+11) დააგროვა. ამ გაცვლის გამო ის ველარ ითამაშებს „მონრეალში" უფროსი ძმის - **ანდრეი კოსტიცინის** მხარდამხარ.

რაც შეეხება ელისს, მან წინა რეგულარული წარმატებით ითამაშა „ნეშვილის" სათადარიგო მეკარის როლში და შეუძლია კონკურენცია გაუწიოს „მონრეალის" პირველ ნომერ **კერი პრაისს**.

**კალათბურთი**

## ხორვატების გაფართოებული

ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოსიპ ვრანკოვიჩმა** იმ 17 კალათბურთელის სია შეადგინა, რომლებიც თურქეთში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დაიწყებენ მზადებას:

**მცველები:** როკო ლენი უკიჩი („ფენერბაჰჩე", თურქეთი), ზორან პლანიჩიჩი („ხიმკი", რუსეთი), მარკო პოპოვიჩი (უნიქს, რუსეთი), დავორ კუში („ბენეტონი", იტალია), მარკო ტომასი („ფენერბაჰჩე", თურქეთი), როკ სტიპჩევიჩი („ზადარი");

**ფორვარდები:** ბოიან ბოგდანოვიჩი („ციბონა"), ჰრვოიე პერიჩი („ზადარი"), კრუნოსლავ სიმონი („ზაგრები"), მარკო ბანიჩი („ბილბაო", ესპანეთი), ვედრან ვუკუშიჩი („ციბონა"), მარიო დელაში („ყალგირისი", ლიტვა);

**ცენტრები:** კრეშიმირ ლონჩარი (უნიქს, რუსეთი), სტანკო ბარაცი („კახა ლაბორალი", ესპანეთი), ანტე ტომიჩი („რეალი", ესპანეთი), ლუკა ზორიჩი („ზაგრები"), ლეონ რადოშევიჩი („ციბონა").

სიაში ორი ცნობილი კალათბურთელი ვერ მოხვდა: **მარიო კასუნი** „ეფეს პილსენიდან" და **ნიკოლა ვუიჩიჩი** „ოლიმპიაკოსიდან". წელს ორივეს ცუდი სეზონი ჰქონდა.

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კიდევ ორი დანაკლისი განიცადა ლიტვის ნაკრებმა. მადრიდის „რეალის" 32 წლის მცველი **რიმანტას კაუკენასი** თურქეთში ოჯახური გარემოებების გამო ვერ გაემგზავრება, ნაკრებისა და „მილანის" ძირითად ცენტრს, 30 წლის **მარიონას პეტრავიჩუსს** კი ზურგის ტრავმა აწუხებს.

## რივერსი ბოსტონში დარჩა

როგორც ჩანს, ამ ზაფხულს „ბოსტონ სელტიქსს" არ მოუწევს ახალი მწვრთნელი ძებნა. „კელტების" დამრიგებელმა **დოკ რივერსმა** მინიმუმ ერთი სეზონით გადაწყვიტა გუნდში დარჩენა. ამ ინფორმაციას მწვრთნელთან დაახლოებული წყარო ავრცელებს.

როგორც იცით, ბოლო დროს აქტიურად ვრცელდებოდა ჭორები იმის შესახებ, რომ დოკი სამუშაოს დატოვებას აპირებდა ოჯახისთვის მეტი ყურადღების მისაქცევად.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**I საკვ. ეტაპი**

| | |
|---|---|
| ტოლოზი-ჟრინსკი | 1:2 |
| ულისესი-ზნეი იეჰუდა | 0:0 |
| ლასი-დნეპრი (მი) | 1:1 |
| ტრანს ნარვა-მიუპა | 0:2 |
| რაბოტნიჩკი-ლუსიტანოსი | 5:0 |
| შახტიორი (ქ)-რუხი | 1:2 |
| ტირანა-ზალაეგერსეგი | 0:0 |
| ტორპედო (ჟ)-ფილკირი | 3:0 |
| ზეტა-დაჩა | 1:1 |
| ოლიმპია-ხაზარი | 0:0 |
| ყარაბახი-მეტალურგი (ს) | 4:1 |
| ნიტრა-დიორი | 2:2 |
| ტურკუ-პორტ ტელბოტი | 3:1 |
| შიბენიკი-შლიემა | 0:0 |
| ანორთოსისი-ბანანტსი | 3:0 |
| რანდერსი-დუდელანჟი | 6:1 |
| სანტა კოლომა-მოგრენი | 0:3 |
| გრევენმახერი-დანდალკი | 3:3 |
| პორტდაუნი-სკონტო | 1:1 |
| რუნავიკი-გეფლე | 0:2 |
| ლანელი-ტაურასი | 2:2 |
| ოლიმპია-შიროკი ბრიეგი | 0:2 |
| კალმარი-სტრეიმური | 1:0 |
| რეიკიავიკი-გლენტრანი | 3:0 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-ასირისკა | გადაიდო |

**შვედეთის თასი**

| | |
|---|---|
| ჰამარბიუ-ელფსბორგი | 3:1 |

TV პროგრამა

**2 ივლისი. პარასკევი**

**I არხი**

**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. 1/4 ფინალი. ბრაზილია-ჰოლანდია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. 1/4 ფინალი. ურუგვაი-განა (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შალკე.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. აპოელ-ატლეტიკო.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** საფეხბურთო პროგრამა.
**13:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-მარსელი.
**15:10** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**15:55** საერთაშორისო ტურნირი. დინამო (ბუქარესტი)-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია (LIVE).
**17:55** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**18:50** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.
**20:40** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. პორტუ-ჩელსი.
**22:40** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რომა.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:20** საერთაშორისო ტურნირი. დინამო (ბუქარესტი)-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.
**03:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
**05:10** საფეხბურთო პროგრამა.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საუკეთესო მომენტები.
**11:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. 2009 წლის საუკეთესო მომენტები.
**12:30** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**13:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:30** ველოსპორტი. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია.
**14:15** ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. საფრანგეთი.
**15:45** ველოსპორტი. იტალიის ტური.
**17:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საუკეთესო მომენტები.
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.
**18:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. შვეიცარია-საფრანგეთი. იტალია (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია-პორტუგალია. იტალია (LIVE).
**21:00** ახალი ამბები.
**21:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**21:15** მულტისპორტი.
**21:30** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:15** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. ირლანდია.
**23:15** ბოულინგი. PBA. ტელეჟურნალი.
**00:15** მულტისპორტი.
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საუკეთესო მომენტები.
**01:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. გუნდების პრეზენტაცია.
**21:30** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ჩოგბურთი

უიმბლდონი

# როჯერი: ნადალი საშინლად თამაშობს

მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** უიმბლდონის დარჩენილ მატჩებზე პროგნოზი გააკეთა და გამარჯვება მასპინძელ **ენდი მიურეის** უწინასწარმეტყველა.

*„დიახ, მიურეის ტურნირის იოლად მოგების შესაძლებლობა მიეცა, რადგან რაფა ნადალი ბოლო დროს საზიზღრად თამაშობს. ასევე აშკარაა, რომ ჯოკოვიჩიც გადაეჩვია თამაშს... ასე რომ, ენდის შეუძლია უბრალოდ გავიდეს კორტზე და თავისი უპირატესობა დაამტკიცოს. მიურეი ბრწყინვალე ჩოგბურთელია და გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვს. ჩვენ ამას სულ მალე დავინახავთ"*, - ამბობს შვეიცარიელი.

■ ■ ■

ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩის მონაწილის - ფრანგი **ნიკოლა მაუს** ეკიპირება როდაილენდის შტატის ქალაქ ნიუპორტში, ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში გამოიფინება, - წერს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი.

მიმდინარე უიმბლდონზე მაუმ და ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** პირველ წრეში ურთიერთობის გარკვევას სამი დღე მოანდომეს, კორტზე ჯამში 11 საათი და 5 წუთი დაჰყვეს და მეხუთე სეტში 138 გეიმი გაითამაშეს. ბოლო პარტიაში ისნერმა 70:68 გაიმარჯვა. მატჩის შემდეგ უიმბლდონის ორგანიზატორებმა ორივე ჩოგბურთელს სამახსოვრო პრიზები გადასცეს.

მაუ რამდენიმე დღეში ჩავა ნიუპორტში და იქ ATP-ის ტურნირში - Campbell's Hall of Fame Tennis Championships-ში მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრი 5 ივლისს დაიწყება.

ფრანგი ჩოგბურთელი პირადად გადასცემს მუზეუმს იმ მაისურსა და ჩოგანს, რომელითაც ისტორიულ მატჩში თამაშობდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**





# მუნდიალი თუ კოპა ამერიკა?

## პლანეტის პირველობის ნახევარფინალური ეტაპი, შესაძლოა, სამხრეთ ამერიკის გუნდების შიდა ჩემპიონატს დაემსგავსოს

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში სამხრეთ ამერიკის ოთხი გუნდის გასვლა - მუნდიალის პლეი ოფის პირველი რაუნდის მთავარი მოულოდნელობა გახლავთ. თანაც ბედის ირონიით ბრაზილიის, არგენტინის, პარაგვაისა და ურუგვაის ნაკრებები ოთხ სხვადასხვა მატჩში არიან გადანაწილებულნი. ასე რომ, მეოთხედფინალი - ეს არის ერთგვარი დაპირისპირება სამხრეთ ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. თეორიულად ნახევარფინალი შეიძლება ერთგვარ კოპა ამერიკად გადაიქცეს, რომელიც ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს იმართება. ამასთან, ოთხივე ნაკრებში მთავარ როლში ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ევროპულ კლუბებში თამაშობენ, ამიტომაც ევროპისთვის ეს მარცხი კიდევ უფრო მტკივნეულად აღიქმება.

■ ■ ■

როცა ჩემპიონატის დაწყების წინ ამერიკის ერთ-ერთ უმსხვილეს არხზე სამხრეთ აფრიკა სამხრეთ ამერიკაში აერიათ, ეს რეჟისორის ერთგვარ მხიარულ შეცდომად მონათლეს. მაგრამ ამ შეცდომას წინასწარმეტყველური ხასიათი აღმოაჩნდა. არასდროს ჩემპიონატების ისტორიაში მეოთხედფინალში არ ყოფილა სამხრეთ ამერიკის სამზე მეტი გუნდი და ევროპის ოთხ გუნდზე ნაკლები. მაგრამ ახლა ისტორია გადაწერილია, თანაც ლათინოსებმა მალე შეიძლება ახალი სიმაღლეები აიღონ. მაგალითად, დღემდე ნახევარფინალებში სამხრეთ ამერიკის ორ წარმომადგენელზე მეტს არ უთამაშია და მხოლოდ ორჯერ ბოლო 80 წლის განმავლობაში ამ კონტინენტის ორმა გუნდმა ერთმანეთის პირისპირ ითამაშა ფინალში - 1930 წელს ურუგვაიმ არგენტინას მოუგო, 1950 წელს - ბრაზილიას. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ერთი ტრადიცია შენარჩუნდეს - ევროპელებს არასოდეს მოუპოვებიათ მსოფლიოს თასი ევროპის საზღვრებს მიღმა.

სამხრეთ ამერიკის კვოტა მსოფლიოს ამ ჩემპიონატზე სულ რაღაც „ოთხნახევარ გუნდს" უდრიდა. ურუგვაი სამხრეთ აფრიკაში კონკაკაფის გუნდთან - კოსტა რიკასთან საპლეიოფო მატჩების გავლის შემდეგ მოხვდა. ხუთმა სამხრეთამერიკულმა გუნდმა ერთდროულად გადალახა ჯგუფური ეტაპის ბარიერი და მხოლოდ ამის შემდეგ განიცადა პირველი დანაკლისი - ჩილეს ნაკრები მეზობელმა ბრაზილიამ გააგდო. *„გამოდის, რომ სამხრეთ ამერიკის საკვალიფიკაციო ტურნირი თავისი დონით უფრო მაღალია, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური სტადია",* - ამბობს არგენტინელთა დამრიგებელი **დიეგო მარადონა**. არგენტინის ნაკრებმა შესარჩევში ექვსი თამაში წააგო და რვა მოიგო, სამხრეთ აფრიკაში კი მარადონას შეგირდებს ოთხიდან ოთხი მოგება აქვთ.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, სამხრეთ ამერიკის წარმატებასა და ევროპის ჩავარდნაში ბევრი შემთხვევითობაა. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტის წინ ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ ევროპული ფეხბურთის გრანდები - იტალია და საფრანგეთი ჯგუფში ჩარჩებოდნენ, ხოლო ინგლისი პლეი ოფის პირველივე რაუნდში გერმანიას შეხვდებოდა. პარაგვაი მეოთხედფინალში მხოლოდ პენალტების უკეთ შესრულების ხარჯზე გავიდა. იაპონელ **კომანოს** 11-მეტრიანი 10 სანტიმეტრით დაბლა რომ გაეშვა, შეიძლება არც შემდგარიყო სამხრეთამერიკელთა ისტორიული მიღწევა. მაგრამ, მეორე მხრივ, უძლიერესებს უმართლებთ. ამ კონტინენტმა კი ბოლო წლებში ევროპასთან შედარებით მართლაც ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ საფეხბურთო თვალსაზრისით.

პირველ რიგში ლათინოამერიკული გუნდების პროგრესი ვარსკვლავების წარმოების აწყობილ პროცესს უკავშირდება. გარკვეულწილად ეს გამოწვეულია ეკონომიკური მიზეზებით, რადგან ღარიბ ქვეყნებში ბევრი ბიჭისთვის საფეხბურთო კარიერა - სიღარიბისგან თავის დაღწევის ერთადერთი ხერხია. ყოველწლიურად ასობით ლეგიონერი ბრაზილიიდან, არგენტინიდან, ურუგვაიდან და სხვა ქვეყნებიდან ევროპის დასაპყრობად მიემგზავრება ევროპაში, აგრეთვე აზიისა და აშშ-ის მდიდარ კლუბებში. სატრანსფერო ბაზარზე სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებზე უდიდესი მოთხოვნაა, რადგან უმეტესი ნაწილი იოლად ახერხებს სხვა საფეხბურთო კულტურასთან შერწყმას, განსხვავებით აფრიკელებისა და აზიელებისგან. უფრო მეტიც, ევროპული ტრადიციების გაზიარების შემდეგ, ბევრი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი ვარსკვლავად სწორედ ევროპაში ყალიბდება. შედეგად, არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებები, აგრეთვე ურუგვაი და პარაგვაი სავსებით თანამედროვე ევროპულ ფეხბურთს აჩვენებენ, ხოლო ლათინოამერიკული დახვეწილი სტილი წარსულს ჩაბარდა.

■ ■ ■

ლათინოამერიკული სკოლის ევროპიზაცია - სამხრეთ ამერიკის ტრიუმფის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ. ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კარლოს დუნგა** აშკარად აკეთებს აქცენტს ბრიტანული ფეხბურთის ათლეტურ სტილსა და გერმანულ მკაცრ დისციპლინაზე. ურუგვაის ნაკრების დამრიგებელი **ოსკარ ტაბარესი** ადრე „მილანს" წვრთნიდა, ახლა კი ჰოლანდიურ ტაქტიკურ იდეებს მისდევს. მხოლოდ პარაგვაელთა დამრიგებელი **ხერარდო მარტინოა** სამხრეთამერიკული სამწვრთნელო აზროვნების პროდუქტი, მაგრამ მის განაცხადში ათი ფეხბურთელი ევროპულ კლუბებს წარმოადგენს. სულ სხვა თემაა არგენტინის ნაკრების დამრიგებელი დიეგო მარადონა. გუნდმა, რომელმაც შესარჩევ ეტაპზე ბევრჯერ ნაიბორძიკა, ფინალურ ეტაპზე, როგორც იქნა, ლამაზი კომბინაციური ფეხბურთის ჩვენება დაიწყო. მაგრამ ეს მწვრთნელის დამსახურებაა თუ დიეგოს ევროპული საფეხბურთო გამოცდილების - ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

მარადონა არგენტინის დღევანდელ ნაკრებში უფრო ფსიქოლოგის როლს ასრულებს, ვიდრე მწვრთნელის. ის მუდმივად ამხნევებს ფეხბურთელს, ეხვევა და კოცნის მათ, თანაც ამას ისე მონდომებით აკეთებს, რომ შეიძლება ეჭვი შეგეპაროს მის სექსუალურ ორიენტაციაში. ჯერჯერობით ასეთი საქციელი, აგრეთვე ის ემოციები, რომელსაც დიეგო მატჩის დროს თავის შეგირებს გადასცემს, შედეგს იძლევა. *„მატჩების დროს ხშირად მიჩნდება სურვილი თავად ჩავიცვა მაისურა და მოედანზე გავიდე იმისთვის, რომ ამ ბრწყინვალე ფეხბურთელების გარემოცვაში აღმოვჩნდე",* - ამბობს არგენტინული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა. თუმცა ჯერჯერობით არგენტინის ნაკრებს სამხრეთ აფრიკაში სერიოზული მეტოქე არ ჰყოლია. მეოთხედფინალში მას დიდი ბრძოლა ელის გერმანიასთან და მხოლოდ ამ თამაშის შემდეგ გახდება ცნობილი, სინამდვილეში რა ძალა აქვს **მესისა** და კომპანიას.

■ ■ ■

სამხრეთამერიკელ მწვრთნელებს ევროპელი კოლეგების მიმართ სერიოზული უპირატესობა აქვთ. მათ შეუძლიათ რამდენიმე ასეული ბრწყინვალე ფეხბურთელისგან ააწყონ თავიანთი გუნდები, იმ დროს, როცა ევროპის ბევრ ქვეყანაში ნაკრების კანდიდატთა სერიოზული დეფიციტია. ლეგიონერთა სიუხვე დიდ კლუბებში მოხვედრის საშუალებას არ აძლევს ადგილობრივ ახალგაზრდა ფეხბურთელებს. შედეგად, ბევრ გუნდში იძულებულნი არიან ათასგვარი ხერხით დააკომპლექტონ ნაკრები: უცხოელების ნატურალიზაცია, ემიგრანტთა შვილებზე აქცენტის გაკეთება ან საზღვარგარეთ დაბადებული თანამემამულეების გუნდში მიწვევა... ამ ყველაფრის გამო სამხრეთამერიკელები უპირატესობას იღებენ ევროპულ გუნდებზე.

ბოლოს და ბოლოს, ახლა სამხრეთ ამერიკას უფრო სჭირდება საფეხბურთო ტრიუმფი. იგივე არგენტინას უდიდესი ეკონომიკური პრობლემების ფონზე ძალიან უნდა თავისი ხალხის საფეხბურთო გამარჯვებით გახარება. თავისი მისია შეასრულა ჩილეს ნაკრებმა - მისი ორი მოგება კარგი ამბავი გახდა ათასობით ჩილელისთვის, რომლებიც ამა წლის დასაწყისში საშინელი მიწისძვრისგან დაზარალდნენ. დაბოლოს, ბრაზილიისთვის განსაკუთრებული პატივი იქნება 2014 წელს, მსოფლიოს საშინაო ჩემპიონატში ექვსგზის გამარჯვებულის რანგში გამოსვლა. თუმცა ეს წარმატებები არ იმოქმედებს მომავალ მუნდიალზე კონფედერაციათა კვოტების გადანაწილებაზე. ფიფამ გამოაცხადა, რომ ოთხი წლის შემდეგ საგზურების განაწილება ისეთივე იქნება, როგორიც ამ ჩემპიონატისთვის იყო. მხოლოდ სამხრეთ ამერიკა მასპინძელი ბრაზილიის ხარჯზე ხუთ მყარ ადგილს მიიღებს „ოთხნახევრის ნაცვლად". ვის მოაჭრიან ამ „ნახევარს", უახლოეს პერიოდში გადაწყდება. მთავარი კანდიდატები არიან სამხრეთ აფრიკაში ხელმოცარული ორი კონფედერაცია - ევროპა და აფრიკა.

**გია თვალაბეიშვილი**




მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www.tqveniurologi.ge